

ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი ჟურნალი

ქვეყნის სამსახურ-ჯანდაცვის სახელმწიფო
უნივერსიტეტის 30 წლისთავს

არაჰი

26

2020

რედაქტორი - მერაბ ბერიძე

მოადგილე - მაკა ბერიძე

სარედაქციო საბჭო:

ლალი ბერიძე
ლია ზაზაშვილი
ციური ლაფაჩი
მალხაზ ლომსაძე
ლერი ნოზაძე
მაია ქუქჩიშვილი
ნატო ყრუაშვილი
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი
რეზო შეროზია, ზუგდიდი
ზაირა კელოშვილი, ათენი
ნუგეშა გაგნიძე, ქუთაისი

მხატვარი: თამარ თამარაძე

მდივანი: ზაირა გელაძე

მენეჯერი: მანანა ობოლაშვილი

საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №113

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020

ISSN 2346-836X

საიუბილეოდ

მაკა ბერიძე

უკანასკნელ სამ ათეულ წელს საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა. სხვადასხვაგვარად ფასდება მისი მნიშვნელობა - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დასრულებული ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, სახელმწიფოდ ჩამოყალიბების წლები... პოზიტივთან ერთად ისტორიას შემორჩა 90-იანი წლების სიდუხჭირე, გაჭირვება, განუკითხაობა. გადატანილი უთანასწორო ომები ჯერ კიდევ მოუშუშებელი იარებით და ყველაზე მძიმე – სამოქალაქო დაპირისპირება.



ბევრი დაკარგა ჩვენმა ქვეყანამ ბოლო 30 წლის განმავლობაში და ბევრიც შეიძინა. არაერთხელ დაეცა, თუმცა შეძლო ფეხზე დადგომა. იყო დაშვებული შეცდომები, თუმცა ადრე თუ გვიან ბევრი მათგანი შეფასდა. ჯერ არ შეფასებულს სამომავლოდ აუცილებლად დაერქმევა თავისი სახელი. როგორც არ უნდა იყოს, ეს გზა გასავლელი იყო და მას თამამად შეიძლება ეწოდოს განვითარების ეტაპი.

საქართველოს ისტორიის ბოლო სამი ათეული წლის პირმშოა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1990 წელს ახალციხეში გახსნილმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალმა ახალი, საინტერესო და წარმატებული ფურცლები დაწერა მესხეთისა და საქართველოს ისტორიაში. გადაიტანა ქართველი, გაუძლო ბევრ დარტყმას... უნივერსიტეტის ისტორიაზე, კონკრეტულ ფაქტებზე, ადამიანებზე, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით მოგონებათა საინტერესო ციკლს ქმნის მისი პირველი რექტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე. უტყუარია იმ ადამიანის მოთხოვნილი ისტორია, რომლის მხრებზეც გადაირა დასაწყისის სირთულემ, რომელმაც

შეძლო და შემოიკრიბა საუკეთესო მამულიშვილები დედაქალაქიდან ორ ასეულზე მეტი კილომეტრის დაშორებით ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საქმის საკეთებლად. საქმისა, რომელმაც განსაზღვრა და შეცვალა უამრავი ადამიანის ბედი, მათ შორის ჩემიც...

გზა უნივერსიტეტამდე...

ქალაქში ძალიან სწრაფად გავრცელდა ხმა, რომ იხსნებოდა უნივერსიტეტის ფილიალი. მაშინ სიტყვა უნივერსიტეტს ჩვენთვის, უფროსკლასელებისთვის განმარტება არ სჭირდებოდა. ის ცალსახად აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს - სასურველს, სანატრელსა და საოცნებო უმაღლეს სასწავლებელს. იმ მოსწავლეების ცნობიერებაში, უმაღლეს განათლებას რომ ესწრაფვოდნენ, არსებობდა რამდენიმე ადგილი - „უნივერსიტეტი“, „სამედიცინო“, „გეპეი“, „უცხო ენები“, „სასოფლო“. ამ ხუთეულს ცალსახად „უნივერსიტეტი“ ლიდერობდა. ჩვენ 90-იანების აბიტურიენტობა გვარგუნა ბედმა. ოცნებები და სურვილები რეალობასთან უნდა შეგვეთანხმებინა, უმკაცრეს რეალობასთან. ეროვნული აღტკინებით სავსე თინეიჯერებს მთების გადადგმა არაფრად გვესახებოდა, თუმცა იძულებულნი ვიყავით, თვალი გაგვესწორებინა ოჯახებში შექმნილი მატერიალური შეჭირვებისთვის. უკვე ძალიან გართულებულ ყოფაში სულ უფრო და უფრო ძნელი წარმოსადგენი ხდებოდა განათლების მიღება. არაერთხელ მომისმენია განმარტოებული მშობლების დიალოგი, შეფიქრიანებულები რომ მსჯელობდნენ, სად და როგორ წავიდოდი სასწავლებლად. პირველ კითხვაზე პასუხი მზად მქონდა. ვფიქრობ, საუკეთესო სკოლა დავამთავრე, შოთა რუსთაველის სახელობის ახალციხის პირველი საშუალო სკოლა, ჩემი პირველ მასწავლებელთან ლალი პაპუაშვილთან შეხვედრის შემდეგ მასწავლებლობა ჩემთვის უალტერნატივო სპეციალობა იყო, მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებმა (მასწავლებელი მანანა ივანიძე) ჩემი გადამწყვეტილება კიდევ უფრო დააკონკრეტა, ხოლო დირექტორის, ბატონი გოგი ივანიძის მიერ უნივერსიტეტიდან ჩვენთვის ჩამოყვანილმა ახალგაზრდა მასწავლებელმა მზევინარ მჟავანაძემ ამ გადამწყვეტილებას საბოლოოდ დაუსვა წერტილი.

უპასუხოდ რჩებოდა კითხვა, როგორ ნავიდოდი ურთულეს დროში ოჯახის მატერიალური შესაძლებლობების უქონლობის პირობებში. სწორედ დამამთავრებელ, მეთერთმეტე კლასში გადავდიოდი, როდესაც ქალაქი მოიცვა უმთავრესმა ახალმა ამბავმა – გაიხსნა უნივერსიტეტის ფილიალი და ტარდებოდა პირველი მისაღები გამოცდები.. ესეც პასუხი ჩემს უპასუხო კითხვაზე. გაჩნდა პერსპექტივა, გაჩნდა შანსი, მომეხსნა ურთულესი ტვირთი, საფიქრალი, სწავლის ოცნებამ კვლავ დაიბრუნა თავისი ფერები... გამართლებაც ამას ერქვა... მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, უფრო სწორად შემდგომი 30 წლის განმავლობაში ვხვდებოდი, რამდენი ღირსეული ადამიანის შრომა, გმირობა, თავდადება, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, განაპირობებდა ჩემს „გამართლებას“.

ჩემი მრავალსართულიანი სახლის ეზოში ვიღებდი ზუსტ და სრულ ინფორმაციას პირველი გამოცდების ალიაქოთის, განცდების შესახებ. მშურდა კიდევ მეზობლებთან ჩამოსული ნათესავების, რომლებიც ბრუნდებოდნენ „საგამოცდოებით“ ხელში, თავს იწონებდნენ და გაუჩერებლად უზიარებდნენ ნაცნობ-უცნობებს ჩაბარებული გამოცდების ემოციებს. უცნაური დამთხვევა იყო, ჩემი ეზოს ბავშვების დიდი ნაწილი თანატოლები ვიყავით და ყველას შემდეგ წელს უნდა გვეცადა ბედი. მალე გავიგეთ პირველი სტუდენტების ვინაობა ნაცნობ-მეგობრებს შორის და ეზოს ტალღასავით გადაურა კიდევ ერთმა ინფორმაციამ: თსუ ახალციხის ფილიალში სწავლა სამ სპეციალობაზე დაიწყო, კონკურსი იყო საკმაოდ მაღალი, სტუდენტები კი გახდნენ ახალგაზრდები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან... ინფორმაცია იყო საკმარისი იმისთვის, რომ აქტიურად დაგვეწყობა მზადება გამოცდებისთვის მეორე მიღებაზე, სექტემბრისთვის ეზოს ბავშვები „გადავწაწაწადით“ კიდევ სამ სპეციალობაზე, მოვირგეთ აბიტურიენტის სტატუსი და ასე გავატარეთ სკოლის ბოლო და უნივერსიტეტის მოსამზადებელი ულამაზესი წელი.

აკანკალებული ხელით დავენერე განცხადება, რომლითაც ვითხოვდი, მიეღოთ ჩემი საბუთები და ნება დაერთოთ გამოცდების ჩასაბარებლად. მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი. ფოიეში მიმავალ ბატონს ვთხოვე ახალი ფურცელი. მან ჩემს განცხადებას გადახე-

და, ფურცელი მომცა და თავისთვის ჩაილაპარაკა: როგორ შეიძლება, განცხადებას ვერ წერდე უშეცდომოდ და გინდოდეს უნივერსიტეტის სტუდენტობა, თან ფილოლოგობა. ძალიან შემრცხვა. კიდევ უფრო მიულწვეელი მომეჩვენა სტუდენტობა, კიდევ უფრო სასურველი ამ კედლებში სწავლა. მისაღები გამოცდები ქალაქის მთავარ მოვლენად იქცა. მკვიდრდებოდა ქალაქში ახალი რეალობა, ჩნდებოდა საზოგადოების ახალი წევრები: პროფესურა და სტუდენტობა.

სტუდენტობა

მეამაყება უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსით გატარებული თითოეული წელი. მეამაყება და ახლანდელი გადმოსახედიდან ბევრს ვფიქრობ, რა განაპირობებდა, რა განსაზღვრავდა იმას, რომ სტუდენტობა ცხოვრობდა სრულფასოვანი, სავსე, საინტერესო ცხოვრებით. რაც დრო გადის, ვრწმუნდები უმთავრესში: თსუ ახალციხის ფილიალის გახსნის პირველივე დღეებიდან უნივერსიტეტმა სტუდენტობას შესთავაზა უმაღლესი ხარისხის განათლება. ხელმძღვანელობის დამოკიდებულება იყო უკომპრომისო: განათლების დონე უნდა ყოფილიყო მისაბაძი. უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ ქვეყნის საუკეთესო სპეციალისტები, ადამიანები, რომელთა ნაშრომები განაპირობებდა დარგის განვითარებას. ვერ გააცდენდი ლექციას! ვერ მისცემდი თავს სიზარმაცის უფლებას, რადგან სიცოცხლის საფრთხის ქვეშ 200-ზე მეტ კილომეტრს გადიოდა ყოველ კვირას პროფესურა, ლექციები იყო უმაღლესი ხარისხის. განათლების მაღალ დონესთან ერთად ურთიერთობების სხვა სტანდარტს ამკვიდრებდა და სთავაზობდა უნივერსიტეტი სტუდენტობას. ლექციები ერთდროულად ემსახურებოდა სპეციალობის დაუფლებას და ურთიერთობების სწავლებას. ეს უკანასკნელი პირველზე ნაკლებად როდი გვჭირდებოდა. დღეს სწავლების ახალ მიდგომად ითვლება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და ინდივიდუალური მიდგომები სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის გახსნის პირველივე დღიდან საგანმანათლებლო პროცესი სწორედ სტუდენტის საჭიროებებზე

იყო მორგებული და ლექტორები შეუძლებელს აკეთებდნენ, რომ არაფერი მოგვეკლებოდა.

თსუ ახალციხის ფილიალისთვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქცა დედა უნივერსიტეტად ამ სიტყვების როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით. ამას ორი მიზეზი ჰქონდა. ორივე მიზეზზე არაერთხელ უსაუბრია ფილიალის მაშინდელ ხელმძღვანელს. პირველი იყო უნივერსიტეტის ტრადიციების შენარჩუნება და მათი დამკვიდრება მესხეთის საგანმანათლებლო კერაში. ამიტომ იყო, რომ მიუხედავად დასაწყისისა, ფილიალში გადმოვიდა დროისგან გამოცდილი, ღირებული, ეფექტიანი შედეგების მომტანი მემკვიდრეობა. ეს იყო ტრადიცია სამეცნიერო კონფერენციების ჩატარების, „სამეცნიერო გულანის“ დაარსების (თსუ-ში მსგავსი სემინარების ანალოგიით), ლიტერატურული ხუთშაბათობები და ა.შ. ეს იყო ძალიან სასარგებლო, მაგრამ სარისკოც, რადგან ითხოვდა ორმაგ ძალისხმევას ადგილობრივი რესურსების გათვალისწინებით. წლების შემდეგ შეიძლება თამამად ითქვას, რომ მაშინდელმა რისკმა გაამართლა.

მეორე მიზეზად იქცა პირველივე წლებში, როცა დედაქალაქიდან შორს ჩამოყალიბებულ ფილიალს განსაკუთრებით ესაჭიროებოდა ავტორიტეტის მოპოვება, დამკვიდრება, თბილისიდან სწორედ ის ლექტორები ჩამოდიოდნენ, რომლებიც უნივერსიტეტში კითხულობდნენ ლექციებს. ეს უნიკალური შესაძლებლობა იყო, მას გრძნობდნენ და აფასებდნენ ფილიალის სტუდენტები.

საბედნიეროდ, 30 წლის განმავლობაში შეიცვალა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესობისკენ. მიუხედავად ამისა, პრობლემები მაინც დარჩა და ისინი უნივერსიტეტის განვითარებისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. დღევანდელი დანაკარგიდან კიდევ უფრო ფასეული ხდება და მეტ პატივისცემას იმსახურებს საყოველთაოდ გამეფებული უკიდურესი გაჭირვების პირობებში სტუდენტებზე ზრუნვის მაშინდელი მასშტაბები. თსუ ახალციხის ფილიალში სტუდენტებს ჰქონდათ შექმნილი პირობები, რომელიც მათ უმრავლესობას სახლშიც კი არ მოეპოვებოდა. ეს იყო მაშინდელი სწორი მენეჯმენტის დამსახურება, რომელიც ძნელი წარმოსადგენი არ არის, რის ფასად მიიღწეოდა.

სანთლის შუქზე ჩატარებული პოეზიის საღამოები, ლიტერატურული ხუთშაბათობები, თბილისისაკენ იმ დროისათვის ხიფათიანი გზა იმისათვის, რომ თსუ-ს პირველ კორპუსში ერთი-ერთი კორიფეს ლექცია მოგვესმინა, კონფერენციები ახალციხეში და უნივერსიტეტის გარეთ, შეხვედრები მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, ომებით მიყენებულ ტკივილთან გამკლავება, ახალგაზრდული შეხვედრები, ღონისძიებები, კონცერტები, საღამოები ქმნიდა ჩვენს სტუდენტობას.

კინოკადრებივით შემორჩა მეხსიერებას იმ ღირსეული ადამიანების ჩატარებული ლექციები, რომლებიც სამწუხაროდ, დღეს ცოცხლები აღარ არიან: კონსტანტინე კაკიტაძე, ვალერი სილოგავა, სერგო მელიქიძე, ვასილ კუზიბაბაშვილი, მეგი ხრჭანოვსკაია, ჯუღელთა გეგეშიძე და სხვები. საბედნიეროდ, უნივერსიტეტის დერეფნებში ახლაც ვხვდები იმ დიდებულ ადამიანებს, დღესაც რომ აგრძელებენ თავიანთ საქმეს. მათთან თითოეული შეხვედრა ჩემს სტუდენტობასთან შეხვედრას ნიშნავს.

30 წლის წინ დაწყებული ჩემი სტუდენტობა თსუ ახალციხის ფილიალში სპეციალობაში მიღებულ განათლებასთან ერთად მოიცავს კიდევ ერთი სკოლის დამთავრებას. ეს იყო სკოლა სიკეთისა, უანგარო მზრუნველობისა, ურთიერთდახმარებისა, ურთიერთგატანისა, გაჭირვების გაზიარებისა, ლხინსა და ჭირში შეხიდეებისა და, რაც მთავარია, უღლევი, უღლევი სიყვარულისა. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მივიღე დიპლომი, ამ სკოლის დასრულების შემდეგ კი „ვალდებულება“, მიღებული მაღლი გავუზიარო სხვებს ზუსტად ისე, როგორც გამიზიარეს ოდესღაც თვითონ.

სტუდენტობიდან სტუდენტებამდე

ფილიალი კადრების სამჭედლოდ იქცა არა მხოლოდ სხვადასხვა დაწესებულებისთვის, არამედ თავად უნივერსიტეტისთვის. არაერთი კურსდამთავრებული ემსახურება დღეს მას განსხვავებული პოზიციიდან. ზოგი მათგანი ადმინისტრაციის კუთხით, ზოგი კი როგორც პედაგოგი. რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივი პროცესია და მეტიც, უნივერსიტეტის განვითარების საფუძველია. ორივე

პოზიცია მნიშვნელოვანია და თავისი ემოციური დატვირთვა ახლავს.

სტუდენტებით სავსე აუდიტორია... კათედრასთან ერთი წამით შეჩერებული გულისცემა.. მერე გულის გამძლავრებული ბაგაბუგი, ისეთი, რომ გეშინია, აუდიტორიაში მსხდომებმა არ გაიგონ, ამიტომ იწყებ ლექციას... საგულდაგულოდ მომზადებული სალექციო მასალა, სიტყვები თავისით მოდის, დაფაზე ასოები თავისით იწერება, ფიქრები კი ... ფიქრებს ვერ იმორჩილებ. თავისდაუნებურად ის ლექცია გახსენდება, თავად რომ გიტარებდნენ ამ თემაზე. თვალწინ დაგიდგება ლექტორი, ხმაც კი ჩაგესმის. აგრძელებ ლექციას, თითქოს მის ნათქვამს იმეორებ... უნებურად თვალი გარბის იმ ადგილისკენ, სადაც თავად იჯექი და გატრუნული უსმენდი პროფესორს. თან გამალებით იწერდი წითელ ბლოკნოტში, რომელიც ერთდროულად ყველა საგნის ლექციების ჩანაწერს იტევდა. ახლა იმ მერხთან სხვა ზის... ცქმუტავს და აშკარაა, ლექციის დასრულებას ელოდება. იმას წითელი ბლოკნოტი არ აქვს, არც ლექციას იწერს. იაზრებ, რომ არც შენ ხარ ის პროფესორი.. ბრუნდება რეალობა. აცნობიერებ, რომ ორივეს, შენც და იმ „მოუსვენარ“ სტუდენტსაც წინ გაქვთ ყველაფერი. უნდა დაიმახსურო, უნდა მოიპოვო ნდობა. დაახლოებით ასეთი იყო სტუდენტებთან პირველად შეხვედრის ემოცია, პირველად ჩატარებული ლექცია.

გამიმართლა, აქაც ძალიან გამიმართლა. უნივერსიტეტი დარჩა სივრცედ, სადაც არ გრძნობ თავს მარტო. შენი ლექტორი აგრძელებს შენს აღზრდას, უკვე თანამშრომლის სტატუსით. ახალი პოზიციიდან სხვაგვარი ჩანს უნივერსიტეტი. კიდევ უფრო უღრმავდები ამოსაცნობად და თითქოს ისედაც მშობლიური კედლები სხვაგვარად ახლობელი ხდება. უნივერსიტეტის პირველი რექტორი იმ იდეის შენარჩუნების გარანტიად რჩება, რომელიც გახსნიას იტვირთა საგანმანათლებლო კერამ. პასუხისმგებლობა იზრდება, მოვალეობა ასევე ათკეცდება, ბევრ შრომას და ხშირად დაღლამდე მუშაობას ითხოვს, თუმცა.. სტუდენტებთან თითოეულ შეხვედრას ახლავს უდიდესი ბედნიერება. დახარჯული ენერგია ბუმერანგით ბრუნდება.

უნივერსიტეტის განვითარებაში თავისი განუმეორებელი ადგილი და როლი აქვს ახალქალაქში არსებულ მე-3 კორპუსს, სადაც 2002 წელს გაიხსნა თსუ ჯავახეთის ფილიალი პროფესორ მერაბ ბერიძის ხელმძღვანელობით. კიდევ ერთი უნივერსიტეტის დასრულებას უტოლდება ის გამოცდილება, რაც თსუ ჯავახეთის ფილიალში მუშაობამ შემიძინა.

2012 წლიდან უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შემდგომ გაერთიანდა ახალციხესა და ახალქალაქში არსებული ორი უმაღლესი სასწავლებელი და ჩამოყალიბდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 10 წელი იარსება თსუ ჯავახეთის ფილიალმა (შემდგომში ახალქალაქის უმაღლესი დაწესებულება-კოლეჯი) დამოუკიდებლად. სირთულეების მიუხედავად ეს დრო აღმოჩნდა საკმარისი, რომ... სახელი დაემკვიდრებინა და მოსახლეობის ნდობა მოეპოვებინა.

დღეს ახალქალაქის მესამე კორპუსში კვლავინდებურად ხორციელდება სასწავლო პროცესი და ეს იმ ხედვის დამსახურებაა, რომელიც უნივერსიტეტში დღემდე არსებობდა.

30 წლის შემდეგ

ძნელია, შეაფასო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 30-წლიანი არსებობის მნიშვნელობა და ამავდროულად ძალიან მარტივია. მარტივია იმ თვალსაზრისით, რომ ხელისგულზე დევს ის უამრავი სიკეთე, რაც უნივერსიტეტის არსებობამ განაპირობა. ზოგი მათგანი საქვეყნო მნიშვნელობისაა, ქვეყანას აძლიერებს, ზოგს რეგიონის თვალსაზრისით აქვს გავლენა, ხელს უწყობს რეგიონის განვითარებას და წინსვლას. ბევრმა კი კონკრეტული ადამიანების ბედი შეცვალა სასიკეთოდ. შეფასება რთული კი ერთადერთი მიზეზითაა, შეუძლებელია ჩამოთვალო და სრულად გაიაზრო უნივერსიტეტის ფუნქციონირების შედეგები.

და მაინც

30 წლის შემდეგ

უნივერსიტეტს აქვს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამები. ჰყავს ხუთი დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებული. წარმატებით ახორციელებს პროფესიული განათლების პროგრამებს. სწავლობს 2000-მდე სტუდენტი და 7000-

მდე კურსდამთავრებული, რომლებიც რაც დრო გადის, მით უფრო ეთანხმებიან პირველი კურსდამთავრებულების მოსაზრებას, რომ მათ დაამთავრეს „სიყვარულის უნივერსიტეტი“.

მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც საქმით, კეთილი სიტყვითა თუ თანადგომით დღემდე ხელი შეუწყო უნივერსიტეტის განვითარებას.

30 წლის შემდეგ

განაგრძობს არსებობას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ორი კორპუსით ახალციხეში, მესამე კორპუსით – ახალქალაქში. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში რებლიტირდება მეოთხე კორპუსი, მაგრამ ეს უკვე შემდგომი 30 წლის ისტორიაა.

სოველა

რევაზ მიშველაძე



ქართული კინოს მამა

გინახავთ ნაადრევი გაზაფხულის ქუთაისი?

უკეთესს რას ნახავთ, ტყემალი, ბალი და ატამი თითქმის ერთად ჰყვავის, ზღაპრის ფერებით მოჩითულ ქუჩებს ყვავილების ნამქერი და დამათრობელი სურნელი მოსდებია.

ვერა, ამ იმერულ გაზაფხულს ვერსად დაემალები, მითუმეტეს თუ იმ ასაკის ხარ, როცა სიყმაწვილეს ემშვიდობები და ჰორიზონტზე გაურკვეველი ნათების ფიორდები ჩანს.

სკოლას ვამთავრებდი.

მეოთხე გაკვეთილზე ქართულის მასწავლებელი, პოეტი ზურაბ კუხიანიძე შემოვიდა და ლამის ჩურჩულით გვითხრა:

- მომისმინეთ, აიღეთ ჩანთები და როგორც იცით, ორ-ორად ჩუმად ჩადით ყველა. თქვენი ხმა არ გავიგონო, მოსახვევთან კუთხეში დამელოდეთ, ექსკურსიაზე წაგიყვანთ.

ზურაბი ჩვენი უსაყვარლესი მასწავლებელი იყო და ხშირად დავყავდით ხან უქიმერიონზე, ხან ანდრია სინაურთან, ხან მწერალთა კავშირში დავით კვიციანიძესთან შესახვედრად და ხან რომელიმე ქუთაისელი პოეტის ახალი წიგნის პრეზენტაციაზე დარბაზის შესასვლელად.

ჩვენც მეტი რა გვინდოდა.

ავიარეთ წულუკიძის ქუჩა, მარჯვნივ დავტოვეთ ქუთაისის ციხე, გადავიარეთ თეთრი ხიდი, პირველ სკოლასთან მარჯვნივ გავუხვიეთ და ტუფისფრად შეღებულ ქალაქკომის შენობას მივაღებთ.

ქალაქკომი რა საექსკურსიო ადგილია მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ხმამაღლა როგორ წამომცდებოდა.

ზურაბ კუხიანიძემ მე და ვაჟა გუბელაძე დავგიმგზავრა, სხვებს უთხრა, აქედან ფეხი არ მოიცვალოთ, ხუთ წუთში დავბრუნდებითო.

პირველივე სართულზე კიბის ქვეშ პანანინა სართული იყო, ისე პატარა, რომ თავი კუდს ვერ მოიქნევდა. მაგიდის ნათურა უნათებდა თავ-პირს და ხელებს წარბულვაშიანად გათეთრებულ, ტილოსკიტელიან კაცს, რომელიც რალაცას გულმოდგინედ „ატვიორკებდა“.

ზურაბმა კარი შეაღო. ჩვენ გარეთ დავრჩით.

- გამარჯობა, ბატონო ვასილ.

- გაგიმარჯოს გამჩენმა.

მასპინძელს თავი არ აუწევია.

- მე ზურაბ კუხიანიძე ვარ, თუ გახსოვართ.

„ბატონმა ვასილმა“ სათვალე შუბლს ზემოთ ხელის ზურგით ასწია და ზურაბს დააკვირდა.

- ვერ მოგატყუებთ, არ მახსოვხარ.

ზურაბმა გაიღიმა, შემოგვხედა და თვალი ჩაგვიკრა.

- ასე იცის, თუ არ ცალია, არ ახსოვხარ,

- მეოთხე სკოლის მასწავლებელი ვარ, მოსწავლეებს თქვენთან შეხვედრა უნდათ.

ვასილმა ელექტროლუმელი განზე გააჩოჩა.

- ასე გეთქვა, შე კაი კაცო.

- რომელი სკოლა ვარო, რა მითხარი?

- მეოთხე სკოლა.

- რა გქვიაო, რა მითხარი?

- ზურაბი?

- ასე მოვილაპარაკოთ, თვენახევარში გამომიარე და თუ საქმე არ მექნა, მიგიღებთ. მოწაფეებს რავა გეტყვით ვარს. რომელი სკოლა ხართ?

- მეოთხე.

- შენი სახელი ქე დამავიწყდა.

- ზურაბი, ზურაბი კუხიანიძე, პოეტი - მეტი დამაჯერებლობისთვის დაამატა ზურაბმა, მაგრამ, როგორც შევატყვე, მის ტიტულს ელექტროსაგნების სპეციალისტზე დიდი გავლენა არ მოუხდენია.

უხერხული სიჩუმე ისევ პოეტმა დაარღვია.

- ბატონო ვასილ, მონაფეები უკვე მოვიყვანე. ქვევით გიცდიან, გეხვეწები, ნუ გაგვანბილებ. უთხრა ერთი-ორი სიტყვა და წავიყვან უკან.

- კი მარა, ასე შეუთანხმებლათ, შე კაი კაცო. მე რო მოგადგე და გამოგიყვანო გაკვეთილიდან, რავარ ხასიათზე დადგები. ვმუშაობ, ხო ხედავ. მე, აქანა კი არ ვგლახაობ, ამხელა შენობის ელექტრომომსახურება მაბარია.

ისევ რებუსური სიჩუმე.



მასპინძელმა მაგიდის ალაგება დაიწყო, რაც კარგ ნიშნად მეჩვენა. წამოდგა. ორი თავით მაღალი იყო ზურაბ კუხიანიძეზე. ბოხი ხმა ჰქონდა და ენას ოდნავ სულ ოდნავ უკიდებდა.

- შენი ხათრით, ბატონო რომანოზ...

ზურაბი ბატონო, შეაშველა კუხიანიძემ.

ბატონო ზურაბ, თვარა იმნაირ საქმეს ვაკეთებ, ხელს არ გაფუშვებდი, მერე ჩვენ შემოგვხედა, - გამიძეხით, აპა, სად ხართ ჩამომხტარი.

ქალაქკომის მარცხენა მხარეს პატარა სკვერი იყო, მოხუცს სკამი დავუდგით, ჩვენ შემოვუკაკაბდით.

- მოსწავლეებო, ჩვენს წინ ბრძანდება დიდად დასაფასებელი, ისტორიული პიროვნება, ქართული კინოს მამამთავარი ვასილ ამაშუკელი, რომელმაც 1912 წელს 28 წლის ახალგაზრდამ გადაიღო პირველი ქართული მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში,“ რითაც დასაბამი მისცა ქართულ-კინემატოგრაფს.

გთხოვთ, ყურადღებით მოუსმინოთ, ჩვენ სმენად ვიქეცით, მაგრამ ვასილ ამაშუკელი ხმას არ იღებს.

თავის თითებს დასცქერის.

- მოგიყევით, ბატონო ვასილ, - ზურაბმა კიდევ ერთხელ სთხოვა!

- რა მოგიყვით, მეტი რაია მოსაყოლი. რაც უნდა მეთქვა, ქე გცოდნია შენ და მოდი, ბარელამ, შენ ილაპარაკე-თავი ასნია ქართული კინოს მამამ.

- აინტერესებთ მოსწავლეებს, როდის, რანაირად, რატომ, როგორი იყო აკაკი წერეთელი.

ვასილმა თავი ასნია. ამჟამად თითების ნაცვლად ოლიანდრებს დაადგა თვალი და დაიწყო:

- რაია მოსაყოლი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ისედაც ყველამ ყველაფერი იცის დღეს.

ამაშუკეთიდან ვარ მე. შრომასთან პატარა სოფელია, აქედან მარჯვნივ. მაღლობზეა შეფენილი.

რვა შვილი ცვაღდით მამაჩემს. ორი გოგო და ექვსი ბიჭი.

მე ნაბოლარა გახლავართ.

ახლა ჩემი უფროსი და და მე ვართ დარჩენილი.

სხვები მიყვნენ ერთიმეორეს.

დამანებე თავი. არაფერი არ ყოფილა ე წუთისოფელი. სულ არაფერი.

ასე მგონია, ერთი შემოხედვა შემოიხედავს ადამიანი, თავს დაგვიკრავს და წავა.

მერე უნდა განამოს, უნდა განვალოს, უნდა დაგტკვიროს მონატრებამ.

ახლა აღარავინ მენატრება დედაჩემის გარდა.

ერთი წამით დამანახა დედაჩემი და მთელ დარჩენილ სიცოცხლეს მივცემ.

თუმცა რალა დამრჩა, გვევდი ბოლოში.

ოცდახუთი წლის რო გავხდი, მე ვთქვი, ამ თოხის ბლაცუნს მიწაზე ყოველთვის მოვასწრებ, წავალ გევიარ-გამევიარ ქვეყანაზე. თუ ვერაფერი გავანყვე, გავლევ ჩემ წილ წუთისოფელს ამაშუკეთში, რავარც ჩემი მამაპაპის წესიათქვა.

დავჯექი შორაპანში, შენ ხარ ჩემი ბატონი, მატარებელზე და ამოვყავი ერთ კვირაში თავი, არც მეტი არც ნაკლები, პარიზში.

ჯერ თბილისშიც არ ვარ ნამყოფი და პირდაპირ პარიზს გეახელი.

მატარებელი დადიოდა, „შორაპანი-პარიზი“ ეწერა ვაგონს, ისე რავარც ახლა „ტყიბული-ქუთაისი“, აწერია.

რა ვქნა, რა წყალს ვეცე.

ობჩის ოთხწლელი მაქვს დამთავრებული და ორი თხის ფული მიჭყავის ჯიბეში, მეტი არა, ორი თხა გაყიდა ზესტაფონში და მომცა მამაჩემმა, არ ვართმევდი, ერთი თხის საღირალი მომეცი, დანარჩენი თქვენ დაიტოვეთ მეთქი.

რო გამახსენდება, მეტირება.

თურმე სა მიდიხარ, ვის დაეკარგე.

ე ჩემი გროშები ორ კვირაში შემომეჭამა.

მივდექი, მოვდექი.

ქვეყნის ქართველებია სან-მიშელზე.

ზოგი ახალი ჩასული, ზოგი ძველი.

მიმასწავლეს ტოპოგრაფიული ლიცეუმიც ტრიუმფალურ არკასტან ახლოს, სტუდენტებს უგამოცდოთ ლებულობენ, თან ასწავლიან და თან ამუშავებენ სტამბაში. საერთო ბინაც იქვე აქვთ

და სამჯერადი კვებაც. თანაც თუ ყალთაბანდობა შეგატყვევს, ხელათ ამოგკრავენ პანლურს და გამოგაგდებენო.

მივედი, მიმიღეს.

მეორე კურსზე პატარა ხელფასიც ქე დამინიშნეს.

გავეჩვიე პარიზს ნელ-ნელა.

მეოთხე კურსზე ვარ. ვამთავრებ ლიცეუმს. პატარა ფულიც ქე დავაგროვე და რა დაგიმალო, ტირილამდე მენატრება ჩემი სოფელი.

„სინემას სახელოსნო“ აწერია სან სებასტიანზე.

გავჩერდი.


მე ვთქვი, რაია ე „სინემა“, გევიგებ და წავალ ჩემ გზაზე-მეთქი. ჩოვუყევი ქვევით კიბეებს.

დიდ დარბაზში ამოვყავი თავი.

ორმოცდაათ კაცამდე მაინც ირევა.

რალაცა დურბინდში იჭვრიტებიან, მაკრატელით რაცხას ჭრიან-არის ერთი სიცილ-ხორხოცი.

ვისთან ხართ, ვილაცამ მკითხა.



არაფერი ისე, მაინტერესებს აქოურობა მეთქი.

მომიყვანეს ვინცხა დაბალი, ლურჯხალათიანი სათვალისანი კაცი.

მოგწონს ეს ხელობა? - მკითხა.

არ ვიცი რა ხელობაა. პირველად შამევიხედე-მეთქი.

ჩვენო მოძრავ ფოტოგრაფიას ვაკეთებთო, ფრანგულად „სინემა“ ჰქვიაო.

შემიყვანა პატარა ოთახში და მაჩვენა, როგორ გარბის კაცი, როგორ ხტება ხიდიდან, როგორ ჭამს ვაშლს...

ეს ყველაფერი თეთრ კედელზე გადის.

გადევირიე კინალამ, რას საქმიანობ პარიზშიო, მკითხა იმ სულკურთხეულმა (ახლა, ალბათ, ცოცხალი აღარ იქნება).

ტოპოგრაფიული დავამთავრე მეთქი. ახლა ჩემს სამშობლოში საქართველოში, კავკასიაში ვაპირებ წასვლას მეთქი.

მხარზე დამკრა ხელი.

მთელი ცხოვრება სტამბის მტვერში უნდა გაატარო, ისეთი საქმე აგირჩევიაო. ერთს გირჩევ; „სინემა“ მსოფლიოში ახალი საქმეა, შენს ქვეყანაში, ალბათ, ჯერ არ ეცოდინებათ. თუ საშუალება გაქვს, იყიდე აპარატი, წაიღე კავკასიაში და დამიჯერე, არა მარტო გამდიდრდები, სახელსაც გაითქვამო.

ვიფიქრე მთელი ღამე. დავეკითხე სხვებსაც და მეორე დღეს მივადექი „სინემას სახელოსნოს“. გამომყვა ჩემი „მრჩეველი“ და კინოაპარატი მაყიდა. ისე ძვირი ღირდა ერთი წლის სამყოფი ფირი და აპარატი, რომ უკან დასაბრუნებელი ფული ძლივს მოვაქუჩე და გამოვნიე საქართველოსკენ.

გამიგრძელდა სიტყვა, მარა, არ შეგეშინდეთ, მალე მოვრჩები.

ქუთაისში დავიდე ბინა.

ვიღებ პატარა რაღაცეებს.

ერთი-ორი ქორწილი, ერთი-ორი ქელეხი და გამაქვს თავი, ვშო-ულობ ცოტას.

ბევრი არც მჭირდება, უცოლშვილო კაცი ვარ, მახსოვს, 1912 წლის 2 ივლისი იყო, გრიგოლ დიასამიძე მოვიდა ჩემთან.

სიცხეა იმნაირი, დედა შვილს არ ეიყვანს.

ოცდასამშიო, რაჭაში ვაპირებთ წასვლასო, აკაკი წერეთელი მიგვყავსო. ასე ათი-თხუტმეტი კაცი ვიქნებითო, თუ შეგიძლია, ჩვენი მოგზაურობა იქეთ-აქეთ გადაიღო და, თუ თანახმა იქნები, რამდენი დაგვიჯდებაო.

ჯერ ერთი, მესიამოვნა, ასეთი საპატიო საქმე რო შემომთავაზეს, მეორეც, აკაკი ჩემთვის ძვირფასი სახელი იყო და მესამეც, არც მე ვიყავი ნამყოფი რაჭაში, რო არ დაგიმალოთ.

ყოველივე ამის გამო, რაც მე დამიჯდებოდა, ფირის და კინოწამლების ფული, იმის მესამედი ვუთხარ.

კარგიო, თავი დამიქნია და წავიდა.

გადის დღეები, არ ჩანს გრიგოლი.

ალბათ, ეძვირა-მეთქი და ვინანე, რატომ არ ვუთხარი, სრულიად უფასოდ გადაგიღებთ-მეთქი.

21 ივლისს გამოჩნდა.

ხვალ მივდივართო, ცხენი თუ გყავსო.

არა-მეთქი.

აბა ცხენს ჩვენ გიშოვით და ხვალ დილის ექვს საათზე გელოდებით ქაიხოსრო წერეთლის სახლთანო.

ცხენის ქირის ფულს საერთო ანგარიშიდან გამოგიბრით, იცოდეთო.

კი ბატონო, ყაბულს ვარ-მეთქი, ოცდაორ ივლისს შევიკრიბეთ ქაიხოსრო წერეთლის სასახლეში.

სამგზავროდ გახაზირებული კარეტა თავადის ბაღჩაში იდგა და ჩემთვის უცნობ ორ მამაკაცს ესაუბრებოდა.

გრიგოლ დიასამიძემ და სოსიკო მერკვილაძემ ჩემი თავი რომ წარუდგინეს, გაიღიმა და ხელი ჩამომართვა.

- სად ისწავლეთ ეს ხელობა ყმანვილი? - მკითხა.

პარიზში მეთქი.

- ოჰო?! ყოჩაღ, თვითონ პარიზში, კაცო? ვყოფილვარ პარიზში, ჩინებული ქალაქია.

- როგორი იყო? - ჰკითხა ზურაბ კუხიანიძემ.

- მაღალი, წარმოიდგინეთ ასე, ჩემზე უფრო მაღალი, წელში გამართული, კოხტა პენიანი მოხუცი გახლდათ, ბზის ხელჯოხი ეჭირა და მუქი ნაცრისფერი, უჩვეულოდ გრძელპიჯაკიანი კოსტუმი ეცვა კოსტუმისფერივე ჟილეტით, თეთრ პერანგზე ლურჯი ჰალსტუხი ეკეთა, ჟილეტის ჯიბეში კვართიდან ძენკვით გადატანილი საათი ედო, პიჯაკის მარჯვენა გულის ჯიბეში თეთრი მიხაკი, გრძელი, ფეხსაცმელებთან მრავალგზის მოკეცილი, განიერი შარვალი ეცვა და ძალიან დიდი ასე, დაახლოებით ორმოცდარვა ზომის ევროპული შავი ტუფლები. ეს რაც შეეხება ჩაცმულობას.

ლამაზი, თაფლისფერი თვალებით კეთილ სხივებს აფრქვევდა. ზოგჯერ დაღლილი კაცის გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ თუ რაიმეს თქმას დააპირებდა, ის დაღლა სადღაც ქრებოდა და სახეზე მომწუსხველი ღიმილი დასთამაშებდა.

თმანვერიანად გათეთრებული გახლდათ. სუფთა ბამბისფერ, სპეტაკ სითეთრეს დაეთოვა ერთ ზომაზე შეკრეჭილ თმაზე და

წვერზეც. წარბებიც კი უღვაშ-წვერისფერი ჰქონდა და ეს ყოველივე საოცრად მიმზიდველ იერს აძლევდა.

თავს მაღლა სწევდა, რადგანაც მარჯვენა ქუთუთოს დაბლა ჰქონდა.

დადიოდა გრძელი, დინჯი ნაბიჯებით, ლაპარაკობდა ოდნავ ხრინწიანი ხმით, მაგრამ სიტყვებს გარკვევით გამოთქვამდა და მიუხედავად იმისა, რომ აშკარად ზემოიძმერული კილო ჰქონდა, საუბრის დაწყებისას გაიძულებდა, ბოლომდე გესმინა.

აშკარა იყო, რომ ზუსტი მუსიკალური სმენის პატრონი გახლდა და სიმღერაში ხშირად ერეოდა, უმეტესწილად მეორე ხმას ამბობდა, მისგან ბანი არ მომისმენია, ეტლში გრიგოლ დიასამიძის გვერდით იჯდა. წინ გაშვერილი ხელებით ჯოხზე დაყრდნობილი. რუხი ფერის ფრანგული „ცილინდრი“ ეხურა.

ოცამდე ცხენოსანი შუაში ორცხენიანი საუცხოო ეტლით დავიძარით რაჭის მტვრიან გზაზე.

დაიძრა ჩვენი ამაღლა და დაიწყო ჩემი წამებაც.

მე წინ მივდიოდი აპარატმომარჯვებული.

ჩემი აპარატი საკმარისზე მიძიმე იყო და სანამ უნაგირთან ჩამოვიღებდი, მკლავები დაწყვეტაზე მქონდა.

ავიაღმართეთ თუ არა, დავინწყე გადაღება.

ჩავრთე აპარატი და შეშინებული ჩემი ცხენი ყალყზე შედგა.

შემოტრიალდა, დაიფრუტუნა და ქვევით ქალაზე გავარდა.

კინალამ გადმომაგდო.

გამოვრთე აპარატი და ხურჯინში ჩავდე.

მექვენამდე არაფერი გადამიღია.

სხვები რომ სადილობდნენ, მე სახელდახელოდ წავიხემსე და ცხენთან ორსაათიანი „მუშაობა“ დამჭირდა, რომ აპარატისთვის შემეჩვია.

მერეც, როცა ამხედრებული აპარატს ჩავრთავდი და გადაღებას ვიწყებდი, ცხენს თვალები გაუფართოვებოდა, ლაგამს ხრავდა და თითქოს მეუბნებოდა; გამორთე თუ კაცი ხარ, ეგ ეშმაკის მანქანა - ხომ ხედავ, ნერვებს მიშლისო.

ახლაც მრცხვენია რო ვიხსენებ; ცხენი ცხენათ და მე თვითონ ახალი დაწყებული მქონდა ოპერატორობა, რავა ვბედავდი, რა სითამამით ვერეოდი ზეიმში.

მაგალითად, მრავალძალთან რაჭველებმა აკაკი ეტილიდან ჩამოსვეს, სკამზე დასვეს, ოთხმა კაცმა სკამი აკაკიანად (ბოდიში „აკაკი სკამიანად“ უნდა მეთქვა) ხელში აიყვანა და ასე ხელდახელ, ჩვენ რო ვიტყვით, ატატებული შეიყვანა ეზოში.

აკაკის ჯერ შეეშინდა, ე, ბიჭო, დამსვით, თუ ღმერთი გნამთ, მძიმე ვარ, გაგივარდებით ხელიდანო, ეხვენებოდა გლახებს. მერე-დამერე გათამამდა, გაიმართა წელში ამაყად, მის ყურებას არაფერი სჯობდა.

ნამეტანი მემეწონა ეს სურათი. გავხტი წინ ჩემი აპარატიანათ, აბა, თქვენი წირიმე ერთხელ კიდევ ასწიეთ სკამი, ასე, ასე, აქეთ წამოდით!

კარგია! მშვენიერია-მეთქი, ვიყვირე.

დაიღალა აკაკი და მომიბრუნდა, ე, ბიჭო, დაგვანებე თავი, უთხარი დამსვან, კიდო შენი კამანდრობა უნდა ამგენს? წამოკრავენ ფეხს რაცხას და ჩამქოსავენ ხრამშიო.

ჭრებალოში აუარება მოყვარული შეეგება პოეტს.

შუკები ხალხს ვერ იტევდა.

ხუთიათასამდე რაჭველი მაინც იყო იმ შემოგარენში. ახლა ვფიქრობ, რა მჭიდროდ იყო დასახლებული იმ დროს ჩვენი რაჭა.

ახლა მთელი რაჭა რო მოიარო და ზედ ლეჩხუმიც მიაყოლო, ხუთი ათას კაცს ვერ შეკრიბავ.

ჭრებალოში ბავშვებმა აკაკი წრეში მოიქციეს, ირგვლივ უვლიან და უმღერიან.

ჩავერიე: ახლა დიდებმა ჩაკიდეთ ხელი ერთმანეთს და გააჩაღეთ დავლური მეთქი, გავეცი განკარგულება ჩემი ქკუთით.

ბავშვები გაჩერდნენ, ახლა ბავშვებს ვეცი; განაგრძეთ თქვენ, ისე, რომ ორფა დავლური დავუაროთ პოეტს მეთქი.

თეატრი იყო ნამდვილი. რაჭველების ორფა დავლური და აკაკი შუაში.

მზე აცხუნებს უბედურათ.

მაღალ, ლამაზ შუბლზე აჭერს პირდაპირ პოეტს.

ცილინდრი ხელში უჭირავს.

არადა, რაჭველებმა რაღაი დაიწყეს, ცეკვას არ ამთავრებენ, ასე იციან მაგენმა.

დაიხურეთ ქუდი, ბატონო აკაკი მეთქი, ვუყვირე, გავაგონე რავარც იქნა.

დავლური რო დამთავრდა, ჩიხტიკოპიანმა ქალმა პოეტს ნითელი ვაშლები მიურბენია.

ჩემი ეზოს ვაშლებია, პირი გაისველეთო.

მადლობის ნიშნათ აკაკიმ ხელზე აკოცა, თქმით კი ასე უთხრა: დიდი მადლობა, ქალბატონო, მარა სად მაქვს მაგის კბილებიო.

ვაშლები მაინც გამოართვა და პიჯაკის (სიგრძით ფრაკს რო ჰგავდა) ჯიბეში ჩაიდო.

სუფრაზე ქაიხოსრო გელოვანმა ჰკითხა, როგორ მოხდა ძვირფასო პოეტო, რომ რაჭაში პირველათ ხართო.

მახსოვს აკაკიმ ასე უპასუხა:

„ბატონებო, მადლობას გიძღვნით ასეთი გულწრფელი თანაგრძნობისათვის, მაგრამ ეს სიტყვები ჩემდამი მომართული, გადაჭარბებულათ მიმაჩნია. ამდენი ქების ღირსი არა ვარ. რაც შეეხება იმას, რომ სხვა კუთხეები მოვიარე და რაჭაში პირველათ ვარ, ამაზე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ამას თავისი საიდუმლოც აქვს. როგორც ყველაზე ტკბილი რამე საბოლოოდ გადავდევი რაჭის დათვალიერება, რომ მოხუცებულობის დროს დავემტკბარიყავი“.

ნიკორწმინდაში სილამაზით მონუსხული აკაკი ირგვლივ უვლიდა ტაძარს და რალაცას ბუტბუტებდა, სამჯერ შემოუარა ნიკორწმინდას.

მე „ნიკორწმინდა“ შემთხვევით არ წამომცდენია; ახლა რატომღაც „ნიკორწმინდას“ ეძახიან, რას ჰქვია, ბატონო, „ნიკორწმინდა?“ ეკლესია წმინდა ნიკოლოზის სახელზეა აშენებული.

ნიკორწმინდის ეზოში ცაცხვის ჩრდილს შეფარებულ პოეტს ვიღაც ძალიან მაღალი, ჩოხოსან-ხანჯლოსანი, შუახანსგადაცილებული კაცი მიუახლოვდა და გაქონილ ქალაქში შეხვეული რამ გაუწოდა.

ბატონო აკაკი, ჩვენ ნიკორწმინდელებმა თქვენს შესახვედრად ფული შევაგროვეთ, მარა ამდენი ქვე აღარ დაგვჭირდა და თქვენ მოგართვით, იქნებ რამეში გამოიყენოთო.

პოეტი ნამეტნავად გაახარა ამ საჩუქარმა.

თქვენ აგაშენათ ღმერთმაო, ამ ფულმა სულზე მომისწრო, თორემ კუდის რიკამდე გამატყავა ჩემმა ცოლ-შვილმაო.

ეს სცენაც გადავიღე, მარა ფილმში არ შემიტანია.

ყველაზე ხანგრძლივი და დასამახსოვრებელი ნადიმი როსტომ ერისთავის სახლის აივანზე გაიმართა.

აკაკიმ დიდებული სადღეგრძელოები და ლექსები თქვა. მოუფერა რაჭას. მე ვხედავ, აქ თქვენთან, ყველაზე კარგადაა შენახული ქართული ადათ-წესებიო.

რა იმღერა?

იმღერა „იმერული მრავალჟამიერი“, „ჩემო ციციანათელა“, „გახსოვს ტურფავ“, მშვენივრად აყვა რაჭულ მრავალჟამიურს“ და „ქვედრულა აღიდებულას“.

სუფრაზე კიდევ ერთი შემთხვევა დამამახსოვრდა:

ბიჭმა დოქით ღვინო შემოარბენინა.

მომიტანეთ ეგ დოქი აქეთო, აკაკიმ.

მიუტანეს.

დოქი თავდაცობილი იყო შავ-წითლად ნაწერი ქალაღდით.

გაშალა ქალაღდი პოეტმა,

ეს რა გიქნიათო, წარბები შეკრა, ეს ქალაღდი უძველესი ხელნაწერიდანაა ამოგლეჯილი, გემუდარებით, დააბრუნეთ თავის ადგილზე და თუ მოახერხოთ, იქნებ ხვალ დილით მთლიანად ხელნაწერი მომიტანოთო.

მასპინძლებმა სწრაფად წაიღეს ქალაღდის თუ ეტრატის ნახევი, მაგრამ დილით, მე როგორც ვიცი, ხელნაწერი არ მოუტანიათ.

ღამე როსტომ ერისთავის სახლში გავათიეთ,

შუალამე გადასულია.

მე ეზოში ვზივარ და მთვარის შუქზე ჩემს აპარატს ჩავკირკიტებ.

აივანზე თეთრნიფხავპერანგისამარა აკაკი გადმოდგა.

- ახალგაზრდა!

მივირბინე. ვერ მიცნო.

- თუ არ გეწყინება, შენს გაზრდას, იქნებ ერთი ბოთლი წყალი გამიხერხო, შებრუნებულს დამანია, - ეგება, მჟავე წყალი იქნეს სადმე, აგრემც ღმერთი შეგენევა.

გავარდი, მოსამსახურე გავალვიძე, მჟავე წყალი იქვე, სასახლის ეზოში აღმოჩნდა. ჩვენო, რაჭველები ამ წყალს სასმელად არ ვიყენებთო, მოსამსახურემ-მჟავე წყალი მხოლოდ სამკურნალოო.

ციმციმ ავფურბენინე დოქით მჟავენწყალი, რაც მე იმან მლოცა.
ბოლოს ონში გვექონდა ზღაპრული შეხვედრა.

პოეტის საპატივცემლოდ მასპინძლებმა დოლიც კი გამართეს.
ეტლი მთლიანად ცოცხალი ყვავილებით მორთეს.

იქოური ებრაელებიც გამოვიდნენ და პოეტს მოვერცხილი
ძვირფასი სურა მიაართვეს, მაგრამ ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

თქვენ ალბათ გაკვეთილებზე გაგვიანდებათ და, გითხრათ
სიმართლე, მეც არ მცალია.

ონის ამბებიც დაწვრილებით გადავიღე,

უკან წამოსვლისას დაღლილ აკაკის თითქმის მთელი გზა ეძინა
და დიდათ საინტერესო არაფერი მომხდარა.



რაჭაში მოგზაურობის ერთი თვის თავზე გავამზადე ფილმი, შენ ხარ ჩემი ბატონი, უნდა მივართვა გრიგოლ დიასამიძეს და გადაწყვეტილი მაქვს, ფული არ გამოვართვა. თუმცა ვინ გაცალა.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა.

კი არ დააკაკუნეს, დააბრაზუნეს.

გავალე.

შემოვიდნენ ორნი კივერ-ხმლიანები, საიდუმლო ჩახველებითა და ჩექმის დეზების რანკუნით.

პოლიციიდან ვართო.

მაგიდას შემოუსხდნენ.

დავთრები გაშალეს საწერ-მელანი მოიმარჯვეს.

აბა, დანვრილებით მოგვიყვი, რა საქმიანობას ეწევი, ვინ დავალა საიდუმლო გადაღებების წარმოება ქუთაისში და რაჭალეჩხუმშიო. ჩვენ ყველაფერი ვიცით და არაფერი დაგვიმალოო. შენ პარიზში დავერბოვკებული, ვითომდა აკაკი როსტომიჩის მოგზაურობის საბაბით რაჭის და ქუთაისის საიდუმლო ობიექტებს იღებდიო. ჯერ ერთი, აკაკი წერეთელი რა პატივცემული გვარი იყო ისეთი, რომ მის უკვდავსაყოფად ამხელა დელეგაცია გაემართა რაჭაშიო. თქვენ რა, არ იცოდით, რომ იგი ერთი ლაზლანდარა, ბანქოს მოთამაშე, ცინიკოსი, ხელისუფლების დაუძინებელი მტერი, მოპოვებო ელემენტია და სხვა არაფერიო.

ფეხებს მიბაკუნებენ და თითს მიქნევენ. ჩემი ახსნა-განმარტებანი ვითომ ჩაინერეს, ბინა გაჩხრიკეს, რაც მქონდა გადაღებულ-გადაუღებელი ყველაფერი ტომრებში ჩაალაგეს და, რასაკვირველია, კინოაპარატიც ხელს გააყოლეს.

ამას ყველაფერს შევისწავლით და დაგიბრუნებთო.

ორმოცდაათი წელია, ველოდები, არ დაუძახნიათ, არც ნიკოლოზ მეორის პოლიცია მოსულა მეორეჯერ ჩემთან, არც ნოე ჟორდანიას მთავრობის წარმომადგენელი და არც ბერიას ჩეკას შევუნუხებივარ, ტყუილს ვერ ვიყტვი.

კინოგადაღებაზე აღარც მიფიქრია.

შარშანწინ კინომცოდნე, გოგი დოლიძე მოვიდა ჩემთან: ბატონო ვასილ, არქივში აკაკის მოგზაურობაზე გადაღებულ თქვენ ფილმს მივაკვლიეო.

ნამიყვანა და მაჩვენა.

ნეტავი არ მენახა.

რაც მე გადავიღე, იმის მეხუთედი დაუტოვებია პოლიციას (რომელმაც პოლიციამ ჩაიდინა ეს საჯაყი საქმე ვერ გეტყვით).

თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ისინი ხომ ერთმანეთის სამართალმემკვიდრენი გახლავან.

დაუჭრიათ, გაუნადგურებიათ, დაუნაკუნებიათ ჩემი ფილმი.

... და მაინც შენაო, ქართული კინოს მამამთავარი ხარო, გოგია დოლიძემ,

მე ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანო, გადაყრილ ფირებსაც აღმოვაჩენ სადმეო.


ღმერთმა ხელი მოუმართოს.

რაც შემეხება მე, მონტიორად ვმუშაობ ქალაქკომში და კიბის ქვეშ პატარა ოთახში ველოდები ზარს, ამა და ამ ოთახში სინათლე ჩაქვრა და სასწრაფოდ გამოცვალე ნათურაო.

მე მგონია, აქაც ჩეკამ მომანყო.

მონტიორობა არაა გლახა საქმე.

20 თებერვალი, 2020 წ., თბილისი





ჩვენი სერგო

როდესაც ამ წერილის დასაწერად დავჯექი, გამახსენდა სერგოს ნათქვამი: „მე უფროსი ვარ, ამიტომ შენ მოგიწევს ჩემს შესახებ დანერა და ჩვენი ამბების გახსენება“. ასეც მოხდა. აგერ უკვე იმ ასაკსაც გადავაბიჯე, სერგო რომ წავიდა ჩვენგან. როგორც ჩანს, ყველაფერი მოსასწრებია. სათქმელი კი ბევრი მაქვს.

1967 წელს ჩავირიცხე უნივერსიტეტში და იქიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. სერგო იყო მე-4 კურსზე, ფაკულტეტის კომკავშირს ხელმძღვანელობდა. ერთი მხარე გვაერთიანებდა. ის, მართალია, გაიზარდა ბორჯომში, იქ დაამთავრა სკოლა და იქიდან წავიდა უნივერსიტეტში, მაგრამ ფესვები ოკამში ჰქონდა, ჯავახეთის ამ შესანიშნავ სოფელში, სადაც შემდეგ ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ ექსპედიციაში თუ სტუმრად.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ს. მელიქიძე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დატოვეს, ჩააბარეს კანცელარიის ხელმძღვანელობა. ეს სერიოზული თანამდებობა იყო, მას ებარა უნივერსიტეტის ბეჭედი და რექტორის, ილია ვეკუას ხელმოწერას ადასტურებდა, ამიტომ შედარებით მოუცლელი აღმოჩნდა სერგო, მაგრამ ვინ აძლევდა კარგი ცხოვრების საშუალებას. მისი მეგობრები ხშირად ვიკრიბებოდით პირველ სართულზე იმ პატარა ოთახში, იქნებ ხელიც ეშლებოდა, მაგრამ არასოდეს საყვედური არ წამოსცდენია და არ მოუბოდიშებია, არ მცალიაო.

როცა უნივერსიტეტი დავამთავრე, მუშაობა დავიწყე თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში, სადაც მალევე გადმოვიდა სერგო სამუშაოდ. იქიდან მოყოლებული მართლაც ყველა დღე ერთად გვინევდა ყოფნა. ერთად დავდიოდით ექსპედიციებში ჯავახეთსა და ქართლში.

ასე ერთად ყოფნა გვარგუნა მე და სერგოს ბედმა. 1990 წელს ერთად წამოვედით ახალციხეში, დავიწყეთ თსუ ახალციხის ფილიალის ჩამოყალიბება, ბრძოლა საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის.

მისი უნივერსიტეტის გამოცდილება ძალიან გამოგვადგა. ახლად ჩამოყალიბებული ფილიალისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო სკანცელარო საქმის მაღალ დონეზე წარმოება, სერგოს კი, ამ საქმის შესანიშნავ სპეციალისტს, არაფერი ეშლებოდა. დავსხდებოდით და გადავწყვეტდით ყოველგვარი სამინისტროს და ადგილობრივი ოფიციალობის გარეშე, როგორ წრგვემართა ესა თუ ის სკანცელარო საქმე.

ფილიალში სერგო, როგორც დირექტორის მოადგილე, ხელმძღვანელობდა სასწავლო ნაწილს, საჭიროების შემთხვევაში შევეუთავსებდით ხოლმე დეკანის თანამდებობას. რომელ თანამდებობაზეც უნდა ყოფილიყო, სერგოს ახასიათებდა საქმისადმი ერთგულება, პრინციპულობა, ხანდახან, თუ საქმეს სჭირდებოდა—ჯავახური სიჯიუტე და პროფესიონალიზმი.

სერგო ილიას ძე მელიქიძე დაიბადა 1943 წელს ახალქალაქის რაიონის სოფ. ვარევანში. სწავლობდა ბორჯომის პირველ საშუალო სკოლაში. 1957 წელს ჩაირიცხა ბორჯომის სატყეო ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1961 წელს და მუშაობდა ბორჯომის წყალთა და სატყეო მეურნეობაში. სატყეო ტექნიკუმში სწავლას თბილად იხსენებდა სერგო. ტოპონიმთა კვლევისას ტექნიკუმში შეძენილ ცოდნას, მცენარეთა ლათინურ სახელებს, წარმატებით იყენებდა ხოლმე.

1964-1969 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაინიშნა თსუს კანცელარიის უფროსად. უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში ყოფნა ახალგაზრდა კაცისთვის წარმატებაც იყო და რექტორატისაგან

დიდი ნდობის გამოცხადებაც. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა სერგო საქმისადმი სკურპუოზული დამოკიდებულების მუშაკად. მისთვის არ არსებობდა წვრილმანი და მეორეხარისხოვანი საქმე. ყველაფერს უდგებოდა მაღალი პასუხისმგებლობით.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ონომასტიკურ ლაბორატორიაში, ჯერ უფროს ლაბორანტად, ხოლო შემდეგ-უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. ონომასტიკის ლაბორატორიაში მუშაობის პერიოდში მისი სამეცნიერო საქმიანობა მიეძღვნა ძირითადად ტოპონიმის. მანამდე კი ს. მელიქიძე მუშაობდა ჯავახურ დიალექტზე, რაც დასრულდა 1975 წელს საკანდიდატო დისერტაციის დაცვით. მისი დისერტაციის თემა იყო „ჯავახურის დარგობრივი ლექსიკა“, რომელიც არის მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი ჯავახურ დიალექტზე. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი შექმნილია თითქმის 50 წლის წინ, მას არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება. დარწმუნებული ვარ, დისერტაციის წიგნად გამოქვეყნების შემთხვევაში მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება იგი ჩვენი დიალექტოლოგიისათვის.

ტოპონიმის გარდა ს. მელიქიძეს მნიშვნელოვანი შრომები აქვს ანთროპონიმიაში, ქართულ გვარ-სახელებთან დაკავშირებით.

ჩვენს წერილს თან დაფურთავთ ავტორის ხელით შედგენილ შრომების სიას, რაც ნათლად დაგვანახებს მის სამეცნიერო ინტერესებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, რაც დაკავშირებულია ძირითადად თსუ ახალციხის ფილიალთან, სადაც იგი კითხულობდა შემდეგ საგნებს:

- × ქართული ენის სწავლების მეთოდიკა;
- × ქართული ენის გრამატიკა;
- × ზოგადი ენათმეცნიერება;
- × ქართული სალიტერატურო ენის ისტორია;
- × მასმედიის ენა;
- × აკადემიური წერა;
- × ძველი ქართული ენა;

- × ენათმეცნიერების შესავალი;
- × ლექსიკოლოგია.

1990-2005 წლებში ს. მელიქიძე იყო თსუ მესხეთის (ახალციხის) ფილიალის დირექტორის მოადგილე. 2005 წლის თებერვლიდან 1 ნოემბრამდე ასრულებდა თსუ მესხეთის ფილიალის დირექტორის მოვალეობას, ხოლო 2007 წლამდე მუშაობდა თსუ მესხეთის ფილიალის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელად. 2006 წლიდან იყო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 1999 წლიდან ს. მელიქიძე იყო გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ პასუხისმგებელი მდივანი. მისი წარმატებები საზოგადოებრივ თუ სამეცნიერო საქმიანობაში დიდი შრომის შედეგია.

სერგო მელიქიძემ შექმნა შესანიშნავი ოჯახი. მეუღლე - მარინა ოსაძე ღირსეული ქალბატონია. იგი ყოველნაირად უწყობდა მეუღლეს ხელს, რომ ეღვანა და ეკეთებინა საქვეყნო საქმე. ოჯახისა და მშობლების დამფასებელია მათი შვილი გიორგი, რომელმაც ასევე კარგი ქართული ოჯახი შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ მისი სამეცნიერო ინტერესები ლინგვისტიკასთან იყო დაკავშირებული, სერგო ლიტერატურის, კერძოდ კი პოეზიის განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩეოდა. იყო დრო, როდესაც ძალიან ხშირად ვიყავით ერთად მე, სერგო და ჩვენი მეგობრები. ვსვამდით, ვამბობდით ლექსებს და ვაკეთებდით ჩანაწერებს. მას შემდეგ 40-50 წელი გავიდა. ალბათ დადგება დრო, როდესაც ამ ჩანაწერებს გამოვაქვეყნებ. მათში ურთიერთპატივისცემა, თავისუფლება, იუმორი, ბოჰემური განწყობები სჭარბობს. ამ ჩანაწერების ავტორთაგან ბევრი აღარ არის ცოცხალი.

სერგო, რომ ლექსებს წერდა, ვიცოდით. ერთხელ ავთო ბერიძემ მოახერხა და რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა კიდეც თავის გაზეთში, როგორც მახსოვს, მაგრამ ის, რაც ლერი ნოზაძემ და მეგობრებმა გააკეთეს სერგოს ლექსების შეკრებით, დიდი საქმეა. სერგოს ცხოვრების არც ეს მხარე უნდა დარჩეს ჩრდილში.

ჯავახეთში დაბადებული და მთელი ცხოვრება სამხრეთს ნაზიარები კაცისთვის ბუნებრივია, რომ სამშობლოს თემა უმთავრესია მის ლექსებში:

„შენი ტრფიალი ვინ შემასწავლოს,
სამშობლო, შენით ვცოცხლობ, ვიზრდები,
მე მტკვარს მივუყვები ლამაზ სიმღერით
და სიმღერების ლამაზად ვიქცევი
და თუ ქვეყანას მეც დავჭირდები,
მის სიყვარულში გავნანილდები“.

მახსენდება მისი ცხოვრების ბოლო წელი, როდესაც ძალიან უჭირდა მას ფიზიკურად, მძიმე ავადმყოფობაშეყრილი მაინც არ იშლიდა და ლექციებს არ აცდენდა. ამითაც ნაწილდებოდა თავისი ქვეყნის სიყვარულში, ჩვენი სერგო აქ სჭირდებოდა ქვეყანას და ისიც აქ იყო, აღარ შეეძლო, მაგრამ აქ იყო.

ჩვენს თაობას საფიცრად ჰქონდა სამშობლო. არ ერიდებოდა მოსაფერებელ სიტყვებს, საქმითაც დაუმტკიცებია ქვეყნის სიყვარული. ასეთი იყო ამ თაობის ღირსეული წარმომადგენელი სერგო მელიქიძე.

წასულა ყველა,
ყველა წასულა,
წასულა ყველა წინაპართაგან...
ვდგავარ დარაჯი ათასწლოვანი
საქართველოს მისავალ კართან!

წინაპრის წინაშე პასუხისმგებლობა, ვალდებულებად, ერთგვარ ცხოვრებისეულ დოქტრინად ექცა:

წარსულიდან გამოგვიხმობ,
თუკი გამიღიმებ ცისკარს...
ჩემო დიდო წინაპარო,
გამოვყვები შენს კვალს,
დამიჯერე, ეს მთა-ველი

შენებურად მიყვარს,
შენს საფიცარ საქართველოს
შენგვარადვე ვიცავ!

ადგილის სახელების ქება ან დამახასიათებელი ნიშნის ხაზგასმა და ამით მეზობელი სოფლების გაღიქება ჯავახური ტრადიცია იყო, რის კარგი მცოდნეც გახლდათ სერგო და კარგადაც იყენებს თავის ლექსებში:

„დილისკას სეტყვა მოსულა,
ქილდას წალეკა ყანაო,
აფნიას, ქარცეფს, მირაშხანს,
ოდოჟღერ დააყარაო....
ისე გახადა მინდვრები,
სოხახებს დაამგვანაო....
რალა უშველის ჯავახეთს,
რარიგად გაამწარაო!...

როგორც ყველა პოეტს, სერგოსაც საკმაოდ ბევრი უწერია ლირიკული ლექსი. ხან თავად დასტრიალებს ქალს, ცხოვრების თავსა და თავს, ხანაც გვერდიდან უცქერის და აკეთებს ავტორიტეტულ დასკვნებს.

„თეთრი ქალი
თეთრი ღამე,
„შავად გათენებული“,
ოცნებები დაკარგული,
ცხადიცა და ფასეულიც,
ალარც მარე და ალარც მთვარე
ალარც ღვინო კახური,
თეთრი ქალი
თეთრი ღამე
ღვინო „ალადასტური“...

— ეს ღამეზეა ნათქვამი...
ახლა დღისას მოვუსმინოთ:


მიდის და მიაქვს ჩახლართული ფიქრების ბადე,
მას ჩუმი მზერა ეამაყება, ეს უნდა გწამდეს,
გრძნობის ქაოსში ამოარჩევს, ვინ იცის რამდენს,
მაინც მალულად გითვალთვალებს, ქმარიც რომ ჰყავდეს!

მის ლექსებში ჩანს დარდიც, იმედიც, გამტყუნებაც და სიხარულიც, ყველაფერი ჩანს, თაობას, ცხოვრებას რომ ანუხებდა. ადამიანი თავისი გაკეთებული საქმით ფასდება. მისი ლექსების გაცნობისას გულისტკენა გიპყრობს ადამიანს – რატომ მეტი არ დაგვიტოვა, მეტი არ დაწერა...

სერგო იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც ჩვენი აწინდელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი თსუ ახალციხის ფილიალის შექმნისა და მშენებლობის გზაზე დაეცა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში ვინც შემოვა, იქვე, პირველივე სართულზე სწორედ პროფესორ სერგო მელიქიძის აუდიტორიას ნახავს. გავა დრო, მოვა თაობა, რომელსაც მხოლოდ გადმოცემით ეცოდინება უნივერსიტეტის ჩამოყალიბების სათავეებში მდგომი ადამიანების შესახებ. აუდიტორია კი ყველას შეახსენებს, რომ ამ აუდიტორიაში ჰქონდა ლექციები პროფესორ სერგო მელიქიძეს. იგი უყვარდათ სტუდენტებს, უდიდეს პატივს სცემდნენ მეგობრები და თანამშრომლები.

პოეზია

სერგო მელიქიძე



სამშობლო

შენი ტრფიალი ვინ შემასწავლოს,
სამშობლო, შენით ვცოცხლობ, ვიზრდები,
მე მტკვარს მივყვები ლამაზ სიმღერით
და სიმღერების ლამპრად ვიქცევი
და თუ ქვეყანას მეც დავჭირდები,
მის სიყვარულში გავნანილდები!
აქ უყურებდნენ დაისს, მზის ჩასვლას,
ბექა და ბეშქენ ოპიზარები,
აქ დაისაჯა სიყვარულისთვის -
მეფე პატრონი ბერის ბრძანებით,
აქ რეკდნენ ქვეყნის გადარჩენისას -
ოპიზისა და ხანძთის ზარები!
რომ ვყოფილიყავ იმ ეპოქაში,
ნეტავ, თუ რამეს დავიზარებდი?
ვივლიდი რწმენით გაჯერებული,
იმ სიყვარულით ნაზიარები,
საუკუნეთა ქროლვას მოვყევი,
და შატბერდიდან გესაუბრებით,
მე სიყვარულის ამბავს მოვყვები

და არ ვინაღვლებ თუკი მოვკვდები!
ასე მგონია, მამულო ჩემო,
შენ გამსახურებდი, რაც კი ვიცოცხლე...
შემოსანი თუ იყო ლექსი,
მეც შემოგნირე, ჩემო სიცოცხლევ!
ჩემი უმწეო ფრთებით ვიფრინე,
დრო, რაც მარგუნა დროის მსაჯულმა,
მეც ვწერდი ლექსებს შენს სიყვარულზე,
მაგრამ ბოლომდე ველარ გავსულვარ!
თუკი რაიმე მეცა ვთქვი სიტყვა
და დროის სრბოლას ვერ გავასწარი,
ლოცვად მიიღე მცირე ნობათი,
„შენს სიყვარულში რაც მოვასწარი!“

წყაროსთავის მონასტრის მოთქმა

ნასულა ყველა,
ყველა ნასულა,
ნასულა ყველა წინაპართაგან...
ვდგავარ დარაჯი ათასწლოვანი
საქართველოს მისავალ კართან!

ჯავახიშვილი

იქა ვართ, სადაც გველოდით
საუკუნეთა მიღმა...
თავფარავანის ტბასთან
ვეება მთვარე იწვა,
ორი მდინარე სდიოდა
სისხლად ჯავახურ მიწას,
მკლავმოუღლეელი ვაჟკაციც
სულმიქანცული მიწვა!
ცულდას, ოკამს და ხანდოს
გადაუღებლად წვიმდა,
რვალის გამტეხიც გატყდა,
მისანვდომს ველარ მისწვდა!
მემატიანის დავთარს
ქარი შლიდა და ხევდა,
შეძრწუნდა ადგილის დედაც
და ჩაიღვენთა ცრემლად!
... დავაგვიანეთ მოსვლა -
შეგვიჩინე,
ქართლის დედავ!

დილისკას სეტყვა მოსულა,
ქილდას წალეკა ყანაო,
აფნიას, ქარცეფს, მირაშხანს,
ოდოჟღერ დააყარაო....
ისე გახადა მინდვრები,
სოხახებს დაამგვანაო....
რალა უშველის ჯავახეთს,
რარიგად გაამწარაო!...

ქვეყნის სამსჯავროს წინაშე ვდგავარ,
ვუჩივი ღმერთებს, განგების ძალას,
განსასჯელი ვარ?
გამასამართლეთ!
მოვითხოვ ჩემსას
კვალად და კვალად...
მე უფლება მაქვს, რომ მოვითხოვო
რაც კი გადმომცა წინაპრის ხსოვნამ,
რაც რომ წაიღეთ ნებით თუ ძალით,
რაც მართებს ყველას ქართველის ვალად,
ისეთს არაფერს მოვითხოვ თქვენგან,
სისხლხორცეული არ იყოს ჩემი,
რაიც ქართული არ იყო ადრე,
რაშიც არ არის ქართული გენი!
დამიბრუნეთო, რეკავენ ჩემში
კოლხთა და კლარჯთა სულის ზარები,
ვინ? ვინ ჰპატრონობს ბასიანს, ბანას?
ვის აქვს უფლება, წამართვას ხანძთა,
წყაროსთავს, ხახულს, ოშქსა და იშხანს
ვინ იცავს,
რათა, რატომ და რისთვის,
გრიგოლ ხანძთელი სირცხვილით იწვის,
სამშობლო მისი, ტაო-კლარჯეთი
ვინ გაიგონა, რომ იყოს სხვისი?
დამაბრუნეთო, იბერთა სამყოფს,
ბასიანს მოთქვავს მიწა ბებერი,
ნეტავ, რამ გაყო,
ნეტავ, ვინ გაყო,
ფანასკერტი და ლაზიკა ჩვენი!
ვინ დაუგმანა იმერხევს კარი,
შავშეთის გზები ვინ გადაკეტა,
არტანუჯს ვერა, ვერ შეველევით!
მაინც რა ხვედრი გვარგუნა ბედმა,

ასე მისხლობით გადავწვანავდი?
რალა პასუხი მივუგოთ მერმისს?
ჰოი, განმსჯელო, თქვენ შეგლალადებთ,
მომეცით ჩემი წარსული, გესმით!

ქარელი

წინაპართა ხმა მომესმა
ქართველთა, კახთა, კლარჯთა,
მთა-მთა, ხევ-ხევ, მინდორ-მინდორ
ექო გაიფანტა...
მივდიოდი, მივყვებოდი
ველად გაშლილ ხმათა,
მივძახოდი ან გარდასულ
ათიათასს წამთა,
რალაც ძალა მეწეოდა,
რალაცისა მწვავედა,
ზე წამოდგა ღმერთთა ღმერთი
მთებს ოქროსფრად რთავდა...
ზე ასწია ორივე ხელი,
შელაღადა ცათა,
„ესე არის საცხოვრისი
წინაპართა ქართთა.

არაფერი არ მინდა,
არაფერს არ ვთხოვლობ,
სულო ჩემო მშფოთვარევ,
ღმერთო ჩემო გრძნეულო!
ცხრამეტი წლის გოგო
ათასი წლის წინათ,
იდგა ხელაპყრობით
ჯავახეთის მთათა,
ლოცულობდა, წმინდა
სურვილები კლავდა,
თავფარავნის გზებზე
ველარ წყვეტდა თვალთა...
მასაც ჩემებრ სურდა,
მასაც ჩემებრ სწვავდა,
ნეტარება სულის,
ხმაი გულისთქმათა,
ცეცხლად მოვლენილი,
ნეტარების წამთა...
ჟინი დაიფერფლა
ჯავახეთის მთათა:
ჯვართა გულის ჯავრთა
ალიმართა ხატად,
მთებზე დაიხატა
და ლამაზი სული
ქარში გაიფანტა!

აბულის მთიდან დაგორდა მთვარე,
მთვრალი იყო,
უცბად გაჭორეს,
ახლა ხერთვისთან წევს გველეშაპი,
ნაბახუსევი მშვიდად აზმორებს...
არა, ის ხმაში ვერ გაუძლებდა,
ცაში აზიდულ ამდენ მთა-გორებს,
ოჰ, ისე როგორ უნდა დაითრო,
რომ სამარცხვინოდ მთიდან დაგორდე!

ჩემი ქვეყნის ჯავარი, არმაზი და ვარძია,
არა, სხვაგან არ არის უფლისციხე მეორე,
საქართველოს სახელი ცის თაღზე რომ ასწია,
გელათი და იყალთო...
ასჯერ რომ ვიმეორებთ...
ჩაუმქრალი ღაღარი დღესაც ისევ ანთია
პალესტინა, კუმურდო,
პეტრინონი, ხერთვისი...
მათი საქმე უკვდავი, აბა, ვინ გაარჩია,
საოცარი ნარსული,
ჩვენი ანწყო, მერმისი...
საქართველოს დიდების
ხოტბად გადაჰქცევია!

შვილს, რომელიც ჯერ არ მყავს

ეჰ, როდის მოხვალ?
სადა ხარ?
ვინ ხარ?
სადა კრთის ნეტავ შენი ნათელი,
ვის არსებაში ბინადრობ ახლა,
ვისი ხელით ხარ ჩამოსაქნელი...
რისთვის და რატომ მოდიხარ ქვეყნად,
შენ ჯერ არ იცი,
ჯერ ვერ მიხვდები,
გულის კოვზიდან მოგწყვეტენ დედას,
მერე ტირილით გადაბჟირდები,
წამში დამივლის გრიგალი ტანში,
რალაც სხვაგვარად გარდაიქმნები,
და შეიცვლება ჩემი ცხოვრება
შენზე ზრუნვით და შენზე ფიქრებით;
ვიცი, გექნება დედის თვალები,
მამის სიკერზე და შემართება,
ულევი სითბო და სიყვარული
შვილო, ჩვენგან რომ დაგენათლება,
უნდა მიუზლო მოყვასს მთლიანად,
მიტომ მოდიხარ ქვეყნად ქართველად!
ჩვენ რას დაგარქმევთ, ეს სულ ერთია,
სახელი არის ძალზე მრავალი,
სახელს შენ უნდა ალამაზებდე...
აი, რა არის, შვილო, მთავარი!
შენ ქართველური მოგყვება გენი,
შენში იბუდოს უნდა წარსულმაც,
წინაპართა ძვლებს მიხედო უნდა,
რომ არ წაბილწოს გესლით ავსულმა,
ერთი სიცოცხლე ყველას ეძლევა,
ყველას აქვს თავის წუთისოფელი,
გზებს, რომელზედაც უნდა იარო,
ვინ დაგახვედრებს ვარდით მოფენილს!

შენ უნდა იგრძნო სამყაროს სუნთქვა,
ავიც და კარგიც თვითონ განსაჯო,
არ შეგენანოს თუკი სიკეთეს,
მთელი სიცოცხლეც რომ დაახარჯო,
ამაოების გზაჯვარედინზე
ვერც სული სწვდება და ვერც გონება,
თუკი წინ წასულს ვერ დაენევი,
ეს დამარცხება ნუ გეგონება!
შენკენ ვწევთ ხელებს,
მთრთოლვარე ხელებს
და ასე ბნელში ბილიკს მიყვებით,
ამაოების გზაჯვარედინზე
შემოგვალამდეს იქნებ ლოცვებით...
და თუ შევიგრძნობთ შენს ქართველობას,
აღარ ვინაღვლებთ, თუკი მოვკვდებით,
რადგან იმედი წაგვყვება დიდი,
რომ შენში ისევ განვმეორდებით!

ზღაპრებში და ლეგენდებში
დაგეძებდი დიდხანს,
ვინ თქვა, თითქოს არ ვიცოდი,
ვინც იყავი, ვინ ხარ,
წარსულიდან გამოგიხმობ,
თუკი გამიღიმებ ცისკარს...
ჩემო დიდო წინაპარო,
გამოვყვები შენს კვალს,
დამიჯერე, ეს მთა-ველი
შენებურად მიყვარს,
შენს საფიცარ საქართველოს
შენგვარადვე ვიცავ!

ქალიშვილს, რომელიც არ მყავს

როგორ გელოდი მთელი სიცოცხლე,
ლოცვით დავღალე ჩემი საწუთრო,
რომ არ მყოლიხარ, ვერ დავიჯერებ,
უშენოდ როგორ დავისაყუდრო!
შენი ხატება დამდევს და ყველგან
სახელს გარქმევდი, ვინ იცის რამდენს,
ცხოვრებას ალბათ ვამთავრებ უკვე,
შენი სახება კი ყველგან დამდევს!
როგორი უნდა ყოფილიყავი,
მაინც როგორი წარმომედგინე,
ქალიშვილს, როგორს ინატრებს მამა
საუკეთესოს სულის მერდინზე.
მე თუ ვაგრძელებ ამ ლექსის წერას,
მხოლოდ იმიტომ, რომ შენ დაგეძებ,
თუ შვილად არა, ეგებ მალირსო,
რომ შვილიშვილად გამომეცხადო.
და მაშინ იგრძნობ, რა არის ცხადი,
ვინ დადის ქვეყნად თავანუული,
რომ ჩემი გენი შენი წყალობით
ხიდი იქნება ათასწლეულის....
შენ მოხვალ ქვეყნად ალბათ ტირილით,
სამყარო კრძალვით მოგეფერება,
და გაბრწყინდება ჩემი ნაგრამი,
საქართველოს ნათელ ფერებად!
და ჩემს ლამაზად გაჭრილ სამარეს
შენი ცრემლები დაედინება!
სადა ხარ, მაინც,
მოდის, დრო მიდის...
მეც დავიღალე...
რად გამებუტე...
საქართველოსაც სჭირდება დედა!
დედა, რომელიც დრო-ჟამს შეუტევს!

მეგობრებს

ზარი დარეკავს წარმავლობის,
ყველა ვგრძნობთ ამას,
მაგრამ ამაყად გვიჭირავს თავი...
და ლუდხანებში,
და რესტორნებში,
რომ ვეძალებით ღვინოს და არაყს,
(ლუდსაც ძალუმაღ!)
ვინ ფიქრობს მაშინ,
რისთვის, რად უნდა...
ყოფნა - არყოფნას ვინ რას დააკლებს,
არარაობა დგას და ხარხარებს,
ადამიანებს დაგვცინის ალბათ!
რამდენი რამე გვეშლება თურმე,
ვაგლახ!!

დავდივარ აღმართ-აღმართზე
წინაპართა კვალს დავეძებ,
ფრესკებთან ხელაპყრობილი
მუხლის ჩოქზე რო დავეცე...
ეგება გავაგებინო
შთამომავალთა ჩივილი..
„ყოფნა - არყოფნა „ეს არის,
ჩვენი თაობის ტკივილი!

ღმერთო, მლოცველთა წინაშე ვდგავარ,
ხატებს უცნაური ახრჩობთ გაოცება,
გაფითრებულ სანთლებს რა საოცრად ვგავარ,
სული გონებაზე მეტად გაოგნდება!
მესმის ლალადისი მალალ დიად ღმერთთა,
„სული დაუმშვიდეთ, მიუტევეთ ცოდვა“,
მე არ დამჭირდება თქვენი აღსარება, -
რადგან აღსასრული უთქვენოდაც მოვა!
მორწმუნეთა შორის ურწმუნოთა ხილვა,
ღმერთთა გაოცება, შიში მორწმუნეთა...
ცაში გაკიდული რჩება შეგონება -
გული ურწმუნოთა როგორ მორჯულდება!

მე ხვალ დავტოვებ თბილისს და წავალ,
რომ გავერიდო ზაფხულის სიცხეს,
მაგრამ ვერა ვთმობ საყვარელ ქალაქს,
რამეთუ გული არსაით მიწვეს,
როგორც შვილს დედა ვერ შელევია,
რაც უნდა უღირსი იყოს...
ისე მექახის დედა თბილისი
-საით მიდიხარ, ბიჭო?
რაც უნდა ბევრი ჰყავდეს შვილები,
განა ვის გამოარჩევს?
არ ემეტება არავინ სხვისთვის,
ყველას თავისკენ უხმობს.

ლაპარაკობენ მკვდრები!

ყური დაუგდეთ, ისმინეთ ყველამ!
ლაპარაკობენ მკვდრები!
ვისაც შიში და ძრწოლვა ვერ შეშლის,
ნარმომართულან მკვდრეთით...
დაუძლეველი ძალა და შიში,
ვისაც ველარა ბორკავს...
ამაოების გზაჯვარედინზე მამაცთა სული ბორგავს...
არარაობის სამეუფოდან კაცობრიობის მოდემას,
დაუგდეთ ყური უკუნეთიდან
ოხვრას, ტირილს და მოთქმას,
მათ, ვისაც უკვე ვერავითარი
სიკვდილი ველარ მოკლავს...
საფლავებს ქვევით, ცივ ლოდებს ქვევით,
მოსანყენია უფრო,
ჩვენ ამოვზიდავთ საუკუნო მხრებს,
ნარსულს და ანმყოს ვუხმობთ!
გადაუხდელი რა გვექონდა ვალი
ძველის და ახლის ერთად,
ნარსულს და ანმყოს ვერ გადვექცევით,
ვერ გადვექცევით მტრებად!
გუგუნი ჩვენი დაფერფლილ სულის
ვულკანზე მეტად შეგძრავთ,
მილიარდობით ობოლი სული
მარადისობას ვძერწავთ!

შენ დაიძინებ ბავშვური ძილით,
სახეს ნათელი დაგეფინება.
გიყურებ, ვთვრები შენი სინაზით
და ალტკინებულს არ მეძინება!
მე შენი სახის ღიმილს მიყვები,
ვარ დევგმირი და შენი რაინდი,
ვგრძნობ, ჩემს სიყვარულს და თავდადებას
როგორ განიცდი!
შენა ხარ მეტი ალერსის ღირსი,
ვერ დაგიფასე ღიმილიც ოდნავ,
თუმცა არა სურს მეტი შექება,
მე შენი ქების სურვილი მომკლავს!
გულწრფელი ქება ნდობაა, კარგო,
რასაც ლამაზი სიცოცხლე ჰქვია,
შენ ტრფობისათვის დაბადებულხარ,
მე სიყვარულის მალამო მქვია!

შენ!

სულის ნათელი არ დამიბინდო,
ნერვს არ შეეხო მთავარს,
ამქვეყნად როგორც მოვედი,
ისევე უკან წავალ...
ჯერ კი ვით მონა-მორჩილი,
აქ შენ წინაშე ვდგავარ!...

მე წავალ ჩუმი და მორიდებული,
შენი სახება ოცნებად გამყვება,
სათქმელად მექნება,
სანთლებად მენთება,
რაიც არ ღირდა თურმე გამხელად!

ჩემს დაქალაქს

ჩემო კარგო გოგოებო,
კარგებო და როგორ,
მზე ჩავა და მზე ამოვა,
თქვენ არავინ მოგწონთ!
დამაცადეთ, ყელყელებო,
ყველას პასუხს მოგთხოვთ,
ფორთოხალას ნაზი კდემა
თაობებით მოგყვათ,
ჩირალდნებად ანთებულნო,
გზრდიდათ მისი ლოცვა,
ჩვენი ტრფობის ბალნარებო,
გულს რად უკლავთ მოყვასს.
აკვნებს ჩრდილი წაეფარა,
სახლში ჩადგა სევდა,
შეისმინეთ ჩვენი თხოვნა,
ივერიის ბედად.
რა იქნება ყველა თქვენგანს
გრაჯხდეთ ქართველ დედად!
.... ყელყელებო, ყელყელებო,
თქვენი სიტყვა გეთქვათ.

სიყვარულზე მღეროდი,
ოცნებობდი, ტიროდი,
სხვასთან რატომ ჩიოდი,
როცა ასე მტკიოდი.
ჩემ წინ მთელი სიცოცხლე
გადი-გამოდიოდი,
როგორ ვერა მხედავდი,
როცა ცრემლად მდიოდი,
სხვისთვის რალად ტიროდი,
სხვისთვის რალად ჩიოდი?

შენს ბაღში მე ვიცი,
აყვავდებოდა ალურჩა,
რაო, რასა მწერ,
ფოთლები გალურჯდა(?)
ალბათ სიმწვანე ლურჯ ფერში გერევა,
უფრო ხილდი სიყვარულს ბევრი ვერ გადაურჩა!

ავილოთ, დავილოთ,
მინც ესა ვართ...
ისა ვთქვათ...
ესა ვთქვათ...
აღმა ვხნავთ?
დაღმა ვხნავთ?
ნუ ვჩივით, რაღა ვქნათ!
ვის ვგავართ,
რას ვგავართ
ესა ვართ, რაცა ვართ!
საქმე ისაა...
სათქმელი დროზე ვთქვათ,
რაც მამულს და მის ხალხს
სჭირდება, ისა ვქნათ!

მოლა

ასე იყო თუ ისე,
ერთი მეორეს სჯობდა,
ძველი იყო თუ ახალი,
რალაცას ყველა თმობდა...
იბრძოდა,
გმობდა,
აღწევდა,
რთავდა,
კაზმავდა,
რყვნიდა.
ჟამი უღმობლად რბოდა....

მარტოსულს

გულცივი ზამთარი მოვა,
ურცხვად შემოგიღებს კარებს...
სულს გაგიყინავს თოვა,
ო, როგორ გაგანვალებს!
მოიბუზები სანყლად,
ფიქრს მიეცემი მწარეს,
ნეტავ, ვინ მოვა მალე,
ნეტავ, ვინ გაგახარებს...
ვიცი, ჩადგება ყინვა
ფერი ეცვლება მთვარეს...
შენ კი არავინ გიხმობს,
ხურავ და აღებ კარებს!

თქვენ ისევ მარტოდ რჩებით
და ლეგენდებით ცოცხლობთ,
ორი ბობოქარი გული,
ორი თავნება გოგო!
უბის წიგნაკები გოდებენ,
დღიურებს ცრემლები ანრჩობთ,
განცდები იწვიან,
იჭვები ხარხარებენ,
-რატომ?
რალაც მოჩვენებებს შეჰხარით,
სიცოცხლეს ლეგენდებს ანდობთ!
ზედმეტად თავაზიანი ბრძანდებით,
ქალბატონებო, გმადლობთ!

ის გაიყვანეს სახლიდან ღამით,
ქურდულად, ჩუმად, „კანონის ძალით“,
განუკთხავად გაასამართლეს,
ისევ და ისევ „კანონის ძალით“.
დაობლდა ბავშვი, სახლი და ქალი,
ჭეშმარიტებამ დაკეცა ფრთები
და არაკაცის ბინძური ენით
მოესპო ოჯახს იმედი ხვალის!
ის კი ბოროტი ყალბი ღიმილით,
„კანონის ძალით“ ქუჩაში დადის!

რია-რია

თეთრი ქალი,
თეთრი ღამე,
„შავად გათენებული“
ოცნებები დაკარგული
ცხადიცა და ფარულიც,
ალარც მზე და ალარც მთვარე,
ალარც ღვინო კახური,
თეთრი ქალი,
თეთრი ღამე,
ღვინო „ალადასტური“...
არც გიტარა არ მჭირდება,
ალარც შენი ფანდური,
ერთმანეთში გახლართულა
ანმყოცა და წარსულიც.
ქანდარაზე შემომჯდარა
ყველა დროის ავსული,
ზღაპრებიდან გამოსულა
ჩემი ძნელი წარსული...
თეთრი ქალი,
თეთრი ქალი,
საით არის წასული?!

შენში შემოსულა შემოდგომა,
გაზაფხულს ჰგავდი მახსოვს,
სად არის ის პატარა გოგონა,
ოცნებას მთვარეს რომ ანდობს!
შენ ახლაც გჭირდება თანადგომა -
მიყვარდი, გახსოვს?

ზღაპარ იყო....

მოვდიოდით, მოვყვებოდით
უსასრულო გზებს....
ჩვენ ვიყავით ერთი წყვილი
და ათასი სხვა.
„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“
წინაპარმა თქვა.
ჩვენ გზადაგზა ვიზრდებოდით,
იზრდებოდა სხვაც...
ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი...
გრძნობა ყველას აქვს...
მერე ფიფქმა დაგვათოვა,
გაგვიჭირდა სვლა,
ჩვენ წინ ისევ გრძელდებოდა
უსასრულო გზა.
ჩუმი სევდა შეგვეპარა,
გაგვებზარა ხმაც,
ჩვენ ასაკში შევდიოდით,
ბერდებოდა სხვაც...
ჟანგი ვერსად მოეკიდა
სიყვარულის ზარს....
„ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“
წინაპარმა თქვა.

ქველი რვეულიდან

ც. გიგაურს

ეს გამტვერილი ოცნება,
სულის შერისხვა, დევნა...
გაოცებული მიდამო
ფოთლებგაცვენის ხეთა,
გინახავს სულის ტირილი?
ხვენნა, მუდარა ღმერთთან,
აჯანყებული გული,
პირმოქუფრული ზეცა...
შენ მოდიოდი მარტოდ
და ჩითის კაბა გეცვა!
გზაზე ლანდების რიალი
ათას შეუცნობ ფერთა,
მჯობზე უმჯობეს ხატებს
ქარი ხარხარით ხევდა,
გადავინყებულ მონასტრებს
არ ანუხებდათ სევდა...
ვერ შეიცანი მაშინ,
რადგან შენც ბავშვი გერქვა!
ლტოლვა დაქანცულ სულთა,
ჯვარზე გაკრული ლოცვა,
ღმერთების პანთეონშიც რბევა,
ჟლეტა და ხოცვა...
დასაბამიდან დღემდე...
ჭირისუფალთა მოთქმა,
განზე გამდგარი ობლად
კაცობრიობის მოდგმა...
შენ შემოაღე კარი,
ვით გაზაფხულის ფეთქვა!
ათას ლეგენდებს ჩვეული,
შთამომავლობის ფერხთა...
გართხმულა ყოველივე

მრავალ შეუცნობ ფერთა,
სულის განცდა და წუხილი,
რაიც ვერავინ ვერ თქვა,
განგების ორომტრიალში
გადმოიღვრება ერთად...
და ვიცი, უნდა იგრძნო
მხოლოდ შენ ერთადერთმა!

1971

დედა

შენი წასვლის შემდეგ
წასულა წლები,
მეც ვუახლოვდები
შენს ასაკს, ვხედავ,
ყოველ წელიწადს აპრილი მოდის,
მალე შევხვდებით,
ასე ვგრძნობ, დედა!
აპრილმა როცა გაიხსნა გული,
ჩამოიბურტყა მკაცრი სიცივე,
მაშინ ვიტყვით ყველაზე მწარედ,
როცა სიკვდილი ვერ მოვიცილებთ!
შავეთის ელჩი გამომეცხადა
და გადამიდგა დედის მოცილებელ!

მე ვერ მივყევი ჩემს მონოდებას,
ვერ მოვიცილე ეჭვი და სევდა,
ისე ვიცხოვრე, როგორც არ მსურდა
და უნდობლობა გზადაგზა მდევდა.
და ეჭვს, რომელიც მაცამტვერებდა,
მთელი ცხოვრება დავატარებდი,
მეგონა, სადმე გავიმარჯვებდი
და ჩემს ორეულს გავახარებდი!
არ მოიცალა ჩემთვის არავინ...
დამტოვეს გაღმა მიუსაფარი,
სიმსივნედ მექცა კაცობის განცდა,
ბედკრულ ცხოვრების დანატოვარი!
გერად მიმილო ნუთისოფელმა,
კიბეზე ასვლა არ დამაცალა,
ბედმა, რომელმაც ასე გამთელა,
სიყვარულისგან უცბად დამცალა.
ვერ შევიკავე უცნაურ ძალით,
ჩემკენ ნატყორცნი უბედურება,
თუკი სიმღერაც ვერ მოვასწარი,
ამაზე ნურვინ დამემდურება;
ვიყავი მხოლოდ რითმის ჩანჩქერი,
ჰო, ერთი ლექსიც ვერ დაგიტოვე -
უმორჩილესად გემუდარებით,
ნუ გამეცლებით,
ნულარ დამტოვებთ!

N - ს

„განა ამისთვის მოვედი ქვეყნად,
რომ მხოლოდ უნდა ლექსები ვწერო!“
ამას ამბობდი გულდანწყვეტილი,
რომ აღარა ხარ, რით დავიჯერო!
მანც ვერავინ გაიგებს ალბათ,
რითი სუნთქავდი, რა განამებდა,
სხეულში იქნებ გეჯდა სატანა,
ვაი, რა უღვთოდ გაგანვალებდა!
არავისთან შენ არასდროს გითქვამს,
არცა არასდროს დაგიჩვილია,
ეპიტაფია გეგონა მხოლოდ -
„ხვალ ჩემს საფლავზე სხვები ივლიან!“
ახლა გავიგე, ვინც რომ ყოფილხარ,
რა საჭიროა შენი გამხელა,
ჩვენ გვერდით იყავ უბრალო კაცი
და გული გქონდა თურმე რამხელა!
ავადმყოფობა გტანჯავდა, ვიცი,
ეულის სულის მარტოდ ტარების,
ობლად მოხვედი ამ ქვეყანაზე
და ბაჯალლო გულს დაატარებდი!
მე როგორ გითხრა, ვის არ უყვარდი,
ჩვენში შენ თუკი ვინმე გარჩევდა,
შენ გულნაკლული ნახვედი ჩვენგან
და ამას ალბათ ვერვინ გამჩნევდა!
ასეთი არის პოეტის ხვედრი,
გამარჯვებული მანც ისჯები,
გაგაცამტვერებს ბედი მდევარი,
თუკი მას სადმე გადაეყრები!

სამეცნიერო შრომების სია

1. „თა“ - ნიანი მრავლობითი თანამედროვე ქართულ ენაში, თეზისები, თსუ სტ. სამეცნიერო კონფერენცია., 1966 (თანაავტორები: ო: მემიშიძე, თ. ჩხაიძე).
2. ომონიმები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, თეზისები, თსუ სტ. სამეცნიერო კონფ., თბ., 1967.
3. სიმონ ჩიქოვანის „განჯის დღიური“, თეზისები, თსუ სტ. სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1968.
4. კომკავშირი და ახალგაზრდობა პიროვნების ფორმირება, თეზისები, თსუ სტ. და ასპ. სამეცნიერო კონფ., თბ., 1970
5. სიმონ ჩიქოვანის „გიტოვებ ნიგნს“, საქ. მეცნ. აკადემიის ლიტ. ინსტიტუტის, I რესპუბლიკური კონფ., თეზისები, თბ., 1974. (შემდეგ გამოქვეყნდა „ლიტერატურულ მესხეთში“).
6. ჯავახური დიალექტის ლექსიკიდან, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, N3, თბ., 1973.
7. ჯავახური დიალექტის ლექსიკონისათვის, თსუ ახალგაზრდა მეცნ. მუშკთა შრომები, N3-4, თბ., 1974.
8. მცენარეთა სახელები ჯავახურ დიალექტში, თსუ ახალგაზრდა მეცნ. მუშკთა შრომები, N3-4, თბ., 1974.
9. მიკროტოპონიმის ქრობის პროცესი, საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე“ 93, N3, თბ., 1979.
10. საქმისწარმოებისა და კორესპოდენციის პროგრამა, თბ., 1979.
11. ეტიმოლოგიური ძიებანი ქართული ტოპონიმიიდან, კრებული, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ზოგადი საკითხები“, თბ., 1978.
12. ბორჯომის ხეობის ორონიმული ტერმინოლოგიიდან, თეზისები, თსუ I რესპუბლიკური კონფ., თბ., 1974.
13. „ღელე“ და „სვანი“ ბორჯომის ხეობის ტოპონიმიში, კრებული „რესპუბლიკური კონფერენციის მასალები“, თბ., 1980.

14. სინონიმური ტოპონიმია ბორჯომის ხეობაში, თეზისები, II რესპუბლიკური კონფ., თბ., 1980.

15. ტოპონიმკური ძიებანი, თსუ ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა შრომები, ტ. VII, თბ., 1981

16. რუსულენოვანი ტოპონიმია ბორჯომის ხეობაში, თეზისები, III რესპუბლიკური კონფ., თბ., 1982.

17. ბორჯომის ხეობის ანთროპოტოპონიმის სტრუქტურული მოდელები, თეზისები, ამიერკავკასიის ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა სამეცნ. კონფ., თბ., 1982.

18. ტოპონიმიზაციის საკითხისათვის, თსუ ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა შრომები, IX, თბ., 1982.

19. ბორჯომის ხეობის ტოპონიმიდან, კრებული-რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 1983.

20. ქარელის რაიონის ტოპონიმის ფონემატური სტრუქტურა, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა IV რესპუბლიკური კონფერენციის თეზისები, თბ., 1983.

21. ბორჯომის ხეობის მიკროტოპონიმის სტრუქტურული მოდელები, თსუ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომები, ტ., თბ., 1984.

22. ხელობისა და პროფესიის აღმნიშვნელი გვარების წარმოება ქართულში, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომები, თბ., 1985

23. მცენარეთა სახელებთან დაკავშირებული ტოპონიმია, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა, თეზისები, თბ., 1985.

24. „ნარ“ სუფიქსისათვის ტოპონიმიაში, თსუ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომები, ტ. XII, თბ., 1986.

25. ბუერა (ეტიმოლოგიური ცდა), თსუ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომები, ტ. XV, თბ., 1987.

26. მეტგვარი და მისი წარმოება ბორჯომის ხეობის ქართულურში, კრებული ონომასტიკა, თბ., 1987.

27. ქართულ-ოსური ლექსიკური შეხვედრები ქართლის ტოპონიმიაში, რესპიბლიკური დიალექტოლოგიური კონფერენცია - IX, თბ., 1987.

28. „ძე“-თი ნაწარმოებ გვართა მორფო-ფონემატური მოდელები, თეზისები, II რესპუბლიკური ონომასტიკური კონფერენცია, თბ., 1989.

29. ნაპრალოვანთა სამწვერა კომპლექსები ქართულ ტოპონი-
მიაში, II რესპუბლიკური ონომასტიკური კონფერენცია, თბ., 1990.

30. „ძე“-თი ნაწარმოებ გვართა მორფო-ფონემატური მოდელე-
ბი, კრებული „ეტიმოლოგიური ძიებანი“, გამომცემლობა „მეცნიერე-
ბა“, 1991.

31. რამდენიმე ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის, კრებული
„ეტიმოლოგიური ძიებანი“, გამომცემლობა, „მეცნიერება“,
თბ., 1990.

32. „შილ“-ზე დაბოლოებულ ქართულ გვართა მორფოფო-
ნემატური მოდელეები, თსუ ახალციხის ფილიალის I რესპ. სამეცნ.
კონფერენცია, თეზისები, ახალციხე, 1992.

33. ბორჯომი (ეტიმოლოგიური ცდა) თსუ 75-ე წლისთავისადმი
მიძღვნილი თსუ ახალციხის ფილიალის I სამეც. სესია, თეზისები,
ახალციხე, 1993.

34. უცხო ენოვანი ტოპონიმია ბორჯომის ხეობაში, კრებული
„ტოპონიმიკური ძიებანი“, თბ., 1993.

35. აფრიკატთა სამწვერა კომპლექსები, ონომასტიკური კრე-
ბული, თბ., 1994.

36. ქართულ გვართა ანლაუტის სამწვერა კომპლექსები (ერთი
მორფემის ფარგლებში) თსუ ახალციხის ფილიალის II რესპ. კონ-
ფერენცია, თეზისები, ახალციხე, 1994.

37. სონორთა და ხშლთა სამწვერა კომპლექსები ქართულ გვა-
რებში, „ონომასტიკური ძიებანი“, I, ახალციხე 1995.

38. უკანაენისმიერი სამწვერა ვოკალიზებული კომპლექსები
ქართულში, მეორე საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიური
სკოლა-სემინარი, თეზისები, თბ., 1995.

39. ერთი და იმავე ხშულებით და კლასის შიგნით წარმოქმნილი
სამწვერა კომპლექსები, თსუ ახალციხის ფილიალის. IV სამეცნიერ-
ო კონფერენცია, ახალციხე 1996.

40. ერთი ტიპის გვართა წარმოებისათვის, თსუ ფილიალების
სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 1998.

41. დანიშნულების აფიქსები ტოპონიმიაში, კრებ, ქართული
ონომასტიკა I, თბ., 1998.

42. უკანაენისმიერთა სამწვერა ვოკალიზებული კომპლექსები
ქართულში, თსუ ახალციხის ფილიალის შრომები, I, 1998.

43. ბაგისმიერთა კომპლესები ქართულში, თსუ ფილიალის II სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 1998.

44. ქართლის ჰიდრონომია, კრებ. „საქართველოს ტოპონიმია,“ თბ., 1999. გვ. 3-119.

45. ბაგისმიერ ბფზმ და წინაენისმიერ ღნრ ბგერათა სამწვერა ვოკალიზებული კომპლექსები ქართულ გვარებსა და ლექსიკაში, რესპ. დიალექტ. სამეცნ. კონფ. მასალები, ახალციხე, 1999.

46. მცირე ეტიმოლოგები, თსუ მესხეთის ფილიალის შრომები, II ახალციხე, 2000.

47. ბორჯომის ხეობის ოიკონიმები, თსუ მესხეთის ფილიალის შრომები, „მესხეთი“, ახალციხე, 2000.

48. წინაენისმიერ ხშულთა და სონორთა სამწვერა. კომპლექსები ქართულ გვარებსა და ლექსიკაში, ფ. „კავკასიის მაცნე“, N 2, 2000.

49. ბორჯომი (ეტიმოლოგია), კრებ. „მესხეთი-3“, თბ., მ 2000.

50. წინაენისმიერ ხშულთა და სპირანტთა სამწვერა ვოკალიზებული კომპლექსები ქართულ გვარებსა და ლექსიკაში, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი III სამეც. სესია, მასალები, თბ., 2000.

51. - ძე და -შვილ აფიქსიოიდებით ნაწარმოებ გვართა სტრუქტურა, ფ. „კავკასიის მაცნე“, თბ., 2001.

52. კნინობითის სუფიქსები გვარებში, თსუ ფილიალების, ფილოლოგიის ფაკულტეტთა სამეც. კონფერენციის მასალები, თბ., 2001.

53. CVC კომპლექსები ონომასტიკისა და ცნებით ლექსიკაში, ფ. „კავკასიის მაცნე“, N 3, თბ., 2001

54. ჯავახურის ლექსიკიდან, კრებ. „ჯავახეთი-I“, თსუ მესხეთის ფილიალის შრომები, ახალციხე 2002.

55. ქართულ გვარსახელთა ტრანსფორმაცია (უცხოენოვან გარემოში), თსუ მესხეთის ფილიალის III სამეც. კონფერენცია, ახალციხე, 2002.

56. ერთი ტიპის გვართა წარმოებისათვის, საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2002.

57. გვარები ტოპონიმიაში, თსუ სოხუმის ფილიალის სამეც. კონფ. მასალები, თბ., 2002.

58. ტომობრივი სახელებიდან ნაწარმოები გვარები, ჟ. „კავკასიის მაცნე“, თბ., 2002.
59. ბაკურიანის ონომასტიკორი, თსუ ონომასტიკის ლაბორატორიის შრომები, თბ., 2004.
60. „დაიტიჟა“ თსუ მესხეთის ფილიალის შრომები “ჯავახეთი“, ახალციხე, 2004.
61. „ყვერბილი“ - კრებული „მესხეთი-6“, თბ., 2005.
62. ონომასტიკური ძიებანი, I, თბ., 2005, გვ.1-119.
63. წინავითარების აღნიშვნა მცხეთის ტოპონიმიში, თსუ ახალციხის, ონომასტიკის ლაბორატორიის სამეცნ. კონფერენცია, თბ., 2006.
64. პონტიკის წყარო, პოლტიკის წყარო, თსუ მესხეთის ფილიალის შრომები. I, თბ., 2006.
65. საკუთარ სახელთა ფონემატური სტრუქტურის ზოგადი საკითხი, ონომასტიკის ლაბორატორიის სამეცნ. კონფერენცია, თბ., 2006.
66. თანხმოვანთა ბინარული (ორწევრა) კომპლექსები ტოპონიმიში. კრებ., ქართველური ონომასტიკა, III, თბ., 2007.
67. სამწევრა კომპლექსების ურთიერთმიმართულებისათვის (მჟღერები +V + ფშვინვიერები) სსიპ ახალციხის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფ. მასალები, თბ., 2007.
68. მცხეთის რაიონის ტოპონიმი, თბ., 2007 გვ. 1-192.
69. CVC კომპლექსები, რომლებიც მხოლოდ გვარებშია, სსიპ ახალციხის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფ. მუშობის გეგმა და მასალები, ახალციხე, 2008.
70. ბერნარდო ნეაპოლელის ჩანერილი ქართული ზღბრებიდან, კრებული გულანი, ახალციხე, N3, 2008.
71. მჟღერთა ბდძგ მიმართება CVC კომპლექსებში სხვა ფონემებთან, სსიპ ახალციხის ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 2008.
72. ქვაბისხევის ონომასტიკური (მასალები), კრებ. გულანი N1 ახალციხე, 2009.
73. ონომასტიკური ძიებანი, II (გვ.10196), თბ., 2009.
74. ძველი ქართული ენის ლექსიკიდან, სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და მასალები, ახალციხე,

75. ფშვინვიერებისა და სპირანტების ურთიერთმიმართულება CVC კომპლექსებში ლექსიკის სამივე რიგში, ვ რესპუბლიკური ონომასტიკური კონფერენცია, თბ., 2009.

76. CVC კომპლექსებში (ერთი მორფემის ფარგლებში), რომლებიც არის ტოპონიმიაში და არ არის ლექსიკაში, კრებ. „ქართველური ონომასტიკა, თბ., 2010.

77. რამდენიმე ქართულ-ოსური ტოპონიმიური შეხვედრა, კრებ. „გულანი“, თბ., 2009.

78. ბორჯომის რაიონის (ხეობის) ტოპონიმია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და რუსულენოვან სამხედრო რუკებზე“ ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და მასალები, ახალციხე, 2011.

79. ბორჯომის რაიონის (ხეობის) ტოპონიმია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და რუსულენოვან რუკებზე, კრებ. „გულანი“, ახალციხე, 2011.

80. ქვიშხეთის ეტიმოლოგიისათვის, სამეც. კონფ. მასალები, 2011.

ხელნაწერი მონოგრაფიები: ქართლის ტოპონიმიის მცირე ლექსიკონი“, გვ. 150 “კასოის რაიონის ტოპონიმია“, 150 გვ.

21.01.2013



**ტექნიკური და საზუნაზისმატყველო
მეცნიერებათა დარგები
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი განსაკუთრებით გასული საუკუნის მეორე ნახევარში გამოირჩეოდა სწავლების მაღალი დონით.

მათემატიკური მეცნიერება პირობითად რომ დავყოთ 20 ქვედარგად, მათ შორის ხუთი მათგანი მაინც იყო ისეთი, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის (მსოფლიოში მაშინაც და დღესაც სწავლების მაღალი დონით გამორჩეული უმაღლესი სასწავლებელი) პროფესორ-მასწავლებლები ჩვენთან ჩამოდიოდნენ თბილისში კონსულტაციების მისაღებად.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ასწავლიდა 11 აკადემიკოსი (მათ შორის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნევრები), ცნობილი პროფესორები, რაც განაპირობებდა სწავლების სასურველ დონეს.

მისაღები გამოცდებიც კი მაღალი მოთხოვნის ფარგლებში ტარდებოდა, აბიტურიენტი, რომელიც დასძლევდა მისაღები გამოცდების მოთხოვნებს - თუნდაც საშუალო მაჩვენებელზე, მაშინვე (უმალლესი განათლების გარეშე) შეძლებდა საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად მუშობას.

იმ დროისათვის ხუთწლიანი (ერთსაფეხურიანი) სწავლება იყო, თუ მიღებული ნაკადიდან 50% თავის დროზე (ხუთ წელიწადში) დაასრულებდა სწავლას, კარგ შედეგად ითვლებოდა, დანარჩენებს 6-7-8 წელი მაინც ესაჭიროებოდათ სწავლისათვის, ზოგიერთი მათგანი უნივერსიტეტიდან ირიცხებოდა ან სხვა ინსტიტუტში აგრძელებდა სწავლას. როცა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ეროვნულმა ინტერესებმა კვლავ გამოიღვიძა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, დღის წესრიგში დადგა უმალლესი სასწავლებლების განთავსება რეგიონებში.

ბატონი მერაბ ბერიძის ძალისხმევამ (შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე), სასურველი შედეგი გამოიღო და 1990 წელს სწორედ მან დააარსა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი.

1990 წლის ზაფხულში, მისაღები გამოცდების წინა დღეებში ქ. ახალციხეში ვინახულე ახალგაზსნილი თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორი ბატონი მერაბ ბერიძე, მას მივულოცე თსუ ფილიალის დაარსება ახალციხეში და ვთხოვე, თუ მოხერხდებოდა ჩემს მეგობარს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ლორანდ სიგუას დაეწყო მუშაობა ფილიალში მათემატიკის მასწავლებლად (იმ დროისათვის სასწავლო გეგმის მიხედვით მხოლოდ ეკონომიკის ფაკულტეტზე, სექტემბრიდან უნდა ნაკითხულიყო პირველკურსელთათვის „უმალლესი მათემატიკის კურსი“). ბატონმა მერაბმა აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ დამიბარა მისაღები გამოცდების დამთვრების შემდეგ, თუმცა ისიც გაიხსენა, რომ ერთმა პიროვნებამ ანალოგიური თხოვნით უკვე მიმართა ტექნიკური უნივერსიტეტიდან.

1990 წლის აგვისტოს ბოლოს შეთანხმების საფუძველზე კვლავ ვინახულე ბატონი მერაბ ბერიძე ქ. ახალციხეში - ლორანდ სიგუასთან ერთად (იმჟმად ლორანდ სიგუა მუშაობდა საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში).

ბატონმა მერაბმა ლორანდ სიგუა მიიღო თანამშრომლად საათობრივი ანაზღურების წესით. აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში მუშობის სპეციფიკიდან გამომდინარე ზოგჯერ მეც მიხდებოდა ლ. სიგუას ნაცვლად ლექციების წაკითხვა ახალციხეში. შემდგომ საათების გაზრდასთან ერთად მე და რაგულ ინასარიძეც ჩავერთეთ სასწავლო პროცესში (ასე გავიდა ფილიალში პირველი ორი სემესტრი).

შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით ახალგახსნილ ფილიალში მომზადდა ნიადაგი დაარსებულიყო მათემატიკა-ასტრონომიის კათედრა, რომელიც მოამზადებდა პედაგოგებს, რომლებიც შეძლებდნენ მათემატიკისა და ასტრონომიის სწავლებას სკოლებში, იმუშებდნენ საქვეყნოდ ცნობილ აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

აღნიშნული მოსაზრება მხოლოდ მაშინ განხორციელდებოდა, თუ ბატონი ევგენი ხარაძე იქნებოდა თანახმა. ბატონი ევგენის გარეშე არა თუ ახალი კათედრის გახსნა, არამედ რაიმე სახის სამეცნიერო ინფორმაციის დაბეჭდვაც კი შეუძლებელი იყო, მას უნდა წაეკითხა, ჩაესწორებინა, თუ ეს საჭირო იყო და ამის შემდეგ მიიღებდა მწვანე შუქს სტატია დასაბეჭდად.

ბატონ ევგენისთან შესახვედრად და სასაუბროდ ამ საკითხზე კარგად მოვემზადე, ცხადია, ნაკლები ალბათობით, მაგრამ იყო იმის შესაძლებლობა, რომ მას უარი ეთქვა, ასეთი მოტივით „რევაზ, რა საჭიროა ახალციხეში ახალი კათედრის გახსნა? მივხედოთ ჩვენს კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (რომლის გამგეც თვითონ ბრძანდებოდა, ხოლო მე კი ამ კათედრის წევრი), ასეთი პასუხის შემთხვევაში ყველაფერი მაშინვე დამთავრდებოდა.



აკადემიკოსი ე. ხარაძე



აკადემიკოსი გ. ჭოლოშვილი

ბატონმა ევგენიმ, როგორც იცოდა, ყურადღებით მოისმინა ჩემი არგუმენტები, ახალციხის ფილიალში მათემატიკა-ასტრონომიის კათედრის გახსნასთან დაკავშირებით და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გასცა დადებითი პასუხი, მისი სიტყვები იყო: **„ადგილობრივი კადრები უფრო კარგად და დიდხანს შეინახავს ობსერვატორიას“.**

ამის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს მიერ ფორმალურად იყო გადასაწყვეტი კათედრის გახსნის საკითხი, ამასთან დაკავშირებით თსუ ახალციხის ფილიალის დირექციის სათანადო დასაბუთებით (ამონაწერი ფილიალის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან N 4, 1991 წლის 17 ოქტომბერი). გაიგზავნა თბილისის უნივერსიტეტში წერილი, ასევე თსუ დიდ სამეცნიერო საბჭოს გაეგზავნა აკადემიკოს ევგენი ხარაძის შუამდგომლობა (ბატონო ევგენი წევრი იყო თსუ დიდი სამეცნიერო საბჭოსი) მათემატიკა-ასტრონომიის კათედრის გახსნასთან დაკავშირებით (ქვემოთ მოგვყავს ამ შუამდგომლობის წერილის ასლი).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს
06.04.1992

დოც. თ. ხუროძეს

N 0604-თბ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანს

პროფ. ლ. ზამბახიძეს

როგორც მოგეხსენებათ, მეორე წელია, რაც ახალციხეში ფუნქციონირებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი.

ახალციხის ფილიალში მათემატიკა ისწავლება როგორც დაწყებითი სწავლების, ისე ეკონომიკის ფაკულტეტებზე, გარდა ამისა მომავალი სასწავლო წლიდან ფილიალის ხელმძღვანელობას განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით განზრახული აქვს აღნიშნული რეგიონისათვის /ახალციხე, ადიგენი, აქალქალაქი, ნინოწმინდა და სხვა./ მოამზადონ მომავალი პედაგოგები, რომლებსაც შეეძლება საშუალო სკოლაში როგორც მათემატიკის, ისე ასტრონომიის სწავლებას /ერთი 10-15 კაციანი ჯგუფი/.

დღეისათვის აღნიშნულ ფილიალს დახმარებას უწევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია /ორი მეცნიერ-თანამშრომელი ჩაბმულია პედაგოგიურ მუშაობაში, ხოლო ასტრონომიის კათედრიდან ერთი. მომავალში მოსალოდნელია კონტაქტების გაფართოება, რაც როგორც ფილიალს, ისე გაზრდილ ეროვნულ ინტერესებს წაადგება.

აღნიშნული ფაკულტეტებისათვის ფილიალის ხელმძღვანელობას რექტორატში წარდგენილი აქვს მოთხოვნა /სათანადო დასაბუთებით/. რათა გაიხსნას მათემატიკა-ასტრონომიის კათედრა /ამონაწერი ფილიალის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან N4, 1991 წლის 17 ოქტომბერი/.

აღნიშნული კათედრის გამგის მოვალეობას ასრულება /0.5 სამტატო ერთეულზე, როგორც აღნიშნულ ოქმშია მითითებული/ დროებით კონკურსის გამოცხადებამდე დაევალოს ასტრონომიის კათედრის დოცენტს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს რევაზ ალექსანდრეს ძე ჭილაძეს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის გამგის მოვალეობის ამსრულებელი,
აკადემიკოსი ე. ხარაძე

(მკითხველს შეიძლება ეუცნაუროს მიმართვაში ფაკულტეტის დეკანის დასახელება, მაგრამ ყოველივეს ნათელი მოეფინება, თუ გაიხსენებს ამ წერილის დასაწყისს).

იმხანად ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო დაახლოებით თვეში ერთხელ იკრიბებოდა (ამ დროისთვის უნივერსიტეტის რექტორი იყო აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**, თუმცა ფილიალის გახსნის (ჩამოყალიბების დროს თსუ რექტორი იყო აკადემიკოსი **ნოდარ ამალღობელი** - რომელმაც დადებითი როლი შეასრულა თსუ ახალციხის ფილიალის ჩამოყალიბებაში), თსუ ახალციხის ფილიალში „მათემატიკა-ასტრონომიის„ კათედრის გახსნის საკითხი შეტანილი იქნა დღის წესრიგში 1992 წლის 22 აპრილს სხდომაზე, საკითხი გამოიტანა მაშინდელმა პრორექტორმა, **პროფესორმა ლევან ალექსიძემ**, სხდომას ესწრებოდა საბჭოს 170 წევრი, ამ საკითხისადმი განსაკუთრებული მხარდაჭერით გამოირჩეოდა **აკადემიკოსი გიორგი ქოლოშვილი**, საკითხი საბჭოზე ერთხმად გავიდა (მიიღო ყველა წევრის დადებითი შეფასება).

შემდგომ, როცა სამეცნიერო წყაროებიდან გახდა ცნობილი, ანალოგიური სახელწოდების კათედრა, მსოფლიოს ისტორიაში დაფიქსირდა მხოლოდ ერთხელ, კერძოდ ყველა დროის საუკეთესო მათემატიკოსი გერმანელი კ. გაუსი იყო თავის დროზე „მათემატიკა-ასტრონომიის კათედრის გამგე“ - გერმანიის (გოტინგენის) უნივერსიტეტში.

მათემატიკა-ასტრონომიის კათედრის წევრთა პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: **ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი - ლორანდ სიგუა**, **უფროსი მასწავლებელი დიმიტრი სუარიძე**, **უფროსი მასწავლებელი რაგული ინასარიძე**, **უფროსი მასწავლებელი ამირან ივანიძე**, **კათედრის მდივანი მაკა ჯანაშვილი** და **კათედრის გამგე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი რევაზ ჭილაძე**.

ამით მათემატიკა-ასტრონომიის კათედრამ ორი ძირითადი ამოცანის შესრულება იკისრა: ჩვენი ქვეყნის სამხრეთში ქართული მათემატიკური (ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა) და ასტრონომიული (ე. ხარაძე) სკოლების ტრადიციების გაგრძელება, რაც ნიშნავდა ტექნი-

კურ და საბუნებისმეტყველო დარგებში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას (ძირითადად სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის: აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიისათვის და სკოლებისათვის).

კათედრის გახსნის დღიდან დაიწყო ფიქრი კონკურსის საფუძველზე პირველკურსელთა მიღებაზე (იმედი გვექონდა, რომ რეგიონში ნიჭიერი ახალგაზრდობაა, კერძოდ სოფლები: **უდე და არალი** განთქმული იყო მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდებით აქ პედაგოგები მაღალ დონეზე ასწავლიდნენ ტექნიკურ საგნებს).

პირველ წელს გამოვაცხადეთ 20 საკონკურსო ადგილი (იგულისხმება უფასო სექტორი), ისე მოხდა, რომ ერთ საკონკურსო ადგილზე **ოთხზე** მეტი კანდიდატი იღებდა მონაწილეობას. ასეთი კონკურსის პირობებში 20 უფასო ადგილის ათვისების შემდეგ, ათმა (ნაკლებქულიანმა) აბიტურიენტმა დაწერა განცხადება ფასიან სწავლებაზე სწავლის გაგრძელების შესახებ. (**ბატონმა მერაბმა ამასთან დაკავშირებით, ნახევრადხუმრობით მითხრა, „ამათ, რომ ჩვენ ფული გადავხდევინოთ, მუსხელიშვილი და ვეკუა საფლავში გადაბრუნდებიან“**).



აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი



აკადემიკოსი ი. ვეკუა

აქვე აღვნიშნავ, რომ თსუს ბევრი ღირებული რექტორი ჰყავდა, მაგრამ ერთ-ერთი საუკეთესო მათ შორის **ნიკო კეცხოველი** გახლდათ, ჩემი სტუდენტობის დროს მასზე ლეგენდები დადიოდა, თუ როგორ ეხმარებოდა ეკონომიურად შეჭირვებული ოჯახიდან ნიჭერ ახალგაზრდებს, სწორედ ასეთ პიროვნებად წარმომიდგება ბატონი **მერაბ ბერიძე. ბატონმა მერაბმა ცარიელ ნიადაგზე დააფუძნა თსუ ახალციხის ფილიალი და გახადა იგი დამოუკიდებელი სრულყოფილი უმაღლესი სასწავლებელი.**

ქვემოთ მოგვყავს პირველი სტუდენტები, პირველკურსელთა სია:

აბულაძე მარგალიტა, ბლიაძე არჩილ, გვრიტიშვილი ინგა, გოზალიშვილი ხათუნა, გურგენიძე ინგა, დავლაშერიძე მარინა, ზაზაშვილი მალხაზი, ზაზაძე ალექსანდრე, თათეშვილი თენგიზი, თათოშვილი თამარი, თევდორაშვილი მერაბი, კოზაევი ხათუნა, ლორნიკი ალინა, მაისურაძე ზალიკო, მაისურაძე თამარ, მერაბიშვილი ავქსენტი, ნადირაძე კობა, ქურდაძე კობა, ჯვარიძე ლევანი, სახვაძე ზეინაბი, გზირიშვილი თინათინი, ბერდიაევა მარინა, აფრიამაშვილი სოფიო, ანძაველიძე ლალი, ველიჯანაშვილი ხათუნა, თუმანიშვილი სტეფანე, მუმლაძე ვეფხვია, ნათენაძე მანანა, სუდაძე ნათია, ნიკლაური ბაქარი, ხარშილაძე მაკა, ხაჩიძე ინგა, ჯვარიძე ხათუნა, (სახვაძე ზეინაბი, გზირიშვილი თინათინი და ბერდიაევა მარინა - სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან გადმოვიდნენ სასწავლებლად ჩვენთან).

ამით მომზადდა პირობები მათემატიკა-ასტრონომიის ფაკულტეტის გახსნისათვის და 1992 წლის 21 სექტემბერს (**ღვთისმშობლის დღეს**), დღით - ორშაბათს (მაშინ ასე დაიწყო სწავლა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში) ისე, როგორც პატრიარქი აკურთხებს ახლადამენებულ ეკლესიას, გვსურდა ანალოგიურად, აკადემიკოს ევგენი ხარაძეს გაეხსნა ფაკულტეტი, რაზეც ბატონი ევგენი დაგვეთანხმდა.

წინა დღეს, 20 სექტემბერს, ბატონმა მერაბმა თბილისიდან თავისი მანქანით (მახსოვს „ჯიგულის“ მარკის მანქანა) ახალციხეში წამოგვიყვანა: აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, პროფესორი ლადო გაგუა და მე.


20 სექტემბრის ღამეს ბატონი ევგენი და მე დავბინავდით რაბათში, სულიკო ხმალაძის (იმდროისათვის ბატონი სულიკო იყო დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში) სასტუმროში.

სასტუმროში ჩვენი მისვლისას ბატონი სულიკო ორ მეგობართან ერთად ვახშობდა, მან თვითონ გაგვიშალა ლოგინი და მოგვათავსა სასტუმროს ოთახებში, ამის შემდეგ მათი პურისჭამაც მალევე დამთავრდა (ეტყობა, მოერიდათ ბატონი ევგენის).

მეორე დღეს, 21 სექტემბერს დილით ბატონი მერაბის გამოგზავნილმა მანქანამ მოგვაკითხა სასტუმროში და დავბრუნდით ფილიალში საზეიმო სხდამაზე მონაწილეობის მისაღებად. (ყველა ფაკულტეტის პირველკურსელს შევხვდით) მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორმა ბატონმა მერაბ ბერიძემ, აკადემიკოსმა ევგენი ხარაძემ, პროფესორმა ლადო გაგუამ და სხვებმა, მათ შორის მეც.

ამის შემდეგ ბატონი ევგენი უშუალოდ შეხვდა მათემატიკა-ასტრონომიის ფაკულტეტის პირველკურსელებს და თავისი ახლადგამოსული წიგნები „ასტრონომიის საფუძვლები“ I და II ტომი, უსახსოვრა ყველა სტუდენტს - თავისი ავტოგრაფით, ასევე ფილიალის სამეცნიერო ბიბლიოთეკას (ეს წიგნები ბიბლიოთეკაში დღესაც ინახება).

თავიდანვე შემოვიკრიბეთ მაღალკვალიფიციური კადრები, მათ შორის იყვნენ აკადემიკოსები: ხვედრი ინასარიძე და როლან კილაძე.



აკადემიკოსი **ხ. ინასარიძე**



აკადემიკოსი **რ. კილაძე**

იმდროისათვის საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით სისტემატურად იმართებოდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, რომლებსაც აქტიურად შეუერთდა ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტობაც.

მათი „აქტივობა“ შეუმჩნეველი არ დარჩენილა საქართველოს განათლების სამინისტროს წარმომადგენლების მიერ, პირადად განათლების სამინისტროდან ამ ღონისძიებებს კურირებდა ბატონი ირაკლი მაჩაბელი.

ბატონმა ირაკლიმ შეამჩნია რა „თსუ ახალციხის ფილიალის სტუდენტთა აქტივობა“ სამეცნიერო კონფერენციებში, დამიბარა განათლების სამინისტროში და მითხრა: „ეცეცობა, თქვენთან ეს საქმე კარგადაა დაყენებული და შემდგომი დასკვნითი ტური საქართველოს მასშტაბით „მათემატიკურ მეცნიერებებში“ გვსურს, გავმართოთ ქ. ახალციხეში, თუ თქვენ თანახმა იქნებით“ - ო (მანამდე მხოლოდ თბილისში იმართებოდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების დასკვნითი ტურები - ყველა დარგში“), ჩვენ მივიღეთ ეს შეთავაზება, მე დამავალეს ყიურის შემადგენლობის წარდგინება დასამტკიცებლად.

რამდენიმე დღეში წარვუდგინე ყიურის შემადგენლობა:

აკადემიკოსები: ევგენი ხარაძე, ხვედრი ინასარიძე, როლან კილაძე, პროფესორი ლაზო ზამბახიძე (თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი) და რევაზ ჭილაძე (თსუ ახალციხის ფილიალის მათემატიკა-ასტრონომიის ფაკულტეტის დეკანი).

განათლების სამინისტროში მოიწონეს და დაამტკიცეს აღნიშნული ყიურის შემადგენლობა.

გთავაზობთ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებულთა დასკვნითი ტურის (მათემატიკურ მეცნიერებებში) სამუშაო პროგრამას.

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში
სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებულთა
დასკვნითი ტური
მათემატიკურ მეცნიერებებში

სამუშო პროგრამა

20 მაისი, 1998

ქ. ახალციხე

დასაწყისი 12.00სთ-ზე

სხდომის თვმჯდომარე აკადემიკოსი *ვეგენი ხარაძე*

შესავალი სიტყვა

თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორი დოც. მ. ბერიძე

1. **ავალიშვილი გია** - დრეკად ნარევთა არანრფივი მოდელების გამოკვლევის შესახებ. თსუ IV კურსის სტუდენტი

2. **ნათენაძე მალხაზ** - სტრიომგერენის ფოტომეტრიული და მიჩგანის სპექტრული კლასიფიკაციების შედარებით პეკულარობაში ექვმიტანილი ვარსკულავების გამოვლენა. თსუ ახალციხის ფილიალის V კურსის სტუდენტი

3. **გაბელაია დავით** - ტოპოლოგიური სივრცეების არასტანდარტული ჯამი. თსუ IV კურსის სტუდენტი

4. **კაპანაძე ბიძინა** - ასტროფოტომეტრიის ძირითდი განტოლების რიცხვითი ინტეგრება. თსუ ახალციხის ფილიალის V კურსის სტუდენტი

5. **ბაკურიძე ალექსანდრე** - ფრედგოლმის ინტეგრალური განტოლებები სხვადასხვა ბირთვით და ფრედგოლმის თეორემა. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი

6. **ინასარიძე უჩა** - ქართული სახელწოდების მცირე ცდომილთა ორბიტის ელემენტთა დაზუსტების შესახებ. თსუ ახალციხის ფილიალის V კურსის სტუდენტი

7. **ავალიშვილი მარიამ** - დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანების ორგანზომილბიანზე რედუცირების შესახებ. თსუ I კურსის სტუდენტი

8. **ბერიძე ვახტანგ** - უიზემის განტოლების ამოხსნა, ფურიეს დისკრეტული გარდაქმნების საშუალებით. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი

9. **დანელია აკაკი** - შემთხვევითი მიმდევრობის ოპტიმალრი გაჩერების თეორიის ზოგიერთი საკითხი. თსუ IV კურსის სტუდენტი

10. **ჯიქია ლაშა** - ფირმის თეორია. თსუ III კურსის სტუდენტი

11. **ბალათურია გიორგი** - კომის ამოცანის მრავალსახა ამოხსნები არანრფივი ჰიპერბორული განტოლებისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი

12. **მათეშვილი დავით** - არანრფივი მახასიათებელი ამოცანის შესახებ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი

13. **რევია ირაკლი** - დისკრეტული გეომეტრიული ამოცანები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი


14. **ტაბიძე ამირან** - არაზომადი სიმრავლეების აგების - სიმრავლურ თეორიული და აღგებრული კონცეფციები ნამდვილ R ლერძის გარშემო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი

15. **პოლოსიანი ანასტასია** - ინტეგრალური განტოლებების კონუსი. გორის სახელმწიფო ეკონომიურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი

16. **კვარაცხელია რომან** - ინტეგრალური განტოლებების შესახებ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი

17. **ლოსაბერიძე ხათუნა** - მიმდევრობის გარდაქმნები ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კურსის სტუდენტი

1998 წლის 20 მაისს სტუდენტები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ ქ. ახალციხეში, მათ შორის თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, **პროფესორი ლაზო ზამბახიძე** მიკროავტობუსით თბილისიდან ჩამოჰყვა ახალციხეში საუკეთესო სტუდენტობას (დღეისათვის ყველა მათგანი დოქტორი და პროფესორია!).



პროფესორი ლ. ზამბახიძე

კომპეტენტური ჟიურის გადანყვეტილებით პირველი ადგილი დასკვნით ტურში დაიკავა თსუ მექანიკა-მათემატიკის IV კურსის სტუდენტმა **გია ავალოშვილმა**, ხოლო მეორე ადგილი თსუ ახალციხის ფილიალის მათემატიკა-ასტრონომიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა **ბიძინა კაპანაძემ**. (რომელთაც გადაეცათ პრეზიდენტის დიპლომები და ფულადი საჩუქრები).

თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორმა, ბატონმა მერაბ ბერიძემ მითხრა: ეგებ, მეთქვა ბატონი ევგენისათვის, რომ რალაც ფორმით თანამშრომლობა (ხელშეკრულება) გაგვეფორმებია მასთან (ის აქტიურად იყო ჩათული სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაში), რომ მას ხელფასი აიღო (ის წლები ხომ ძალიან მძიმე წლები იყო ეკონომიურად ყველასათვის).

ბატონმა ევგენიმ ამაზე მკაცრი უარი მითხრა, **„მე ყოველგვარი ანაზღურების გარეშე ვიქნები თქვენს გვერდით“**, - იყო მისი პასუხი.

მას ჩვენი მცირეოდენი წარმატებებიც ძლიერ ახარებდა, მახსოვს, როცა 2000 წლის აპრილში საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო **„ღირსების ორდენი“** მივიღე, მან დეპეშით მომილოცა იგი, (ეს დეპეშა დღესაც შენახული მაქვს ღირსების ორდენის გვერდით) რომელშიც არის ჩანაწერი:

**„ახალციხე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ახალციხის ფილიალი
რ. ჭილაძეს**

გულითადად მოგილოცავთ მთავრობის მაღალ ჯილდოს, გისურვებ შემდგომშიც წარმატებულ მოღვაწეობას - ევგენი ხარაძე“.

1997 წლის გაზაფხულზე ჩატარდა პირველი სახელმწიფო გამოცდა მათემატიკა-ასტრონომიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის, კომისიის თავმჯდომარე იყო საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, ასე იყო 1998 და 1999 წლის გაზაფხულზეც, მაგრამ მოქმედი წესის თანახმად (ზედიზედ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეობა სამ წელზე მეტი ხნით არ შეიძლებოდა) შემდეგ წლებში ამ მიზეზით უარი განაცხადა ბატონმა ევგენიმ (თუმცა იყო წინადადება ბატონი მერაბის მიერ, რომ ეს წესი ბატონი ევგენიზე არ გავრცელებულიყო).

ჩვენი სტუდენტების მხრიდან გამოვლინდა არაჩვეულებრივი დამოკიდებულება სახელმწიფო გამოცდებისა და ბატონი ევგენის პიროვნების მიმართ, თუ სტუდენტი ჩათვლიდა, რომ რალაც ხარვეზია მის მომზადებაში, ის ერთ წელიწადს გადადებდა ამისათვის და უფრო მომზადებული ჩააბარებდა სახელმწიფო გამოცდებს.

შემდგომ წლებში ზედიზედ სამჯერ სახელმწიფო გამოცდები ჩაიბარა პროფესორმა ვიქტორ ჯაფიაშვილმა (ბრედისინის პრემიის ლაურიატმა), ეს იყო 2000, 2001 და 2002 წლებში.

ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაში სხვებთან ერთად ჩაბმული იყვნენ პროფესორები: ვიქტორ ჯაფიაშვილი და გიორგი მალასიძე.



პროფესორი ვ. ჯაფიაშვილი



პროფესორი გ. მალასიძე

ამასობაში დადგა დრო და საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო სწავლების სამსაფეხურიან მოდელზე გადასვლა, რადგან ჩვენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფილიალი ვიყავით, იმხანად არსებული (მოქმედი) წესების მიხედვით ჩვენ შეგვეძლო ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტებიდან 30%-ის ფარგლებში შეგვერჩია საუკეთესონი და სწავლების მეორე საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში გაგვეგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ჩვენი ფაკულტეტიდან პირველი მაგისტრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყვნენ: **მალხაზ ნათუნაძე, ბიძინა კაპანაძე და რომან ივანიძე.**

მათემატიკა-ასტრონომიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებიდან პირველი დისერტაციები დაიცვეს: ბიძინა კაპანაძემ - ახლა იგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, მარეხ და დიანა ივანიძეებმა, რომლებიც მოღვაწეობენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ნინო ბერიძემ რომელიც ლექციებს კითხულობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1992-2005 წლებში ფაკულტეტს ეწოდებოდა მათემატიკა-ასტრონომიის ფაკულტეტი, 2005 წელს ფაკულტეტს ეწოდა „მათემატიკის, სტატისტიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი“, ხოლო 2007 წელს ფაკულტეტს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი“, რომელშიც შედიოდა: მათემატიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების და ეკოლოგიის სპეციალობები. 2008 წელს კი შეიქმნა მაგისტრატურა ასტრონომიისა და ინფორმაციული სპეციალობებით. 2011 წლის მარტიდან ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს, „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მოთხოვნების შესაბამისად და ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით ეწოდა „**ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი**“.

ფაკულტეტის დაარსებიდან დღემდე ფაკულტეტის დეკანები იყვნენ: 1992-2004 წლებში **რევაზ ჭილაძე**; 2005-2006 წლებში **გივი ქიმერიძე**; 2006-2007 წლებში **ლევან გიორგაშვილი**; 2007-2008 წლებში **ვასილ კაკულია**; ხოლო 2009 წლიდან 2019 წლამდე - **გიორგი მესხი, 2019 წლიდან ლერი ნოზაძე.**

ფაკულტეტმა დღეისთვის 400-ზე მეტ კურსდამთავრებულს მიანიჭა: მათემატიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ეკოლოგიისა და აგრონომიის ბაკალავრის ხარისხი.

ფაკულტეტმა ასევე 40 სტუდენტს მიანიჭა ასტრონომიის მაგისტრის, ხოლო 30-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა 80%-ზე მეტი დასაქმდა, ძირითადად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობას ღებულობენ, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, აქვეყნებენ სამეცნიერო შრომებს, როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში, მათ მიერ მოპოვებულია ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტები. ასევე მიღებული აქვთ მთვრობის მაღლი ჯილდოები.

კათედრის მუშაობაში გარდა აღნიშნულისა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და დღესაც შეაქვთ: გივი ქიმერიძეს, გიორგი მესხს, რევაზ ზედგინიძეს, ლერი ნოზაძეს, ლელა წითაშვილს, ვასილ ტაბატაძეს და სხვებს.

კათედრის მუშაობაში სხვადასხვა წლებში მონაწილეობდნენ: აკადემიკოსები: ევგენი ხარაძე, ხვედრი ინასარიძე, როლან კილაძე, პროფესორები: ვიქტორ ჯაფიაშვილი, გიორგი მალასიძე, მირზა მდივანი, ვასილ კაკულია, დავით ნატროშვილი, შოთა ზაზაშვილი, გივი ბერიკელაშვილი, ლევან გიორგაშვილი, თეიმურაზ ალიაშვილი, მონწვეული პედაგოგები: ნანა ჩხეიძე, დავით ივანიძე, ხატია ჯაშიაშვილი, ემზარ ხმალაძე და სხვები.

2009 წლის ზაფხულში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა პროფესორ რევაზ ჭილაძის მიერ წარდგენილ პროგრამას „**მათემატიკა და პროფესიული უნარები**“ მიანიჭა აკრედიტაცია. ამ პროგრამის ფარგლებში 318-მა პედაგოგმა აიმაღლა კვალიფიკაცია და მიიღო სათანადო სერთიფიკატები (ძირითადათ სამცხე-ჯავახეთისა და იმერეთის რეგონების პედაგოგებმა).

2012 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება ასტრონომიის სამაგისტრო, ხოლო 2014 წლიდან ასტრონომიის სადოქტორო პროგრამა.

დღეისათვის 200-ზე მეტი კურსდამთავრებული (მათემატიკა-ასტრონომიის სპეციალობით) მუშაობს საჯარო სკოლებში და ასწავლის ტექნიკურ საგნებს, ხოლო 10-მდე კურსდამთავრებული მუშაობს ე. ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში და ჩაბმულია ექსპერიმენტულ კვლევებში.

ოთხმა უკვე დაიცვა დისერტაცია. ესენია: ბიძინა კაპანაძე, დიანა ივანიძე, მარეხ ივანიძე, ნინო ბერიძე.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამჯერ ზედიზედ 2015, 2016 და 2017 წლებში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ასტროფიზიკის თანამედროვე პრობლემები“ I, II და III.



უცხოელმა მეცნიერებმა არაერთხელ აღნიშნეს, ქართველ მეცნიერთა უდიდესი წვლილის შესახებ, რომელიც მათ შეიტანეს და შეაქვეთ მსოფლიო მეცნიერების საგანძურში, ამის ერთ-ერთი გამოძახილი იყო მონაწილეთა მიმართვა საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის პრეზიდენტისადმი, ღვანლმოსილი ქართველი მეცნიერის ვიქტორ ჯაფიაშვილის სახელის მთვარის ერთ-ერთი კრატერისათვის მინიჭების შუამდგომლობის შესახებ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოდის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი - „ასტრონომია და ასტროფიზიკა“ (გამოვიდა უკვე 4 ნომერი!), რედაქლეტიაში არიან 7 ქვეყნის წარმომადგენლები.

ასტრონომიის მიმართულებით გვყავს 10 დოქტორანტი, რომლებსაც მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში დღეისათვის გამოქვეყნებული აქვთ 269 სამეცნიერო შრომა, რომელთა საერთო ციტირება 3500-ზე მეტია.

რ. ჭილაძე არის აზერბაიჯანის, შემახის ასტროფიზიკური ობსერვატორიის სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოს წევრი და იქ გამომავალი ასტრონომიული ჟურნალის რედაქლეტის წევრი.

პერიოდულად ტარდება ოლიმპიადები მათემატიკაში სამცხე-ჯავახეთის სკოლების მოსწავლეთათვის.

მონოგრაფიები და წიგნები გამოსცეს: გ. მალასიძემ, გ. მესხმა, ლ. ნოზაძემ, ლ. წითაშვილმა, ნ. ჩხაიძემ, მ. მდივანმა, რ. ჭილაძემ და სხვებმა.

დადგა ასტრონომიის სადოქტორო პროგრამის რეაკრედიტაციის პერიოდი, მზადდება პროგრამა საზღვარგარეთის მონინავე სამეცნიერო ცენტრებში მომუშავე მეცნიერთა მეტი ჩართულობით.



მემორანდუმის გაფორმება სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტსა და ე. ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას შორის.

პოეზია

ნინო ბერიძე

მოკრძალებული, ჩუმი, თავისებური, საოცარად სუფთა... სამყაროს უჩვეულო ხედვით, სიტყვის უცნაური გრძობით, უკიდვგანო განცდებით... დაიბადა ჯავახეთში, სოფელ კოთელიაში 2001 წლის 13 აპრილს. სწავლობდა კოთელის საჯარო სკოლაში. ამჯერად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის მეორე კურსის წარჩინებული სტუდენტია. პირველი ლექსი ქართული ენის სავარჯიშო რვეულში მეოთხე კლასში დანერა, თუმცა სამშობლოზე დაწერილი ამ ერთსტროფიანი ლექსისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. როგორც თვითონ ამბობს, უკვალოდ გამქრალა მეორე ლექსიც, რომელიც მის პირად გრძობებს ეხებოდა, მესამე ლექსი კი 2012 წლის 24 აგვისტოს დაინერა. „ეს თარიღი არასოდეს დამავიწყდება. ამ მესამე ლექსის შინაარსი დაკარგულ, უიმედო, განწირულ სიყვარულს ეხება, მაგრამ ეს არ არის სიყვარული ქალსა და მამაკაცს შორის, ეს სიყვარული ამ სიყვარულზე ცოტა უფრო მაღალი, ცოტა უფრო მეტია... წერა დავიწყე მთაში, როდესაც არდადეგებზე ვიმყოფებოდი პაპაბებიასთან. აქაური გარემო-ნისლი, წვიმის შხაპუნი აივანზე, პატარა ერთსართულიანი ხის სახლი, მაღალ გორაკებზე შეფენილი საქონელი, კიკინა თხები, მწველი მზე და დაბლა ქალაში გავლებული მავთულხლართები ჩვენსა და თურქეთს შორის-გახდა ჩემი შთაგონების წყარო“, - იგონებს ნინო. მას შემდეგ ნინო ბერიძე ინტენსიურად წერს. დაულოცოთ ამ საოცარ პიროვნებას შემოქმედებითი გზა.



პროფესორი ქეთინო გრძელიშვილი

რისთვის მედავები ქარო? რისთვის გადამკიდე დილა?
გულში ჩაჭმუჭმნულო ყვავილო, ისევ გაიშალე, მცივია...
განა გაგახუნებ ალერსით, განა შემოგაცლი ფოთლებს?–
მინდა მოგეფერო შორით, თორემ თიხის კანი მცივია...
აღბათ გაიჭრები ველად, თვალებს დამიბნელებ ქარვის,
ეკლის გვირგვინით და მეხით შემომიკანუნებ ცივად,
მერე გაიეღვებ გულში კლაკნილ-დაუანგული დანით,

-82-

„აზივი“. 2020, 3 (26)

ანდაც გადაუვლი თიხნარს სეტყვად, ქარიშხლად და წვიმად!
იქნებ მესიზმრები, ანდაც ერთხელ დალეულით ვბოდავ,
ანდაც მოლანდების წყაროდ ჩემში მოჩუხჩუხებ ოხრად.
იქნებ გიჟი ვარ და ვსტყუი, იქნებ მოგიგონე, ვსცოდავ,
მაგრამ ვერ უარგყოფ, კარგო, ზამთარს გაეშალე ქოლგად.
იცი, მეჩვენები თითქოს... თითქოს არაფერი იყოს,
ისე უცნაურად მბოჭავ, ისე უცნაურად მიპყრობ,
ტალღა ემოციებს აბნევ, ფურცელს გაეფურჩქნე სიტყვად,-
ნეტავ, ჩაგახედა ჩემში, რამდენ სისულელეს ვფიქრობ?...

იმდენად დავეცი, ნამსხვრევები ვერ შევიბნეი,
შეკონინება ვერ გავბედე ბედის სარკისა,
მე ეს ცხოვრება, ხო, უბრალოდ ვერ შევიმჩნიე
და დავიჯერე მოჭორილი ყოფა ზღაპრისა!
მე ვერ გავბედე, ვერც ჭრილობა ვერ ვიმკურნალე,-
ასე უეცრად მომეკვეთა ძალა ფეხებში.
ბევრი ვეცადე, თუმცა მარცხი მე ვერ დავმალე,
მით სისხლი არა, მარცხი მოჩქეფს ჩემსვე ვენებში.
მწვერვალს, დახატულს, გორა სჯობდა ამ გულში, იცით
და, რად გავტეხე ეს სიტყვები, არ მესმის, ღმერთო;
იცი? რამდენჯერ, ხო, მიბედავს ბოქლომურ ფიცით,
დღეს კი უკუღმართს რა მენია, რა ჭკვა აღმენტო?
ღმერთო, შეშლილი, ზღვარგამცდარი, ჭკუანამცდარი,
როდემდე უნდა ევნოს, ეცვას, ჯვარზე, ცოდვებით
და ეს ისარი, ეს ისარი, მაინც ამცდარი,
რად არ გამერჭო კანონით და თვისი დოგმებით?!
ისევ ნამსხვრევი, ისევ მსხვრევა, ისევ არარა!..
მაინც არ მესმის ამ ცხოვრების აზრი, მთავარი.
უნდა ნავიდე, გადავლახო ზღვები, აბა, რა,-
უნდა გამოვყო ერთურთისგან, ღმერთო, მთა-ბარი.

უშენობით გამოძერწილ მარტოობას
დავუხუჭე ფერფლისფერი თვალები,
მაგ ხელებით ჩახუტებულ უჯრედებს
შეესია ტკივილების ჭავლები.
შენს ეზოში, იასამნის ყლორტებად,
ამოვალ და სარკმელს გავვერინდები,
მოცახცახე, იისფერი სხეულით,
მაგ ხელებს და სუნთქვას გავვერინდები.
ჭადარივით ამეშლება გრძნობები,
ავიშლები თოლიების გუნდით,
სიყვარული ბრძოლის ველი მეგონა
და ამ ველზე შემოგისვდი მუნდირით.
კუბიდონმა გაისროლა ისარი,
მხოლოდ ჩემთვის, შენ აღარ დაგანია,
იასამნის სურნელსა და ჩურჩულში
ჩემმა გულმა ჩემს სხეულზე გარნია.
არ დაგვხატონ ხელოვნებმა, არავინ,
ფატალური ჩვენ ცოცხალი გვჭირდება,
რეალური ისტორიის ამბავი
შავ-თეთრიდან სარტყელივით ფითრდება.
შემოაწყდეს საათს ბოლო ნუთები,
დანესტრილი რომ დამტოვე ატმებთან.
თუ ნახვედი, გადაჭერი საბელი,
მოგონება დამიტოვე, დათმე თან!
თუკი ჩემი ზმანებების უჯრიდან
ამოფრინდი გასალების გარეშე,
ვინანიე, ვინანიე, შეგიბრალე,
მოზღვისფერო ფიქრებში რომ გამეშრე.
ჩემს სხეულში ტკივილებმა ამიცვეს,
ერთი სახე მბორიალობს მრავლადა,
შენი სახით გამოძერწილ ღმერთობას
დავუყენე მარტოობის ბალადა.
ვინ მიყვარხარ ასე ძლიერ, მტანჯველად,
შემოჭრილი ქარბუქების ბალიდან?

ბავშვობიდან დამიღრღენი ყლორტები
და სახელიც ვერ გინოდე... რად ღირდა?!
ბედნიერი ვიღიმები სევდისფრად,
მელანივით გამეთხლაპნა სამყარო,
გველისა და თიხისკაცის პერანგი,
მოვინდომე, შენს საძებრად დავეყარო.
მაპატიე, უსახელო მიჯნურო,
მაპატიე არეული გრძნობები,
შემონყვიტე ლამის გარიჟრაჟიდან
შენს ტალღებზე გაბანრული ცოფები.
შემინყალე შენი ცუდი მიჯნურო,
შენი იყოს თოვლ-გალასფერ ყვავილი,
მხოლოდ ერთი... მომიხსენე როდესაც
ნაჩემარზე ჩემი კაბით გამივლი.

მწუხარეა ეს სამყარო, მწუხარეა ღამე...
გევედრები, შემომხედე და მიწამლე რამე.
შენი ხედვა სიმაღლისა მე ცრემლებით ვნამე
და შენს ბედნიერებას მხოლოდ მე ვენამე.
მე მინდოდა, მოვედი, გავარღვიე სივრცე,
ვფიქრობ, თავისუფლება მხოლოდ სხეულს მივცე!
ჭიქავ მათრობელისავ, მსურს, ჩემს ტუჩზე დაიქცე,
მერე მორიდებული ნახვიდე და გაიქცე.
ჭიქავ მონატრებულო, რუსთაველის სტროფივით,
შემოხველ და მომაჭედე ტყვია ცივი თოფივით,
სხეულს ღვინოდ მოეკიდე, გონებას კი ცოფივით,
ყვავილივით შემოსული დამიჯექი ვოლფივით.
მწუხარეა ეს სამყარო, მწუხარეა მთვარე,
ვარსკვლავებით მოგიზგიზებს ვნების არე-მარე,
მე მოვედი, მჭირდებოდი, გთხოვე, „დამეხმარე“,
შენ კი ისე გამიფრინდი, როგორც ზამთრის მხარე!
ფუნჯადქმნილო სასოებავ, დაკარგულო სამოთხე,

მთის ჯიხვი ხარ, შორით გივლი, შიშით რომ არ დამიფრთხე.
ვნებათაღელვის ქალბატონო, აქ არ გელის საფრთხე,
გევედრები შენს რაინდად და შენს მოყმედ მაკურთხე.
ჭიქავ, სევდის მუფარახო, ჭიქავ, ღამის ფოთლივით
შემოიჭარ სხეულში და გაბატონდი ლოთივით.
ღამე თავზე დამატეხე შენ უძილო შფოთივით
და მერე კი მიმატოვე აბსურდული მოტივით.

დრო მიდის, დედამინა-არა,
მოეშალა საყამო, მოეშალა ნესი,
მკურნალობა სჭირდება, მაშველი, ჩქარა,
უნწყლოდ მგლოვიარეა ბუმბერაზი ჰესი.
სენი შემოგვერია, სენიც სევდისფერია,
უფლისაკენ თვალეზი სევდით იყურებიან,
ახლა ჩვენი საშველი ლოცვა ზეცისფერია,
რადგან სხვა დანარჩენი უგზოდ იბურებიან.
დედამინა გაჩერდა, თითქოს ერთი კადრია,
ღმერთო, დაგვეხმარეო, დახმარება მადლია,
ახლა მთელი სამყარო ერთობლივი ჩადრია,
ახლა სიკვდილისათვის მანძილიც კი ადლია.
ღმერთო, ასე უსასოდ არ ყოფილა სამყარო,
თითქოს მალე მოგვიხვალ, მეფიქრება ამგვარად,
ჩვენო ფიქრო, ტვირთივით, მხრებზე ხვნიშით ნაყარო,
ხსნის გზა უნდა გვაჩვენო, სხვა რად გვინდა ან რადო?
ბუმბერაზო მწერალო, შემოქმედო დიალო,
ჩვენს დაღუპულ სულთათვის რა მალამო გექნება?
ჩვენო სულო, სხეულო, ჩვენში ქმნილო წყვდიადო,
იქნებ გამოიჩინო მოწყალეების ნება.

ჯავახიშ...

დაიძახა თეთრი ძაფი ცისფერ საქსოვ დაზგაზე,
კვერცხი გატყდა, ამობრწყინდა ცხრაფრთიანი წინილა,
თვალშანთულა მზერა მეცა, გულმკრულვარე ვდექ გზაზე
და დაორთქლილ თვალთა სარკემ დღე ვალივით მიწილა.
აქ წისქვილი დატრიალდა ყვითელგულა, ფრთაფთილა,
ძარღვთა სითხეს მიეფრქვია ხალი ვნებანატრულა,
აქ ზურმუხტის გრეხილ ჩხირთა თვალი ეცვა კუპრთ სავანეს,
როს ფუნჯიდან ჩამოღვენთილ მარგალიტად ხატულა.
ცას სარტყელი სახულიყო შვიდფერება ნათურად
და სიმბოლო სიმშვიდისა ცაზედ ამოქარგულა,
აქეთ გველმა ისისინა, ტორი დაჰკრა დათუნამ,-
ჯავახეთი ამისთანა დღემდე არ დახატულა!
დედაბერი ქსოვდა ფარდას, ჩამოჰფინა სარტყელი,
შემოფლეთილ სამოსელს კი მიუკერა ნაჭერი,
მზეთუნახავს ეცა ჯოხით, დაუნუნა სიმორცხვე
და სახიდან მოაშორა თვალმმაღველი ნაჭერი.
ბურტყუნებდა შეცბუნებით მთვრალი ფარავანიო
და მშიერი სიო ღრუბლებს მიუგდებდა კანიონს,
„ერთი, ორი“ - შემოსძახა, კრიბა ქარავანიო
და რატომღაც ფარავანი ედიდგულა წყალ-რიონს.
თამამობდნენ,თეატრული წარმოდგენა დაიდგა,
მკაცრი ნანა დააყოლა ქარმა თვალეზწყლიანმა,
აკვანს სხივი შეეფეთა, სხივმა ფეხი აიდგა
და მაშინვე ვაზთა მხარე მორწყო ფესვებცვრიანმა.
დღეს მამალმაც დაიყვილა, განა ერთხელ? სამ-ოთხჯერ,
ჯეროვანად შევაფასე, ნავეკიდე, წამოვცხე,
მაგრამ ყვავილს მყუდროება ჩაეკონა მწერივით,
როცა სცენას დასასრულში მიეგება სამცხე.
აგვირგვინდა სალამური, თოფს ისროდა ბზიფი,
აქ ენგური ბუკს ჰკიოდა, ალაზანი - დაფდაფებს,
ფუტკარს კიდევ დაენესტრა შეთაფლული ბზიკი
და მას შემდეგ ჯავახური გაზაფხული ქაფქაფებს!

დავერცხლილი ფიანდაზი სიამაყეს იტევს,
ტაში ატყდა, ოვაცია მიეხეთქა კვირტებს,
ცხენისწყალი მოწონების გადმოგვიყრის ტიტებს
და დასასრულ ეპიზოდში კატა დასთმობს ჩიტებს.
აი, ასე იწერება ნაბიჯ-ნაბიჯ სცენარი,
ლილებს რომ ეკერება სარჭედ მარჯვე მკერავი,
აქ ბუნება ასეთია-თავად არის მწერალი,
როს ხალიჩებს მოედება, როგორც კვერცხებს მფერავი.

მართლა აღარ ვიცი, რა გითხრა,
კალამს ველოდები ტანჯვისთვის,
აღბათ მადლობელი დავრჩები
უფალს ამ ლამაზი ხატისთვის.
იცი, მერამდენედ მოგწერე,
იცი, მერამდენედ გიფიქრე?
ისე იდილიურს მოჰგავხარ,
ვშიშობ, შეგეხო და გამიქრე.
აღბათ ზღაპარი ხარ ზღაპრიდან
ან ჩემს სიზმრებში ხარ შეჭრილი.
ისე დავიბენი, არ ვიცი:
მე ვარ, თუ სამყარო შემლილი?
იცი? მომერია ფიქრები,
დალლილ ტუჩს ასკდება ოცნება,
შენზე ფიქრებსა და ლოდინში
სხივებს ვნებათღელვა ადნება.
ვიღებ უკანასკნელ ნოტებს და
გრძნობა იარებით მევსება,
ან მე გადამრია სამყარომ,
ან მას ყველაფერი ეშლება!
წვიმა მიკაკუნებს სარკმელთან,
ცრემლად დაიღვარა რიონი,
შენზე მიყვებიან ბულბულთა
ყვავილ-ქარიანი ამბიონი.

-88-

„აზიფი“. 2020, 3 (26)

თითქოს დაიცალა სხეული,
ფიქრმა გადაკეტა გონება...
მზეო, იქნებ ჩემთან მოხვიდე,
იქნებ საუბარი გენება!?
მართლა უცნაური რამე ხარ...
ლამეს მითენებენ ვენები,
ჩემში თარეშობენ ფლოქვებით
აღვირწნართმეული ცხენები.
იქნებ ნათება ხარ სიბნელის,
იქნებ მომავლიდან წარსული,
ანდაც აქილევსის ქუსლი ვარ
და შენ ისარი ხარ ჩასული.
რალაც უცნაური წიგნი ხარ:
უცდი მატარებელს ღამეში...
ზეცამ გადახატა თვალები,
ისმის მწუხარების თარეში.
უცდი მატარებელს, არყოფილს,
თვალში გიჭიატებს ნათება,
შანთით ამოეჭდო ჩემს სარკმელს
შენი მოპარული ხატება.
ალბათ დამთავრდები ოდესმე,
წვიმა გარდიქცევა ცრემლებად,
მაგრამ მებალე ხომ ასეა,–
ბალნარს შიშველ ხელით ევლება.
იქნებ არ დამთავრდეს სიზმარი,
იქნებ დაგინერო საჩემოდ...
ქარო, გაისუსე, გაჩუმდი,
ქარო, ჩემთა ფიქრთა გამცემო...

სხეულზე წამოგიცვი და შემცივიდი... მიყვარდი, ვფიქრობ, რომ შემძულდი.

იმდენჯერ ვიფიქრე: არა ღირს ოცნება, ოცნებას სარკესავით მსხვრევა მოჰყვება, რომ რეალობაც დავამსხვრიე...

უგბილო!

დანმენდილ ღელეში შეტოპე და ამამღვრიე.

გამონვდილ ხელებზე ეკლებად შემეხე... არ მსურდი, არ მინდა, ფურცლად რომ დამეხე.

იცი?

სიცივე მყინავს და მამკვდარებს, ყინულის ფიქრები უგულოდ მამწარებს.

არ მსურდი არასდროს!

მეგონე აბსურდი. არ მინატრიხარ, არ მსურდი, არ მსურდი!..

წესია ასეთი, თუ ზნეა ჩვევების: გული გაქვს ჩიტის და სხეული დევების? არ მინდა ცხოვრების ავანტიურისტობა, არ მინდა მე შენი ხელების ტურისტობა!

მინდოდი ჩემთვის და მინდოდი საჩემოდ, მე გემოდ მინდოდი და არა საგემოდ...

ასეა, როდესაც გეგმები მინაობს, როდესაც სხეულში ქარები ბინაობს. მე ღვინოდ მინდოდი და არა დაღევად, სიახლედ მინდოდი და არა დარბევად...

ვინ იცის, სურვილი მხოლოდ რომ მე მკლავდა და უხმო ყვირილის სამარედ მსხლავდა?!

რა ვუყოთ, ლალატი სისხლშია გამჯდარი... ჯერ დევის გონება არ არის დამჯდარი.

არ იცი?

არ გეტყვი არასდროს არაფერს, არ გეტყვი ტკივილებს, ჩემს გულში ჩანაფენს.

მინდორი მეგონა მე ჩემი სხეული, შენ კიდევ—საჩრდილო ყვავილ-რვეული...

არც მე ვარ მინდორი, თუკი ვარ, ტალახის! არც შენ ხარ ყვავილი, არც ნოტი ბახის...

მეგონე—მერე რა?

მე მიყვარს ეს სიტყვა; მეგონე დარი და ამ დარმა დამსეტყვა.

რა ვუყოთ, ასეა ცხოვრების კაპრიზი... ვინ თქვა, რომ ერთია პარიზი, თავრიზი?..

მინდა რომ გისუნთქო...შენ ისე მძიმე ხარ, ისეთი უსუნთქო, ისეთი ვინმე ხაარ...

არ ვიცი, ოდესმე თუ ვნახავ შენს თვალებს, იმ თვალებს, რომელიც ჩემს თვალებს აწვალავს.

ანდაც მე არ მინდა, არ მინდა, რომ შემხვდე, არ მინდა, ჩემს გულში სისხლძარღვებს ჩეხდე!

არ იყავ გაშლილი, დაგხურე წიგნად და დამტვერილ თაროზე შემოგდე საუნჯედ.

ვინ იცის, იყავი ჩვენების ჩვენება, სიცოცხლის სიკვდილი, ცხოვრების სვენება!

ვესვენე ფიქრებში შენს ფიქრთა კაბადონს და ამავე ფიქრიდან მოჰგავდი იადონს.

ახლა კი ღრმა ძილმა მოიცვა სავანე... ღრმა ზეცავ, დამსეტყვე, ტალახი გამბზანე.

მახსოვს, პირველად რომ დაგინახე,
უკანასკნელი შეხვედრაც მახსოვს,
ჩემ და შენ შორის სივრცე ჩამდგარა,
ობობა მასში კი ბადეს აქსოვს...

მახსოვს, პირველად რომ გამიცინე,
უკანასკნელი ღიმილიც მახსოვს
და გაბრაზება? მაგას ვინ იტყვის?!
ჩემს გულს ეგ სიტყვა შენგან არ ახსოვს!

ცისარტყელები დავთვალეთ ერთად,
შვიდივე ფერი მეფობდა ღმერთად.

კავკასიონის ჯაჭვივით ქროდა...

ღროს გავეყინეთ ან სიცხით თოვდა
და შენს თვალებში დაქროდა ცეცხლი,
ბრძნად მეტყველება გამხდარა ვერცხლი,
თუმც შენს თვალებში ვხედავდი სითბოს;
ოქროს დუმილი ვარჩიე თითქოს.

მახსოვს, პირველად რომ დაგინახე,
უკანასკნელი შეხვედრაც მახსოვს...
ჩემ და შენ შორის სივრცე ჩამდგარა
და ამ სივრცეში ობობა რას ქსოვს?...

ჯ ვარი ავიკიდე სხეულზე,
გაფრენისათვის მწაღია...
ვ ითომ შევძლებ რომ? არ ვიცი, ისე
საეჭვო საქმეა.
ა ხმაურებულ ფიქრებში ვნება არ
არის მაცდური,
რ ომ ვუკვირდები, მაცდური აქ
პიროვნული „მე“ ა.
ს ადღაც სხეული მიზიდავს,
მიმამაგნიტებს მინას,
ა ქ აყვავილდა იუდა, ბედნიერებას
მფიცავს.
ც ა?..(ცა კი ღვთისმშობლის
თვალებში მოკლეს,
ვ იცი, განა ძნელია, გაიგო, ვინც
არს!?)
ე ჰ, ნეტავ სალამურს ავაკვნესებდე,
ს ულს ჩავუფენდე ზეციურ
ჰანგებს,
გ ლოვის ნოტებში ვჰპოვებდე
შვებას და
ლ აფვარდისფრით ვანგრევდე
სანგრებს.
ა ტირებუი მხიბლავს სხეული,
ალბათ გიჟი ვარ!
ხ ანი დავჰყავი, ჩემს საკუთარს
თვით გავურბივარ.
ა მეკიდება საშინელი უკვე
წადილი და
კ ალაპოტი გვალვისპირულ
ჩრდილებს ვუზივარ.
ი ის სურნელით გამომათრობს
შავი ხელები—
ჩ ამოშვებული ჩემს სხეულზე

ეშაფოტებად,
ა ნდაც ჩამოდგამს სავანეს და
ჩემი სხეულის
მ ახლობელ სულში ძირიანად
გაიტოტება.
ო, ნეტარებაე, ო, ფიქრებო, ნადილო
სულის–
ფ უთა შეფუთვად დამივარდით,
ამანათებო,
ლ ტოლვა კეთილი გარდასახეთ
ცდუნებად, მახედ და
ე ხლა გინდათ, აღარ მომკლათ,
თქვე ჯალათებო!
თ ითის დაქნევა, ეს მუქარა,
სიტყვაა მხოლოდ,
ი ცის სხეულმა, უნდა დარჩეს, უნდა
ენამოს,
ლ ურჯი თვალები დაივინცოს,
დარჩეს მინაზე,
ი სიც იმიტომ, რომ მისივე
სისხლმა შეჭამოს.
დ აბზარულ სარკეს ახალგაზრდაც
კი უბერდება,
ა სე ჯიუტად ეზიდება არსახულ
ნაოქს;
ე რთს ამოაქრობს, იმის ნაცვლად
დასახავს მრავალს,
რ ომ გამომთვრალი თევზებივით
ნაგაცვამს კაუქს.
თ ითქოს შეიგრძნობ, დაგიმძიმდა,
კაცო, საჯვარე
დ ა დაინახავ საგორებელ ლოდს
აკიდებულს,
ლ რჭინავ, ღრიალებ, სიზიფეზე
უფრო ტანჯულო და

ე ზიდები, ეზიდები
არდავალებულს!
ს ად არის ზეცა, სადა მაქვს
მხრები?–
ა ქვე ახლოა, შეუხებლივ
შემასმენს ფეთქვას.
ლ ამისებრ დილას მომითოვა არა
ფიქრებმა...
მ ე მომითხოვა ძველი ჯვარი
გადავსცე ზეცას.
ო, საცოდავო, ორთაბრძოლამ
დაგაჭრა ფრთები,
ჩ ამოენერე, ჯვარზე გაკვრის
აგართვეს ნება.
ნ ათლად იცოდი, ჩემო ტკბილო,
იცოდი ყველა...
დ აგვიგვიანდა! ჩვენმა ჯვარმაც კი
მიგვანება.
ა ნთებულ სანთელს უნდა ლოცვა,
მოკლა პეპელა!
რ აოდენ სტირის, მკვდარზე მეტად
ჯვარს ეცვა, სცხელა.
ო, განისვენე, შენ პეპელავ, ჩემში
ჩაკლულო,
მ აგრამ უწყოდე, შენი წასვლით
მეც გამომცელავ.
ი ყავი ჩემში, განა მხოლოდ
შემოგიტყვევე...
გ ულის სიღრმეში სანთელია
უფრო მძევალი:
ი ლებენ ნივთად, რომ დროებით
გამოიყენონ და
ლ აწვდამჭკნარი შემოსრისონ,
როგორც მტევანი.
მ ეუფლე, მოდი, მაგრამ იქნებ

ვიცხოვროთ ერთად,
ე რთი სანყაო ამოვავსოთ ორი
სხეულით,
რ ალატომ უნდა გაეჯიბროს ერთი
მეორეს,
თ უ შეიძლება, დაძმობილდეს ორი
სხეული?!
ი ქნებ გაცოცხლდე, არ იტიროს
დაშანთულ თვალმა,
ა ჰ, გავმთელდეთო, ბრმა სხეულმა
შემოგითვალა.

ფარავნის ტბიდან ანასხლეტო მზეო თიბათვის,
შემომითიბე ყვავილები, სულში ჩანწული,
შემომაშველე გლახაკსა და სულით დამამშვრალს
ცხოვრებისაგან სისაესავის სილა განწული.
მე ხომ მართალი არ ვყოფილვარ სულ არაფერში, –
ბრალი, სასჯელის, სულ ტყუილად წამომიყენეს,
მუხის ფესვებზე შემომრავლდა ური ჰიპები,
ური ჰიპებმაც თვის მიზნისთვის გამომიყენეს.
როცა „მეს“ ვამბობ, მხოლოდ ჩემზე რატომ გებულობთ?
ეს განაჩენი ყველა ჩვენზე გავანაწილე,
ყოფა-არყოფის, ტყუილებით ყელში ამოსულს,
კაცი რომ ვიყო, ვიყვირებდი „დედა ვატირე!“
რა გააჭირვე, შენ, ცხოვრებავ, ასეთი რა ხარ?!
რალაც ჭაობში შემოფლულის სურნელით ყარხარ!
შენ, ჯავახურად დაკემსილო წინდის საქუსლევე,
სხვაზე ჩაცმულო, ჩემს სხეულზე ჯვარცმული რად ხარ?
მიკობერებმაც მოიმრავლეს, უფალო, თავი,
მხოლოდ წუნწინი და ქადილი რომ შეუძლიათ;
სადღეგრძელოზე გამონვდილი ხავსის ჭიქები
ისე დალიეს მეხუთასჯერ, არც შეუვსიათ!

ილუზიების, – „სარკვე მითხარ...“– ასეთ ყოფაში, ხეს შემოაცვდა დარღვეული თვალი კაბისა, თავზე დაიდგეს გვირგვინები, ღმერთო-უფალო, ღალატ-გაყიდვის, ყორღანანთ კაცთა დაფნისა! დღეს სიკეთე და ერთგულება არის სირცხვილი და „გოიმობის“ ამსახველი ერთი სურათი, „კაიბიჭობენ“ და არაფრით არ განსხვავდება, საუბედუროდ, ქურდი გელა და ჩვენი გელათი!..

ო, ფარავანო, თითქოს შენში ჩასვენებულა კალოს სხეულზე გაღწეული ხორბლის ამბარი, შავი ხვრელივით შეგისრუტავს კაცთა მეობა და ყველაფერი, ყველაფერი გახდა ზღაპარი. ახლა დახავსულ, შემოქსელილ სახეს ვუყურებ და ათაბაგი მახსენდება ჩვენი სამცხისა...

ო, სამუდამოდ განისვენა მოიმედებამ და განეფინა ხის ძარღვებში სისხლი მარცხისა. იქნებ ჩამოდგეს ბაზალეთის ოქროს აკვანი და ფარავანმა დაარწიოს შვილი ხალხისა, გამოიზარდოს, გამოინვრთნას საჭირნახულოდ, რომ სამტევანოდ შემოვწუროთ ტანი თალხისა. ო, გაისარჯოს... შემობეჩდა არწივი კლდეთა, ველარ გასაძახის ბრმა მებრძოლებს მთვრალი ნალარა და ფარავანმაც ბუტბუტით და უხმო ძახილით თვისი სხეული თვის კალთებზე შემოაღალა. ფარავნის ტბიდან ანასხლეტო მზეო თიბათვის, შემომინურე ეს გული და შემსვი ფიალად და რაც დამრჩება გარდუხდელი ამ ცხოვრებაში, გამომაყოლე ხელმეორედ მოსვლისას ვალად. თუ გავლოთდები, ისევ მხოლოდ უიმედობა შემომაძალებს სევდისა და ჭმუნვების სასმელს, ძველ თბილისიდან აშულური ლექსის ლეგენდა უხმო საკვენსარს ამომგლეჯს და მეორედ მასმევს. გოგჩისპირული ზმანებები გადმოყრის ნორჩად დაულალავ და დაღალულთა დაღანდულ სახეს და დრო კი არა, ჩვენს ძარღვებში ჩასხმული სისხლი

ბრძოლის უნარს და სიმამაცეს ამრეზით დახვეს!
ისევ ფარავანს ვებუტბუტე წუხელ სიზმარში
და ჩემს აბულში გამონასკვეულ სხეულს დახვედე;—
როგორ იქნება, არაფერი არ გავაკეთო,
როგორ მოვკვდე და, მით უმეტეს, როგორ დავნებდე?!
სულ ცხოვრებაზე სამდურავი რა ზნედ გვაქვს კაცთა?—
დანაშაულის დაბრალება უფრო მარტივობს,
ფეხაუდგმელი ბავშვებივით მოვყვებით ლაქლაქს
და უმოქმედო ტაძარი კი ჩვენით მარტივობს.
განესვენება მზეს სხივები ფარავნის სარკეს,
სად ყველაფერი მივინვარებს და ოხრავს, ნარნარებს...
გამოკეტილი სამრეკვლოდან ისმის გოდება
და მიტოვებულ სიმძიმისგან გმინავს, ზანზარებს!..
თავდაფარულო, თავფარულო, ტბაო, მხნეობის,
გაიზრდებიან შენს წიაღში შენი შვილები
და მე თუ არა...თუ ვერ შევძელ, თუ ვერ მოვესწარ,
დამატლულ სხეულს მეზმანება მე ღვიძილები.
„რა დავანათლოთ ან ისეთი რა დავანყველოთ“,
როცა ქართველი თავის თავში ზიდავს ორივეს?
დანათლებაში კი სასჯელი არის იმდენი,
რომ ერთის მხრიდან გაბრძოლებით ათასს მოირევს.
ტბაო, დაფარე დაფარული უკვე წარსული,
რომ სატკივარი შემსუბუქდეს ჭირისუფალთა,
საქართველოში, ჯავახეთო, წმინდა ჯვრით გავლილს,
იქნებ უფალმა დაგაბერტყოს სინმინდის კალთა.
ფარავნის ტბიდან ანასხლეტო მზეო თიბათვის,
ცხოვრების მწერლად შემეჭედე, გულში განმგმირე,
დაღლილ მაჯიდან და გონებით დანატყვევ სიტყვებს
მიმატყვევე და სულთ ტევამდე მწარედ მაყვირე(მაკივლე)!
პიგმალიონი ვერ ვიქნები, შევსხა ოცნებად
დაზამთრულ ხეთა ნიბლიების დიდი მაყარი,
მზეო, თიბათვის, მოახერხე მაინც იმდენი,
რომ საზვარაკოდ ცულგანვდილი სხივი დამკარი.
გთხოვ, საღირები მომაშორე, უფალო ჩემო,
ან საღირები მიუსიე უცხოტომელთა,

ან ჭიაბერი, მამამზე და კოლონკელიძე
მუხლთ შემოდრიკე ჯვრის წინ მდგომელთა.
ფარავნის ტბიდან ანასხლეთო მზეო თიბათვის,
შემომითიბე ყვავილები, სულში ჩანწული,
შემომაშველე გლახაკსა და სულით დამამშვრალს
ცხოვრებისაგან სისაყსავის სილა განწული.

არ მინდა ნეკნი, ადექი, წაილე
და გული, წყეულიც, მიქციე ფერფლებად!
დამტოვე, ოხერო, ეს გულიც აილე,
საყდართან დამტოვე მუხლებზე ვედრებად.
ხელებიც წამართვი უშენოს ჩვეული,
განკვეთე გონება ისრივით მკვეთელი,
ხო, ცრემლიც წაილე ყინულადქცეული!–
ტუჩებს ვერ გაგატან, ტუჩს შენზე მვედრელი...
მომტაცე თვალები ჭაობში ჩაფლული,
განმდევენე, სიბნელის ეკალი მაგემე;
თუ მქვია უბრალოდ მე შენი წარსული–
ბოლოჯერ დამკოცნე, ოხერო, ბაგე მე.
თუ წახვალ, ნუ მეტყვი, როდის და როდემდის,
თუ აღარ გიყვარვარ, ნუ მიცქერ მგელივით;
უშენოდ დაჭრილ სულს ცრემლები სისხლად მდის,
შველივით მოხველ და მიდიხარ გველივით...
მიყვარდი ძალიან, ისე, რომ ვერც ვგრძნობდი,
არ ვიცი, ეს გრძნობა საერთოდ თუ იყო...
სარკეში საკუთარ თავსაც კი ვერ ვცნობდი,
მე შენთან ცხოვრებამ წამებიც გამიყო.
არ მინდა, წაილე ეგ ნეკნი ოხერი,
ღმერთო, ეს სასჯელი ბედად რად მარგუნე?!
ევა ვარ... აღარ მსურს, ერთგულად ვიცხოვრო,
ემშაკო, მოდი და მეორედ მაცდუნე!...

ბრმა აედი ვარ...

ბევრი გრძნობისგან ვერაფერს ვხედავ, ფრთამოკეცილი ჩაორთქლილი მინის განმენდასაც ვერ ვხედავ...

მომღერალი ვარ...

იმდენს ვუმღერე და ჩემი თავი გამომრჩა.

მე ჩამოვრჩი!

მეფიქრებოდა, რომ დრო ჩამომრჩა...

სხვის ტკივილებზე მალამოდ ვიჭრებოდი, თურმე თავად ტკივილად ვითვლებოდი.

ნელა, სულ ნელა მინისკენ ვეშვებოდი, გაფრენა მსურდა და უფრთოდ ვერ ვშვრებოდი...

დალია...

წვიმამ ცრემლების ზედაშე დაღვარა, მე მოივრებმა გამიტაცეს, დაიმონმა ჰადესს წამგვარა...

ბრმა აედი ვარ,

შეშლილი ვარ,

ჰეკატომბა ვარ ღმერთებისთვის შესანიშნავი!

ლამაზი სულის გარეთ ენა მქონია, ღმერთო, შემზარავი...

იმდენი ვიგრძენი, რომ ეს გრძნობა ველარ დავტიე და ეს გრძნობები საკუთარ თავსაც ვერ ვაპატიე... გავშალე წიგნი კარაბადინის, იქნებ მინამლოს...

ღმერთო, ჩემს გრძნობას უთხარ, ღმერთო, უთხარ, მინამოს!

თიხა არა ვარ!

ჩემში თიხა ფიქრმა შეცვალა, თავი მოვიდა ტვინთმბურღველი და უცებ შეჭამა...

ბრმა აედი ვარ!

უსინათლოს მიჯობს ყრუობა,

უთვალისჩინოს მირჩევნია ვერას უბნობა,

თუ მზეს ვერ ვნახავ, ხეიბრობა მიჯობს, ვფიცავარ, სიკვდილი მიჯობს, ღმერთო, ისედაც მეც ხომ მინა ვარ!..

თუ ვერ გაიგო ეს ვერავინ, ჩემი ბრალია, თითო სიტყვები გუშინდელი ღამის მთვრალია...

თეთრ ღამეებში შავი დილა ქალარად მიზის,

დაობლებული მიყურებს და ზის, მხოლოდ ზის...

შემომხედავენ რაფსოდები, მართმევენ სიტყვას,
საჯოჯოხეთო ენით ყრიან მიწიერ სეტყვას!..
ღმერთო, მე მქვია ქურდი მათი ნამოქმედარის, თუ თვით არიან
მომპარველი მზიანი დარის?
გაიშრიალა ფოთოლმა,
გაიჩხრიალა გველმა,
წყალი უნდოდა საბრალოს, წყალი ვერ ნახა შველმა...
ია ვიქნები, სინაზით იქნებ შევცვალო გვემა, არც მგლობას
მოვერიდები, თუნდაც მადვენონ წყევლა!
თვით ბოროტიც ხომ კარგია,
თვით სიკეთესაც არგია,
ცხოვრება ერთი ბარგია, სადაც სუყველა მარგია...
ბრმა აედი ვარ...
იმდენი ვიგრძენი, რომ ეს გრძნობა ველარ დავტიე და ეს
გრძნობები საკუთარ თავსაც ვერ ვაპატიე...

ლევან მაკარაძე

სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო სავეტერინარო განათლების ასოციაციის პრეზიდენტი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



ნინო მილაშვილი

სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ვეტერინარიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.



ვეტერინარული განათლება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში

შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს ტელეფონზე ზარი შემოვიდა, ადრესატმა გვამცნო, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სურდა შეხვედრა ვეტერინარიასთან დაკავშირებით, რისთვისაც სასურველი იყო, რომ საკითხების დეტალურად გაცნობისა და სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით შეხვედრა არ გადაგედო და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაგვემართა. შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში 2018 წლის სექტემბერში შედგა, რას ვიფიქრებდით რომ, შეხვედრის ორგანიზატორები ძალიან საპატივცემულო ადამიანები - უნივერსიტეტის

რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე და რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი მერაბ ბერიძე იქნებოდნენ. მაშინვე მივხვდით, რომ საქმე ეხებოდა არა მარტო ვეტერინარიას, არამედ უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვან საკითხებს და არც შევძლევდარვართ. ერთი სიტყვით, ურთიერთმოკითხვის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორმა, ქალბატონმა მაკა ბერიძემ მოგვანოდა დეტალური ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მყარად აქვს გადაწყვეტილი უნივერსიტეტის ბაზაზე განახორციელოს სწავლება ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომ ამისათვის ყველა პირობა შეიქმნება და უნივერსიტეტი ძალისხმევას არ დაიშურებს მათ ხელთ არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების ამ მიმართულებით მაქსიმალური ჩართულობით გამოიყენოს. რექტორის ნათქვამს დამაჯერებლობა ნამდვილად არ აკლდა და სასიამოვნო მოსასმენი იყო, აშკარად ჩანდა, რომ ინფორმაცია შედეგზე იყო გათვლილი. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ უნივერსიტეტს აქვს სერიოზული საუნავერსიტეტო რესურსი და სწრაფვა პროგრამაზე სწავლების განსახორციელებლად და საჭირო იყო ვეტერინარიაში გათვითცნობიერებული პიროვნებების რჩევა, როგორ და რით დავინყოთო. ისიც გვითხრეს, რომ ჩვენამდე შეხვედრას წინ უძღვოდა მყარი ინფორმაციის მოძიება, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ის პიროვნებები, რომლებიც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას კომპეტენტურ კონსულტაციებს გაუწევდა და ამავდროულად შეძლებდა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნებოდა და უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების მონონებასაც დაიმსახურებდა. ხანმოკლე, მაგრამ მრავლისმომცველი ინფორმაციის მიღების შემდეგ გადავხედე პროფესორ ნინო მილაშვილს, მანტერესებდა მისი განწყობა ამომეკითხა, მისმა გამომეტყველებამ მეც მომცა სტიმული საუბარში უფრო თამამი ვყოფილიყავი და რამდენიმე მოკრძალებული შეკითხვის შემდეგ, უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ მაკა ბერიძეს და პრორექტორს სამეცნიერო დარგში მადლობა გადავუხადეთ საინტერესო შეხვედრისა

და ნდობისათვის. არც ის დაგვიმალავს, რომ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების განხორციელება ჩვენი ინტერესის სფეროც იყო. საუბარში გამოიკვეთა, რომ ორივე მხარეს კარგად გვესმოდა, თუ რა პასუხისმგებლობას უკავშირდებოდა პროგრამის შემუშავება, საქმის წამოწყება, პროცესების მსვლელობა და მისი განხორციელება მხოლოდ მაღალპროფესიონალური მიდგომებისა და საგანმანათლებლო სფეროში მიღებული მყარი ცოდნის საფუძველზე შეიძლებოდა. ერთმანეთს მომავლის იმედებით დავემშვიდობეთ და შევთანხმდით, რომ შემდგომი შეხვედრისა და სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით ჩვენს მოსაზრებებს დაელოდებოდნენ. ასე დაიწყო ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმის წინა ისტორია.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსების, არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ ფაქტობრივად არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნდა. პირველი, რაც გასაკეთებელი იყო, უნდა განხორციელებულიყო ვიზიტი უნივერსიტეტში და ადგილზე შეგვესწავლა არსებული მდგომარეობა, ასეც მოხდა. 2018 წლის ოქტომბერში ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან მაკარაძე და ვეტერინარიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი ნინო მილაშვილი ვენჯიეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ მეგზურობა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაცნობად უნივერსიტეტის რექტორმა ქალბატონმა მაკა ბერიძემ და პრორექტორმა სამეცნიერო დარგში ბატონმა მერაბ ბერიძემ გაგვინიეს, რამაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ სამომავლო გეგმებს, რომელიც ითვალისწინებდა უნივერსიტეტის ბაზაზე ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების განხორციელებას მყარი საფუძველი ჰქონდა, ჩვენ ხომ ინფორმაციას უნივერსიტეტის პირველი პირებიდან ვღებულობდით. ყველაფერ აღნიშნულს საფუძველს უმაგრებდა ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტის

ინფრასტრუქტურამ სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობამ, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებამ და სწავლებისათვის აუცილებელი კლინიკური ლაბორატორიებისათვის გამოყოფილმა საგანმანათლებლო სივრცემ, უნივერსიტეტის გამართულმა IT სისტემებმა და საბიბლიოთეკო ფონდმა ჩვენზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. აღნიშნულს ემატებოდა ისიც, რომ სამცხე-ჯავახეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია მეცხოველეობის მიმართულებით და ისევე როგორც, საქართველოს სხვა რეგიონებში, აქაც ვეტერინარული კადრების მწვავე ნაკლებობა ფიქსირდება. ერთი სიტყვით, ყველაფერი მიდიოდა იქითკენ, რომ უნდა გვეფიქრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლების განხორციელებასა და კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე.

ახალციხიდან თბილისისკენ მომავალს ერთი ფიქრი გვამოძრავებდა, დროულად შეგვეშუშავებინა სამოქმედო გეგმა. კარგად გვესმოდა, რომ პროგრამის შემუშავებას წინ სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები უნდა წამძღვარებოდა, რაც საშუალებას მოგვცემდა, მოგვეზინა ვეტერინარიის მიმართულებით ქვეყანაში არსებული სიტუაციის დეტალური გაცნობა და პონტენციური დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების აზრის გათვალისწინება.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დროულად განახორციელა შესაბამისი სამართლებრივი აქტის - უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების გამოცემა (N 63, 17.10.2018), რომელიც ითვალისწინებდა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოსამზადებელი ჯგუფის შექმნას. ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნა ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან მაკარაძე, თანახელმძღვანელად ვეტერინარიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი ნინო მილაშვილი, რომლებიც სამომავლოდ მოიაზრებოდნენ პროგრამის ხელმძღვანელებად. ხელშეკრულებაში დეტალურად იყო განწერილი

სამუშაო შეხვედრების დრო, საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო პროექტის შედგენის, შუალედური ანგარიშების, დასრულებული საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენისა და სამუშაო ჯგუფის შედეგების პრეზენტაციის ვადები და სხვ.

ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს კარგად ქონდა გათვინცნობიერებული ის, რომ საქართველოს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი ვეტერინარიის სფეროს მონესრიგებისაკენ, მისი ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაახლოებისა და თანამედროვე გამოწვევების ადეკვატური რეგულირების სისტემის შექმნისაკენ, წარმატებული რეფორმების განხორციელებისაკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ვეტერინარიის სფეროში მიმდინარე რეფორმების გაგრძელება, მათი თანმიმდევრული განხორციელება და შეძლებისდაგვარად მეტი სახელმწიფო რესურსის მიმართვა ამ რეფორმების დაჩქარებისა და ეფექტიანობის გაზრდისთვის.

2011 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები (17.06.2011 წელი), რითაც „სავეტერინარო მედიცინა“ ამოღებული იქნა რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალიდან იყო ვეტერინარული განათლების მხრივ 2000-იან წლებში კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი, კერძოდ, ვეტერინარი ექიმის კვალიფიკაციის მქონე პირს აღარ მოეთხოვებოდა სერტიფიკატი და არ ჰქონდა რეცეპტის გამოწერის უფლება. ხუთწლიანი სწავლება (300 კრედიტის მოცულობით) ოთხწლიანი (240 კრედიტის ფარგლებში) გახდა და არაადეკვატურად შემცირდა სპეციალობის სასწავლო კურსების რაოდენობა და მოცულობა, ფაქტობრივად, სათანადო კომპეტენციის მქონე ვეტერინარი ექიმის მომზადება საქართველოში არ ხდებოდა. ამასთანავე, საქართველოში მიღებული ვეტერინარული უმაღლესი განათლება არ იყო თავსებადი საერთაშორისო, მათ შორის ევროკავშირის პრაქტიკასთან და შესაბამის მოთხოვნებთან. საბედნიეროდ, ეს ხარვეზი 2017 წელს გამოსწორდა და ვეტერინარია კვლავ რეგულირებად პროფესიად გამოცხადდა. ვეტერინარიისთვის რეგულირებადი პროფე-

სიის სტატუსის დაბრუნება (15.11.2017 წელი, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესული ცვლილება), რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი და ქვეყნისათვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, ფაქტობრივად ვეტერინარიის სფეროში მიმდინარე რეფორმების გაგრძელებას წარმოადგენდა და ეს ასევე იყო ვეტერინარიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ყოფილიყო მრავლისმომცველი და მისი შედგენისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ვეტერინარიის სფეროში ევროკავშირში მოქმედი წესები. ამ სფეროში ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტების „ცხოველთა ჯანმრთელობის სტრატეგია“ და „ცხოველთა ჯანმრთელობის კანონი“-სა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვეტერინარიაში შემუშავებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნები, ვეტერინარიის დარგის სპეციფიკა, შრომის ბაზრისა და პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულთა მოსაზრებები, ასევე მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მსგავსი პროგრამებისა და დარგობრივი მახასიათებლების სწავლისა და სწავლების შედეგების გაცნობა-გაანალიზება. ვეტერინარიის მიმართულებით უცხოეთის სხვადასხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სწავლების შესაბამისი პროგრამების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ საქართველოში განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი იყო დეტალურად შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა ბელგიის გენტის უნივერსიტეტისა და ესოტონეთის ტარტუს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებათა უნივერსიტეტის ვეტერინარულ პროგრამაზე სწავლების სისტემები და მათი გამოცდილების გამოყენებით შეგვეშუავებინა კურიკულუმი (სასწავლო კურსების ერთობლიობა, რომელიც ვეტერინარიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად იქნებოდა გამიზნული) და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

იმისათვის, რომ მაქსიმალურად დაგვეკმაყოფილებინა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, პროგრამისა და კურიკულუმის შედგენისას სრულად გავითვალისწინეთ მნიშვნელოვანი დოკუმენტის - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვეტერინარიაში შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების ფუნდამენტური მოთხოვნები, კერძოდ, ზოგადი და საბაზისო განათლება თავისუფალი სასწავლო კურსებით პროგრამასა და კურიკულუმში მთელი კრედიტების 25% -ით იყო წარმოდგენილი, ხოლო სპეციალობა ვეტერინარიის განათლება, ანუ სპეციალობის სასწავლო კურსები - 75%-ით. პირველად, ვეტერინარიის სწავლებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ცხოველური პროდუქტების ტექნოლოგიის, სურსათის უვნებლობის, ჰიგიენის და კონტროლის მიმართულებით სწავლებამ და ცხოველების მოშენების საკითხებმა. განსაკუთრებით დაიხვეწა და მრავალფეროვანი გახდა სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკის კომპონენტი. შემუშავდა სპეციალობის პრაქტიკის ჩატარების მრავლისმომცველი პროგრამა, რომელშიც დეტალურადაა განერილი საწარმოო პრაქტიკის მნიშვნელობა, სწავლების სტრატეგია, პრაქტიკის მიზანი და ამოცანები, პრაქტიკის ცალკეულ კომპონენტებში ჩასატარებელი სამუშაოები და დახარჯული დრო, ჩატარებული სამუშაოს მონიტორინგის, სამუშაო დღიურის შედგენის, დაცვისა და კრედიტების მინიჭების პროცედურები.

საგანმანათლებლო პროგრამისა და კურიკულუმის შედგენაში ჩართული იყვნენ ვეტერინარიის დარგის მაღალკვალიფიციური პედაგოგიური პერსონალი, რომლებსაც გააჩნდათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის შესაბამისი კომპეტენცია, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მრავალწლიანი წარმატებული გამოცდილება და შთამბეჭდავი მიღწევები, კერძოდ: ვეტერინარიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებაში ჩართული ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები თენგიზ ყურაშვილი (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), ლევან მაკარაძე, დავით გოდერძიშვილი; ვეტერინარიის დოქტო-

რები ნინო მილაშვილი, თეა ოშხერელი, ასევე ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მერაბ ნათიძე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო რიგვავა, ვეტერინარიის დოქტორები დემნა ხელაია, თეიმურაზ არეშიძე, თემურ პაპუაშვილი, ზურაბ მაკარაძე, ზურაბ პარკაძე, ლალი მანჯავიძე, მარინა თურმანიძე, ეკატერინე ჩაჩუა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ლევან თორთლაძე, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორები მაია ხუციშვილი, ავთანდილ ჩაგელიშვილი, გივი ბელელური, ნაირა მამუკელაშვილი, დოქტორანტი გიორგი ბუცხრიკიძე და სხვა.

ვეტერინარია-მეცხოველეობის მიმართულებით წამყვანი სპეციალისტების, საწარმოო-დანესებულების, რეგიონული და საერთაშორისო ვეტერინარული ასოციაციების ხელმძღვანელების, საქართველოში მოქმედი ვეტერინარული კომპანიების, კურსდამთავრებულების და სხვათა აზრის გათვალისწინების მიზნით ინტენსიურად დაიწყო ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისა და კურიკულუმის პრეზენტაცია, კერძოდ 2018 წლის 17 ნოემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ბაზაზე გაიმართა გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ სააგენტოს ხელმძღვანელები, ვეტერინარიისა და სურსათის დეპარტამენტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელები და წამყვანი სპეციალისტები, რეგიონალური საამართველოების ხელმძღვანელები. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის წარმომადგენლები, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო სავეტერინარო განათლების ასოციაციის პრეზიდენტი, „ვეტერინარია საზღვრებს გარეშე - კავკასია“ ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს ვეტერინართა გაერთიანებული ასოციაციის პრეზიდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები. შეხვედრაზე, რომელიც ვეტერინარია-მეცხოველეობის და სურსათის უვნებლობის კუთხით მაღალი კომპეტენციის მქონე პირების წარმომადგენლობით გამოირჩეოდა, აღინიშნა, რომ სამუ-

შაო ჯგუფის მიერ მაღალი კომპეტენციის ფარგლებში შემუშავებულია ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და კურიკულუმი, ასევე მნიშვნელოვანი სიახლეებია შემოთავაზებული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკონკურენტუნარიანი ვეტერინარი სპეციალისტის მომზადების კუთხით, რომ პროგრამა საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა შემუშავებული და საქართველოს პოლიტიკის ნაწილია ვეტერინარიაში განათლების კუთხით რეფორმების წარმატებით განსახორციელებლად. შეხვედრა გამოიჩინოდა პრეზენტაციაზე წარდგენილი საკითხისადმი განსაკუთრებული დაინტერესებით, კონსტრუქციულობით და ვეტერინარიის დარგისადმი წაყენებული მოთხოვნების მიმართ მაღალი პასუხისმგებლობით. გამოითქვა მნიშვნელოვანი სურვილები და მოსაზრებები პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების კუთხით, შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავების აუცილობლობის გათვალისწინებით და სხვა.

2018 წლის 4 დეკემბერს ვეტერინარიის მიმართულების ფარმაცევტული კომპანია „ინვეტის“ ბაზაზე წარდგენილ პროგრამის პრეზენტაციას ესწრებოდნენ კომპანიის გენერალური დირექტორი, მისი მოადგილე, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელები და წამყვანი სპეციალისტები. აღინიშნა, რომ პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ფარმაკოლოგია-ფარმაციისა და რეცეპტურის საკითხების სწავლებას, ვეტერინარული პრეპარატების სწორად გამოყენების საკითხებს და სხვა. კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოთქვა მზაობა, „ინვეტის“ ბაზაზე განხორციელდეს პრაქტიკული სწავლება ვეტერინარული პრეპარატების ტექნოლოგიისა და კონტროლის საკითხებზე და სამომავლო მჭიდრო თანამშრომლობაზე.

მნიშვნელოვანი იყო პროგრამის პრეზენტაციები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე 2019 წლის 11 მარტს და 2019 წლის 3 მაისს. 11 მარტის პრეზენტაცია ძირითადად ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლებთან გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე, პრორექტორი სამეცნიერო დარგში მერაბ ბერიძე, უნივერსიტეტისა და

ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელები და სპეციალისტები, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის პროფესორა. ფაქტობრივად აღნიშნული შეხვედრა იყო 3 მაისის დასკვნითი შეხვედრის წინა პრეზენტაცია და საბოლოო შეჯერება იმ მოსაზრებებისა და სურვილების, რომელიც წინა შეხვედრებზე გამოითქვა.

2019 წლის 3 მაისის უნივერსიტეტის ბაზაზე გამართულ გაფართოებულ შეხვედრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და ფაკულტეტების წარმომადგენლების გარდა ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში განთავსებული ვეტერინარია-მეცხოველეობის წარმოება-დანესებულებების ხელმძღვანელები, ახალციხის სამხარეო ასოციაციის წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ახალციხის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელობა და წამყვანი სპეციალისტები, სურსათის ეროვნული სააგენტოს ახალციხის რეგიონალური სამმართველოს ხელმძღვანელობა და სპეციალისტები, რეგიონში განთავსებული ვეტერინარული კლინიკისა და აფთიაქის წამყვანი სპეციალისტები, ფერმერები, ხორცისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოებისა და სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლები და სხვა. დეტალურად იქნა განხილული პროგრამის სტრუქტურა და მოცულობა, სპეციალობა ვეტერინარიის სასწავლო კურსების შინაარსობრივი მხარე, პროგრამაში წარმოდგენილი სურსათის უვნებლობის, ჰიგიენისა და კონტროლის საკითხები, ცხოველის მოშენებასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ახალი მიდგომებით შემოთავაზებულმა სპეციალობის (დარგობრი) პრაქტიკის კომპონენტმა ამ მიმართულებით შემუშავებულმა დარგობრივი პრაქტიკის ჩატარების პროგრამამ.

პროგრამის შინაარსობრივი მხარისა და მნიშვნელობის გასაცნობად და შეფასების მიზნით, პროგრამის წინასწარი ვერსია დაიგზავნა უცხოეთის შესაბამისი პროფილის საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მათგან მიღებული სურვილებისა და რეკომენდაციების განხილვის შემდეგ, მოხდა პროგრამის საბოლოო ვერსიის შემუშავება.

პრეზენტაციების პარალელურად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აქტიურად მუშაობდა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფას. განახლდა უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიები, ჩამოყალიბდა ახალი, პათოლოგიური ანატომიისა და ჰისტოლოგიის ლაბორატორია, მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგიის ლაბორატორია, კლინიკური დიაგნოსტიკის ლაბორატორია, მოენყო ანატომიის პრაქტიკუმი საპრეპარაციოთი, საოპერაციო სტაციონარით, პროზექტურა და სხვა. შექმნილი იქნა: ღია სისტემის, ნახევრად ავტომატური ფოტომეტრი - HumaLyzer Primus; დიფერენცირებადი ავტომატური ჰემატოლოგიური ანალიზატორი - HumaCount 30 TS HUMALYZER PRIMUS; ნახევრად ავტომატური შარდის სადიაგნოსტიკო ანალიზატორი COMBILYZER; სადიაგნოსტიკო აპარატი ბიოქიმიური გამოკვლევებისათვის HUMALYZER PRIMUS; ინკუბატორი ბიოქიმიური გამოკვლევებისათვის (humaCube 220v); 18 ერთეული ორტუბუსიანი მიკროსკოპები, ცენტრიფუგა (HuMax 3k), ავტოკლავი, მაცივრები, მიკრობიოლოგიური და ქიმიური ჭურჭელი, ანატომიური და გინეკოლოგიური მულიაჟები, სასექციო კომპლექტი, ფოტოსაილუსტრაციო (ანატომიური, პათანატომიური, გინეკოლოგიური, ქირურგიული) პლაკატები; ქირურგიის, სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზისთვის განკუთვნილი ექსპონატები; ლატექსის მასალა ქირურგიული უნარ-ჩვევებისათვის, სველი სამუზეუმო პრეპარატები და სხვა.

მთლიანობაში პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრებმა დაგვარწმუნა, რომ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა საშუალებას იძლეოდა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი ვეტერინარი სპეციალისტის მომზადების. ამ შეხვედრების მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობდა, რომ სპეციალისტების და დამსაქმებლების სურვილების გათვალისწინებამ კიდევ უფრო მობილური და მიმზიდველი გახადა პროგრამის შინაარსობრივი მხარე და ხელი შეუწყო პროგრამის განვითარებას და მდგრადობას. აღნიშნულის დასტური იყო ექსპერტთა ჯგუფის (საერთაშორისო ექსპერტი, დოქტორი

თომას თიირათსი (Toomas Tiirats ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე), აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი ლევან ციციქიშვილი-წევრი) სტუდენტი ექსპერტი ლელა გურგენიძე - წევრი) მიერ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დადებითი შეფასება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბრის N241 გადაწყვეტილების შესაბამისად, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭება. ეს იყო ისტორიული გადაწყვეტილება, რომელმაც შექმნა სამართლებრივი საფუძველი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, პირველად ქვეყნის ისტორიაში სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებულიყო სწავლება ვეტერინარიის აკრედიტებულ ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღნიშნული ამავდროულად იყო უნივერსიტეტის აღიარებისა და მისდამი ნდობის დასტური, ასევე პასუხისმგებლობა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკადრო პოლიტიკის - კვალიფიციური ვეტერინარი სპეციალისტების მომზადების კუთხით. გვეამაყება, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად ვართ ამ მნიშვნელოვანი ისტორიული გადაწყვეტილების ერთ-ერთი ნაწილი და აქტიური შემსრულებლები.

ნანა მიქელაძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი. ამჟამად მუშაობს უნივერსიტეტში საზოგადოებასთან სამსახურის სპეციალისტად.



საუბრაბი რექტორთან

სულ სხვაა, როდესაც თავად რექტორი გპასუხობს

„როდის?“, „რატომ?“, „რა?“, „როგორ?“, „სად?“ - ამ და სხვა კითხვით სიტყვებს იყენებენ სტუდენტები, როდესაც „საუბრები რექტორთან“ მიმდინარეობს. ეს არის ტრადიციად ქცეული შეხვედრები, რომელიც ყოველი თვის ბოლოს იმართება. დახურულ კარს მიღმა, სადაც რექტორი სტუდენტების პირისპირ რჩება, ყველაზე გულწრფელი გარემო იქმნება.

ყველაფერი კი 2018 წელს დაიწყო, როდესაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად არჩეულ იქნა ქალბატონი მაკა ბერიძე. მისი ინიციატივა იყო სტუდენტებთან სისტემატური არაფორმალური ხასიათის შეხვედრები. იდეის განხორციელება და ორგანიზება საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას დაეკისრა. პირველი შეხვედრა 2018 წლის აპრილის ბოლოს შედგა და მას შემდეგ ყოველთვიურად იმართება „საუბრები რექტორთან“. აღსანიშნავია, რომ რამდენჯერმე გამოიკვეთა აუცილებლობა და აღნიშნული ფორმატით შეხვედრა თვეში ორჯერ გაიმართა.

„საუბრები რექტორთან“ იმართება ყველგან: უნივერსიტეტის პირველი, მეორე და მესამე კორპუსის სახვადასხვა აუდიტორიაში.

ყველაზე დასამახსოვრებელი შეხვედრა 2018 წლის ივნისში იყო, როდესაც რექტორი და სტუდენტები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე პირველი კორპუსის ეზოში, გრიგოლ ხანძთელისა და ივანე ჯავახიშვილის ძეგლების გარემოცვაში მსჯელობდნენ.

სტუდენტებისთვის შეხვედრებზე მონაწილეობა ნებაყოფლობითია. რექტორი წინასწარ შერჩეულ თარიღსა და დროზე დათქმულ ადგილას მიდის და ელოდება, ვინ მივა მასთან სასაუბროდ. მნიშვნელობა არა აქვს, ეს იქნება ერთი სტუდენტი თუ სტუდენტთა ჯგუფი. ქალბატონი მაკა ყოველთვის მზად არის, მოისმინოს სტუდენტთა სურვილები, იდეები, შენიშვნები და რჩევები.

„საუბრები რექტორთან“ არის უნიკალური შესაძლებლობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტისთვის. ეს არის ურთიერთობის შესანიშნავი ფორმატი, რომელიც პირველ რიგში, სტუდენტების თვალთ დახმავებული პრობლემის და საჭიროების იდენტიფიცირებისკენ და შემდეგ მოგვარებისკენ არის მიმართული. რექტორმა შეძლო და სტუდენტებს ადმინისტრაციული ლაბირინთი და ბიუროკრატიული ჯაჭვი ააცილა თავიდან. ქალბატონმა მაკამ თავად იკისრა პრობლემის მოგვარების გზების პოვნა, შესაბამის სამსახურებამდე მიტანა და მოგვარება.

ამ დროის განმავლობაში არაერთი საკითხი წარმატებით მოგვარდა. რთულია ყველა წამოჭრილი საკითხის შედეგზე ვისაუბროთ, რადგან შეხვედრები კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიასაც იძლევა, მაგრამ აუცილებელია ფართო საზოგადოებას ახლოდან გავაცნოთ „საუბრები რექტორთან“. სტუდენტების მიერ წამოჭრილი საკითხები ძირითადად შემდეგ თემებს ეხება: გამოცდები, სტუდენტისა და პედაგოგის ურთიერთობა, სტუდენტური სივრცეები, სახელმძღვანელოთა ელექტრონული ბაზა, სასწავლო ცხრილები, სწავლის საფასურის გადახდის ვადები, თეორიული ცოდნის პარალელურად პრაქტიკა, ახალგაზრდული პროექტები და აქტივობები.

პანდემიის დროს გამოიკვეთა პრობლემა, რომ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი ინტერნეტზე ხელმეორედ მომლობის გამო ვერ ახერხებდა დისტანციურ მეცადინეობებში მონაწილეობას. ეს ამბავი სწორედ მაშინ გაჟღერდა, როდესაც „საუბრები რექტორთან“

მიმდინარეობდა. ქალბატონმა მაკამ დაუყოვნებლივ მიიღო საკითხის მოსაგვარებლად ზომები და აღნიშნული პრობლემის მქონე თითოეული სტუდენტისთვის ინტერნეტის საფასურის გადახდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყო. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 4500 ლარის ოდენობის თანხა, რითაც 150-მდე სტუდენტმა შეძლო დისტანციური სწავლისთვის ინტერნეტის შეძენა. გარდა ამისა, უნივერსიტეტში აღმოჩნდნენ ისეთი სტუდენტები, რომელთაც არ ჰქონდათ კომპიუტერული მოწყობილობა, რითაც შეძლებდნენ დისტანციური სწავლის პროცესში სრუყოფილ მონაწილეობას. რექტორმა ამ პრობლემის აღმოფხვრაც მყისიერად შეძლო და სტუდენტებს კომპიუტერები ხელშეკრულების საფუძველზე დროებით საკუთრებაში გადაეცათ. სამცხე-ჯავახეთის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის განყოფილების სპეციალისტებმა 5 სტუდენტის სახლში თავად მიიტანეს და გამართეს სასწავლებლის ბაზაზე არსებული კომპიუტერები.

თვიდან თვემდე იცვლება აქტუალურ საკითხთა თემატიკა და შეკითხვები ყოველთვის განსხვავებულია. სტუდენტები რექტორს ეკითხებიან ყველაფერს, ზოგჯერ იმასაც, რაც უკვე ისედაც კარგად იციან. ამ დროს ვფიქრობ ხოლმე, ალბათ სულ სხვაა, როდესაც თავად რექტორი გასასუხობს.

პანდემიის გამო დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე რომ გადავედით, პირველი, რაც გონებაში ვერ აღვიქვი, რექტორთან ტრადიციად ქცეული შეხვედრები იყო. ვფიქრობდი და ვწუხდი, სახლში დარჩენის გამო, სტუდენტები რექტორს ველარ შეხვედებოდნენ, მაგრამ არა! ქალბატონმა მაკამ ამ შემთხვევაშიც მარტივი გამოსავალი იპოვა და „საუბრებმა რექტორთან“ ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა. შეხვედრის ადგილმა აუდიტორიიდან სოციალური ქსელში დაიდო ბინა, სადაც სტუდენტთა დახურულ ჯგუფში რექტორი პირდაპირი ჩართვის საშუალებით ამყარებს კომუნიკაციას. სტუდენტები კომპიუტერებისა და ტელეფონების მიღმა კიდევ უფრო მეტად აქტიურობდნენ.

ახლაც, დეკემბრის თვის ბოლო დღეებია. უკვე დროა „საუბრები რექტორთან“ დავგვემოთ. ჯერ ქალბატონ მაკას შევუ-

თანხმდები, შემდეგ სტუდენტებთან დავაანონსებ, მათთვის სასურველ თარიღს შევარჩევთ, შემდეგ კვლავ რექტორს ვაცნობებ შერჩეულ დროს და ინტერესით დაველოდები შეხვედრას.

მათ, ვისთვისაც შეხვედრები დახურულია, გიზიარებთ სტუდენტების შთაბეჭდილებებს და შეფასებებს, რომლებსაც რექტორის ონლაინ ჩართვის პარალელურად აკომენტარებდნენ: „ყოველთვის მოუთმენლად ველოდები ამ შეხვედრებს, რადგან ჩემი სათქმელის თქვენამდე მოტანის საშუალება მეძლევა“, „სხვა უნივერსიტეტებს არ ჰყავთ ჩვენნაირი რექტორი“, „იმედი მაქვს, თქვენი შუამავლობით მოვაგვარებთ ამ საკითხს“, „გმადლობთ ამომწურავი პასუხისთვის“.

ტრადიციადქცეულ შეხვედრებზე ყურადღების მიღმა არ რჩება, არც ერთი საკითხი. სტუდენტთა გამოხმაურება და მათი მხრიდან მიღებული დადებითი შეფასებები კი, არის ინდიკატორი იმისა, რომ „საუბრები რექტორთან“ ყოველთვის უნდა არსებობდეს, რათა საუნივერსიტეტო გარემო მუდმივად იხვეწებოდეს და უმჯობესდებოდეს სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით.



ბასსენება ქველი ჩანანარეზიან

2015 წელი. ოცდახუთი წელი გახდა, რაც სამცხე-ჯავახეთის მრავალტანჯვანახული და მადლიანი ნამდვილი ქართული მიწის მკვიდრი თუ სტუმარი, ჯერაც ვერ გამირკვევია, ვარ თუ არა.

დღეს ტრადიციული დღეობა – შალვა ახალციხელის ხსენების დღეა, რომელსაც ახალციხელობაც შეარქვეს. ჩვენი ოჯახისთვის განსაკუთრებული დღეა, წლს როგორც იქნა, ახალციხემ მიგვიღო და მერაბს საპატიო ახალციხელის წოდება მიანიჭა დღევანდელმა მთავრობის ადგილობრივმა ნაწილმა, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენთვის დიდი სიხარული და სიმშვიდეა. მანამდე ვხუმრობდი, ღამურას დღეში ვართ-მეთქი. თბილისს გადავეჩვიეთ, ახალციხელები ვერ გავხვდით-მეთქი. რა თქმა უნდა, დღევანდელმა დღემ ეს კომპლექსი მომიხსნა.

ოცდახუთი წელი შეუსრულდა ჩვენს უნივერსიტეტსაც, რომელმაც დაიბრუნა თავისი ძველი ტიტული და კვლავ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსს ატარებს. ეს წელიწადი არის საიუბილეო, სავსე სასიამოვნო და წარმატებული თავისი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული შედეგებით...

გაზაფხული სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემისთვის შემოდგომაა... ვიმიტომ ჩვენს დათესილს...

უნივერსიტეტის იუბილესთან დაკავშირებით გადაწყდა მისი ისტორიის ამსახველი წიგნების სერიალის გამოცემა. ჩამოვიდა ორი შესანიშნავი კრებული, რომელიც ახლა ჩემ წინ დევს... გადავთვალიერე... სტატიები, დოკუმენტური მასალაა ყველაფერი, გამომხაურებები; უზარმაზარი მასალაა, ვფიქრობ, ამ ყველაფერს კი საფუძვლად ჩვენი ოჯახის უშრეტი ენერგია, დრო, ემოციები – ხან დადებითი, ხან უარყოფითი, ფიქრში გატარებული თეთრი ღამეები და უამრავი სხვა უდევს... თუმცა ვისთვის წიგნია და ვისთვის მთელი თავისი ცხოვრება... გახსენებები დაწერეო დ ავერ ვახერხებ... თუმცა წიგნები, რომელიც ჩემ წინ აწყვია... ჩემი გახსენებებია, აბა, რა! – ვეკამათები ჩემს თავს და თავბოლოარეულს ამბის დაწყება ვერ მომიხერხებია. საიდან დავიწყო, რით დავიწყო, რა გავიხსენო, უამრავია, ალბათ, წიგნი უნდა დაიწეროს, წიგნი, რომელიც მაგალითი გახდება მომავალში, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა გადალახოს უამრავი გადახერგილი წინააღმდეგობა – ეშმაკისეული ქმედებები, ადამიანური და არაადამიანური ღალატი, ეკონომიური თუ სულიერი გაჭირვება და მიაღწიოს მიზანს – ააშენოს ტაძარი, სადაც თვითონაც ილოცებს და ათასობით სხვასაც აზიარებს წმინდა საქმეს...

დრო გადიოდა... შეუმჩნევლადო, ვერ ვიტყვი, რადგანაც იმ საშინელ სიტუაციაში – გაჭირვებასა, ომსა, სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურებისა, საძმობისა, კლანებისა და კიდევ ვინ იცის, რომელი დაჯგუფების თარეშში, მკვლევლობებსა და ძარცვა – გლეჯაში, შიმშილსა და სიცივეში ჯერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, რომელიც კანტიკუნტად დადიოდა... (შემდეგ აღარც ეს ფუფუნება გაგვანდა) და შემდეგ კი, როგორც იქნა, უნივერსიტეტის რექტორმა ბ. როინ მეტრეველმა ერთი ძველი, ხმარებიდან ამოღებული, ორმოცდაათიანი, თუ სამოციანი წლების ცხვირიანი ავტობუსი მოგვიხერხა (მაშინ ყველა უნივერსიტეტს თვითონ დიდი გაჭირვება ედგა). ეს იყო ჩვენი ხსნა, მესხეთის ფილიალისაც, თავისთავად! და ყოველ კვირას გვიხდებოდა ოჯახებისა და შეილების დატოვება თბილისში რამდენიმე დღით... ახალციხეში ჩამოსვლა, ჩვენი უდიდესი და უსაყვარლესი საქმიანობის შესრულება და უკან დაბრუნება. „დატვირთული“ სამხრეთის მაღლიან მინაზე მოყვანილი ხორავით. – კარტოფილით, ლობიოთი და თუ

ყველსაც ვიშოვიდით ბაზარში, ჩვენს ბედს ძალლი აღარ ჰყეფდა... ჩვენი შვილების სიხარულსაც სზღვარი აღარ ჰქონდა. თბილისი ქუხდა და დუღდა... ადამიანებს შორის დამოკიდებულება კარდინალურად იცვლებოდა, რასაც ახალი პოლიტიკონომიკური და სოციალური ძვრები აყალიბებდა... იწყებოდა, შურისა და გათითოეულობის პერიოდი. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მომხვეჭილობისა და გამდიდრების დაუოკებელი, ინსტიტუტებამდე დასული ჟინი... როგორც მაშინ ამბობდნენ პოლიტიკოსები, იცვლებოდა საზოგადოებრივი ფორმაცია, რასაც უნდა მოჰყოლოდა ქვეყნის ნგრევა და მრავალი. კატაკლიზმა... რისი მონმეებიც ჩვენ ვხდებოდით.

ჩვანი ავტობუსიც ჩვენთან ერთად იტანდა ყველაფერს, რაც წინ გველობებოდა და გვეწინააღმდეგებოდა. სიბერისგან მასაც მრავალი რამ ანუხებდა... გზა... გზას ვამბობ თორემ... ბორჯომის გავლას ლამის ერთ საათს ვანდომებდით, მით უმეტეს, თუ ორმოებში წყალი იდგა... შესანიშნავად შევისწავლე ავტონაწილების სახელები და მათი ფუნქციები

მინდა, გავიხსენო ის განწყობილება, რაც ავტობუსში სუფევდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტს... თითქმის ერთნაირი ფსიქიკისა და ერუდიციის, ეროვნული სულისკვეთების პროფესურამ მოიყარა თავი... თუ სხვა სამშობლოსათვის იარაღით იბრძოდა, სამშობლოს სიცოცხლეს სწირავდა, ჩვენ ჩვენი ცოდნით, ჩვენი განათლებითა და მსოფლმხედველობით ვცდილობდით დავმკვიდრებულიყავით, აგვევსო და გაგვემტკიცებინა განათლების ესოდენ საჭირო და ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი სამხრეთ საქართველოში... დაგვებრუნებინა უძველესი სახე მესხთათვის, რათა კვლავ ეწოდებინათ მათვის „სწავლითა ქებული.“

თითოეული პროფესორი ჯამრთელობასა და პირად ცხოვრებას სწირავდა ქვეყანას... ჩვენ ერთმანეთის ფასი ვიცოდით, ვიცოდით, როგორ ვჭირდებოდით ამ უდიდეს საქვეყნო საქმეს და ერთმანეთს ვუფრთხილდებოდით... ავტობუსში ადგილები საკმარისი არ იყო... ჩვენ ერთმანეთს ვენაცვლებოდით, მოვდიოდით თბილისიდან ოჯახსა და სამსახურში ნამყოფები, უკვე დაღლილები და უფრო ხშირად მშვირები, რადგანაც დროის სიმცირის გამო ხშირად ჭამასაც ვერ ვასწრებდით... – ამიტომაც ჩვენს ცივ და გაყინულ

საჭმელსაც უშურველად ვანანილებდით ერთმანეთში... ვსაუბრობდით პრობლემებზე, მეცნიერებაზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე... პატივს ვსცემდით ერთმანეთს, გვიყვარდა და მხარში ვედექით ერთურთს... და ასე გადიოდა დრო... თურმე წლები... ასე ცვლიდა ზამთარს ზაფხული, ზაფხულს შემოდგომა და იწყებოდა ახალი სასწავლო წელი, რომელიც ჩვენგან ძველებურად ითხოვდა ლექციების ჩატარებას, ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებას, პროფესიალიზმს... ერთგულებას, თავდადებას თავგანწირვას... და ჩემ თვალწინ იცვლებოდა პეიზაჟი... უცვლელი ჩვენი ცხვირიანი ავტობუსია მოთეთრო-მონაცრისფერო, იკვებებოდა ხან მწვანე ხასხასა ფონზე თეთრ სხეულად. ხან ჰარმონიულად ერწყმოდა შემოდგომის და ზაფხულის ფერებს, ხანაც უჩინარდებოდა ზამთრის თოვლიან სივრცეში...

ავტობუსთან დაკავშირებით ბევრი ამბებია გასახსენებელი – ზოგი კურიოზული, ზოგი არასასიამოვნო...

1993-1994-იან წლებში საშინელი ქაოსი იყო ყველგან და სამხრეთშიც. ყველა შესავალში და გასავალში შეიარაღებული რაზმი იდგა... ასევე მისახვევ-მოსახვევეშიც. დამამახსოვრდა ერთი შემთხვევა ბორჯომის გამოსასვლელთან, ქალაქიდან მოშორებით, ერთ ადგილას გზა ძალიან ვიწროვდებოდა, გამოწეული კლდე გზის მეორე ნაწილს ფარავდა... ვერაფერს ვხედავდით კლდის მოფარებულიდან ათიოდე, შეიძლება მეტიც, კბილებამდე შეიარაღებული ახალგაზრდათა ჯგუფი გამვლელ მანქანებს ამოწმებდა... ღამენათევი, დაუბანელი და წვერგაბურძენული ახალგაზრდები თავიანთი უხეშობითაც გამოირჩეოდნენ... მარჯვენა რიგის პირველ სკამზე სამნი ვსხედვართ მე (თქვენი მონა-მორჩილი) პროფ. თინა იველაშვილი და კიდევ ერთი მომცრო ტანის ახალგაზრდა, რომელიც თბილისიდან დაგვემგზავრა... ტანში უსიამოვნოდ გამკრა სიცივემ, გული ამიჩქარდა.... ვფიქრობ, რაღაც არ გვანან ერთი სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებს... უხეშად უბრძანეს მძღოლს კარის გაღება... დაბლვერილი და გაბრაზებული ორი ყმანვილი ამოდის ავტობუსში... – ვინა ხართ და სად მიდიხართ... გადმოდით ძირს... საქმეში ტვინი ერთვება... წამებში მოვიაზრე პასუხი, თან ჩემთვის ვფიქრობ... ვაიმე შვილებო, რა უბრალოდ

ვკვდები... სინამდვილეში ინსტიქტი ამუშავდა... გამარჯობა შვილებო, რაც შეიძლება, რბილი და თბილი სიტყვებით მივმართავ... ასეთმა ტონმა ცოტა დააბნია ბიჭები... – ჩვენც თქვენსავით მებრძოლები ვართ, ჩემო კარგებო, ოღონდ იარაღით არ ვიბრძვით, ჩვენ წიგნებით და კალმებით, ჩვენი ცოდნით ვიბრძვით ქვეყნისთვის და სამხრეთის ახალგაზრდებს ვამზადებთ მომავალი საქართველოსთვის, ჩვენ თსუ ახალციხის ფილიალის პროფესორები გახლავართ... ამ შუალამესაც იმიტომ ვართ გზაში; ხვალ დილით სტუდენტები გველოდებიან, ლექციები უნდა ჩავატაროთ... მაგიურად იმოქმედა სიტყვებმა „თქვენსავით მებრძოლები ვართ“, „სამშობლოს ვიცავთ“ და ა.შ. თურმე ღიმილიც შეძლებოდათ და მოფერებაც ამ ახალგაზრდებს... „უფროსს“ მოახსენეს ჩვენს შესახებ და გულიანად დაგვილოცეს გზა... – ავტობუსიდან ჩამოყვანას გადავრჩით, დიპლომატიამ და თბილმა სიტყვებმა თავისი შედეგი გამოიღო... კიდევ ბევრჯერ შევხვდით იმავე ჯგუფს, იმავე უკაცრიელ ადგილას... ისმოდა ხმები – ჩვენები არიან, გაუშვით... ჩვენც მაღლიერად ვუქნევდით ხელს – ხან ვესალმებოდით, ხან ვემშვიდობებოდით...

ავტობუსთან დაკავშირებით კიდევ ერთი მომენტს გავიხსენებ... როგორ გაიტაცეს ჩვენი „ცხვირიანი“ ავტობუსი უცნობებმა, რა თქმა უნდა, „მაშინდელმა მაგარმა ბიჭებმა“ და ქვემო ქართლისკენ გააქანეს. ჩვენი მძლოლი თურმე ეხვეწებოდა, ოღონდ დამიბრუნეთ ავტობუსი, უნივერსიტეტში წასვლა ჩაიშლება, პროფესორები მყავს ჩასაყვანიო... ერთი სიტყვით, ნაშუადღევს ჩვენი ცხვირიანი ავტობუსი თსუ-ს პირველსა და მეორე კორპუსს შორის ისევ იდგა... პროფესურა შეშინებული და შეციებული ერთგულებით ელოდა გამგზავრებას, რეისი შედგა. დილით ისევ ჩატარდა ტრადიციული ლექციები... გაყინულ აუდიტორიებში, გაყინული პროფესორები და სტუდენტები თავდადებულად ასრულებდნენ მოვალეობას... ისმენდნენ საინტერესო ლექციებს და მუყაითად სწავლობდნენ, წარმატებით აბარებდნენ გამოცდებს...

ძირითად საკითხს გადავუხვიეთ... მეორე დილით ჩვენი მძლოლი გურამი, იუმორით ყვებოდა... თურმე მძარცველებს ერთი პატარა გოჭუნა დარჩენოდათ სალონში. სამსახურში წამოსვლის წინ უცნაური ღრუჭუნის დაუნყია მშიერ გოჭს. მძლოლს ჯერ

შეშინებია, მერე კი ავტობუსის უკანა სკამების ქვეშ, კუნჭულში, ეს პატარა არსება უპოვია...

სამწუხაროდ, ჩვენი გოჭი რამდენიმე დღეში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა... და ასე გადიოდა წლები უნივერსიტეტმა თავისი სიტყვა თქვა... ამბობს და იტყვის დღეს ჩვენს უნივერსიტეტს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰქვია. დგას მონინავეთა შორის მრავალი საინტერესო, საერთაშორისო პროექტის აქტიური მონაწილეა. რაც მთავარია, წარმატებით მიმდინარეობს სამსაფეხურებრივი სწავლება – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მიხედვით. ჩვენი პროფესორების ნაშრომები და გამოკვლევები იბეჭდება საერთაშორისო კრებულებში და გამოცემებში.

დღეს ამ ძნელბედობის ჟამს ჩვენ შემძლეობისდაგვარად, ვზეიმობთ ჩვენი ძვირფასი უნივერსიტეტის 30 წლის იუბილეს. იმედია, დღესაც მედგრად დავხვდებით ვირუსების შემოტევას და გამარჯვებით გავიხარებთ.



მოგონებები გარდასულ დღეთა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენის სპეციალობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს, ავსტრიის საკონსულოს, გოეთეს ინსტიტუტის თბილისის ბიუროს, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის, ავსტრიის ბიბლიოთეკის შემწეობით და ურთიერთთანამშრომლობით საინტერესო მუშაობას ეწეოდა და ეწევა რეგიონში გერმანული ენის სწავლებისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში.

დღეს, როცა ერთად მუშაობისა და თანაცხოვრების 30 წელი შეგვისრულდა, უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს გვაგონდება ის გზა, რაც უნივერსიტეტთან ერთად გავლიეთ. შრომისა და ჯაფის შედეგად მიღებული ბევრი სიხარული, წარმატება თუ ამ ყველაფრის თანმდევი სირთულე გვაგონდება. გადავწყვიტე, მიყვებით ქრონიკას და კიდევ ერთხელ გავაცოცხლოთ ის დღეები, რომელთაც გერმანულ ენაზე შეყვარებულ ბევრ თაობას, ვფიქრობ, ლამაზი მოგონებები აჩუქა. გადავხედე წარსულის ფოტოებსა და წერილობით შემონახულ არქივს, გერმანული ენის კაბინეტის ისტორიას რომ ასახავს და აღმოჩნდა, რომ თითქმის თითოეული ნაბიჯი ასახულია ჩვენი უნივერსიტეტის გაზეთის გვერდებზე. რაკი ამ სტატიებში თანმიმდევრობითაა მოთხრობილი გერმანული სპე-

ციალობის არსებობისა და საქმიანობის შესახებ, მათ ზოგს მთლიანად, ზოგს კი ნაწილობრივ გამოვიყენებ, თქვენის ნებართვით. ახლა კი, მივყვეთ ქრონიკას. ყველაფერი ასე დაიწყო:

- 1994 წ. - ი. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ახალციხის ფილიალში გაიხსნა გერმანული ფილოლოგიის სპეციალობა (ბრძანება N 5, 1994);

- 1996 წ. - პირველი კონტაქტი გოეთეს ინსტიტუტის თბილისის ბიუროსთან. ჩემი პირველი სემინარი გოტინგენში;

- 1998 - გოეთეს ინსტიტუტის პირველი ქსელური სემინარი ახალციხეში - „გერმანული ენა-ენის სწავლების დიდაქტიკა“ (სემინარის ხელმძღვანელი რალფ ჰაინემანი, გოეთეს ინსტიტუტის ენის კოორდინატორის ვალტერ ბუნდგენსის აქტიური თანამშრომლობით);

- 1999-2001 წ.წ. - სპეციალობის პედაგოგები გადიან რესპუბლიკურ სემინარებს „გერმანული ენა და ქვეყანათმცოდნეობა“ „გერმანული ენა და ენის სწავლების დიდაქტიკა“ ქ. ქუთაისში, თბილისში, ლ. ლოეზინგ და ბარბარა შაინერი);

- 2001 წ. - გოეთეს ინსტიტუტის მეორე ქსელური სემინარი ახალციხეში - „გერმანული ენა-ენის სწავლების დიდაქტიკა“ (მიხაილ ზიბენი);

- 1994 წ. - 2003-2012 კაბინეტის ბიბლიოთეკის შევსება სახელმძღვანელოებით, სასწავლო მასალით, წიგნებით გოეთეს ინსტიტუტის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოსა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის მიერ

- 2008 წ. - გოეთეს ინსტიტუტის ქსელური სემინარი ახალციხეში „ლიტერატურა გერმანულის, როგორც უცხო ენის (DaF) გაკვეთილზე“ (ია ზეინაბიშვილი, თინათინ გვიჩია);

- 2009-2010 წ.წ. - გერმანული ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა DAAD-ის (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის) პრაქტიკანტი ვარინია ვიტეკი;

- 2010 წ. - საზაფხულო სკოლა „გერმანული-შემოქმედებითად“ - ხელმძღვანელი ვარინია ვიტეკი.

კონტაქტი ავსტრიის ბიბლიოთეკასთან და ავსტრიის საკონსულოსთან

• 2002 წ.- ავსტრიის ბიბლიოთეკასთან პირველი კონტაქტი (მზია გალდავაძე);

• 2002 წ. - სემინარი ავსტრიის ბიბლიოთეკაში “ ავსტრიის-ქვეყანათმცოდნეობა“ (სემინარის ხელმძღვანელი - ლეო ლამინგერი - სტუდენტები; თეონა კურტანიძე, ირაკლი ინასარიძე, ალექსანდრე ზარიძე, პედაგოგი - ლალი ბერიძე);

• 2004 წ. - კაბინეტს გადმოეცა წიგნები ავსტრიის ბიბლიოთეკიდან (მზია გალდავაძე);

• 2005 წ.- სემინარი გერმანული ფილოლოგიის სტუდენტებთან და პედაგოგებთან - რეგინა კამაუფ-ავსტრიის ბიბლიოთეკის პრაქტიკანტი-თბილისი-ავსტრიის ბიბლიოთეკა;

• 2006 წ. - იურა ზოიფერის კრებულის პრეზენტაცია-ავსტრიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი - მზია გალდავაძე;

• 2005 წ. - კაბინეტს გადმოეცა წიგნები ავსტრიის საკონსულოსგან (ქალბატონი ევა ბერგერი).

სტუდენტების წარმატებები:

2002 წ. - სტუდენტმა ალექსანდრე ზარიძემ მიიღო „ ენის მცირე დიპლომა - „Das kleine Sprachdiplom“;

2005 წ. - ნათია იაკობიძემ და ლიკა კველიშვილმა წარმატებით ჩააბარეს გერმანული ენის გამოცდა B1 დონეზე გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურში; ნათია იაკობიძე გაგზავნილ იქნა გერმანიაში გერმანული ენის საზაფხულო კურსზე;

2007 წ. - ლელა აფრიამაშვილმა წარმატებით ჩააბარა გერმანული ენის გამოცდა B1 დონეზე გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურში;

2008 წ. - მარეხ ნებაძემ წარმატებით ჩააბარა გერმანული ენის გამოცდა B1 დონეზე გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურში.

პედაგოგები

1996 წ. - სპეციალობის პედაგოგის ლალი ბერიძის მივლინება ქ. გოტინგენში სემინარზე - „გერმანული ენა და ქვეყანათმცოდნეობა“;

1998 წ.- ქ. ბრემენში სემინარზე „გერმანული ენა და ქვეყანათმცოდნეობა“- გაიგზავნა ორი პედაგოგი - ნელი ლომიძე და მზია ველიჯანაშვილი;

2003 წ. - პედაგოგი ნელი ლომიძე გაგზავნილ იქნა ქ. ვენაში სემინარზე - „გერმანული ენა-ქვეყანათმცოდნეობა“;

2005 წ. - ლალი ბერიძე მონაწილეობდა გერმანული ენის მასწავლებელთა XIII საერთაშორისო კონგრესზე ქ. გრაცში მოხსენებით - „გერმანული, როგორც უცხოური ენა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში“) და ქალაქ ვენაში სემინარზე - „გერმანული ენის სწავლების მეთოდოლოგია“;

2009 წ. - ლალი ბერიძე - გოეთეს უნივერსიტეტის სტიპენდიით გაიგზავნა გერმანული ენის მასწავლებელთა საერთაშორისო სემინარზე „პროექტი გაკვეთილზე“ ქ. მანჰაიმში.

სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობა

2002 წ. - ზმნა „machen“ და მისი დერივატები - მანანა ველიჯანაშვილი - სტუდენტთა სამეცნიერო რესპუბლიკური კონფერენცია - პირველი ადგილი; „გრამატიკული და ბუნებრივი სქესის ურთიერთმიმართება გერმანულ ენაში“ - სტუდენტთა სამეცნიერო რესპუბლიკური კონფერენცია-ლადო ზედგინიძე-დიპლომი

2004-2005 წლებში - ბერთოლდ ბრეხტის „უღირსი დადაკაცი“ და ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“ - სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია - ნათია იაკობიძე; სიტყვა „ენა“ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში და მისი გერმანული შესატყვისები („Die Zunge da „Die Sprache“) – სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია-თინათინ კაპანაძე; სიტყვა - „თვალის“ სემანტიკური ველი გერმანულსა და ქართულში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია-ნათია იაკობიძე; ისტორიული რეალიები ანდრეას გრიფიუსის ნაწარმოებში - „ქეთევან ქართველის წამება“ - სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია - ლიკა კველიშვილი.

მთარგმნელობითი საქმიანობა

პედაგოგები: „ბურლევსკი“- მაქს ფრიში - გერმანულიდან თარგმნა **ნელი ლომიძე**; „ლ'არაბიატა“- პაულ ჰაიზე - **დარეჯან ბერიძე**; სამი ცაცხვი - ჰ. ჰესე - **ლია წაქაძე**; „სანაძლეო“ - ლუდვიგ

ფოიხტვანგერი; „მტკნარი ტყუილი“ - მილენა მოზერი; „დუმილი ოქროა“ - დიმიტრი დინევი; შიშველი ნატურა მოლბერტთან (ნანყვეტი) - ლუდვიგ ლაჰერი, „ფანჯრის თეატრი“-ილზე აიხინგერი; „ტერფებით ცეცხლში“ - ფერდინანდ მაიერი; “ შეხება“- ლუდვიგ ლაჰერი,... - **ლალი ბერიძე.**

სტუდენტები: „სასწაული“, „ჩალის ღერო“ - მარი ლუიზე კაშნიცი; „ბერლინური სიყვარულის ისტორია“ - ლეონჰარდ ფრანკი - **ნინო ნათენაძე;** მოჩვენებები“ - მარი ლუიზე კაშნიცი; „მეორე შეხვედრა“ - ვოლფგანგ ალტენდორფი - **ლია ნაქაძე;** „ლამის ფარშევანგისთვალა“ - ჰერმან ჰესსე - **თეონა გოგოლაძე** „მე და ჩემი მე“ - ბარბარა ნოაკი; „კლოუნი“ - ჯეიმს კრუზი; „უღირსი დედაბერი“ - ბერთოლდ ბრეხტი - **ნათია იაკობიძე;** „დედამთილის დღიური“-ქრისტინა ცივულსკა - **თინათინ კაპანაძე.**

2001 წლიდან 2004 წლამდე გერმანული ენის კაბინეტთან არსებობდა გერმანული ენის კლუბი, სადაც მონაწილეობდნენ გერმანული ფილოლოგიის სპეციალობისა და გერმანული ენით დაინტერესებული სხვა სტუდენტები და ქალაქის ახალგაზრდები. ჩატარებულია საინტერესო საუბრები, შეხვედრები, ფილმების ჩვენება, სტუმრებთან შეხვედრები, გერმანულენოვანი ლიტერატურის განხილვა, დაუსწრებელი მოგზაურობები, პოეზიის საღამოები და სხვა საინტერესო აქტივობები. კლუბის მეცადინეობები აჯამებდა განუღებ მუშაობას განვლილი თემატიკის შესაბამისად და იმართებოდა დისკუსიის, პრეზენტაციის და მსჯელობის სახით, მაგ.: თანაცხოვრება, ოჯახი, სიყვარული - *Miteinander geht's besser!* (Familie, Liebe); „ქართული გამოფენა ბოხუმში“-შეხვედრა ირინა ლამბაშიძესთან; ჰერმან ჰესსე-შემოქმედების მიმოხილვა და თარგმანის წაკითხვა - მიეძღვნა ბუბა ყარალაშვილის ხსოვნას; „ევროპა-ჰო, თუ არა? - მსჯელობა - დისკუსია; დაუსწრებელი მოგზაურობა გერმანიის ქალაქებში; „ძვირფასო ჰომო საპინს“ - წერილები გარემოს და ბუნების დაცვის საკითხებზე; პოეზიის საღამო-გერმანული ლექსი-ეპოქების მანძილზე; რეგულარულად ვმასპინძლობდით და ვესწრებოდით გერმანულ ინსტიტუციებთან საინფორმაციო შეხვედრებს.

დაარსების დღიდან გერმანული ენის მიმართულებაზე ჩემს გვერდით მუშაობდნენ და თავისი კეთილსინდისიერი და მონდომებული შრომით დაამახსოვრეს კოლეგებსა და სტუდენტებს თავი პედაგოგებმა- ნანა გოგოლაშვილმა, ნანა ბერიძემ, ლევან ბერიძემ, დარეჯან ბერიძემ, ნელი ლომიძემ, ზოია ტივაძემ, მზია ველიჯანაშვილმა, თინა გოზალიშვილმა, ლია ნაქაძემ, დოდო ქუმარიტაშვილმა. რა თქმა უნდა, ბევრი საინტერესო ამბავი გვაქვს მოსათხრობი. მოვიშველიებ საამისოდ იმ დროინდელ პრესას-„მესხეთის უნივერსიტეტი“ ხომ მუდამ აშუქებდა ჩვენს სიახლეებსა თუ თარგმანებს.

„მესხეთის უნივერსიტეტი“ N 12-13 1998 წელი

ლალი ბერიძე... „ორი წლის წინ ვმონაწილეობდი ქ. გოტინგენში გოეთეს ინსტიტუტის ეგიდით გამართულ უმაღლესი სასწავლებლების გერმანული ენის პედაგოგთა სემინარზე. ასე დაიწყო ჩემი უთიერთობა გოეთეს ინსტიტუტთან, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით გერმანული ენისა და კულტურის პროპაგანდას და მის განვითარებას ემსახურება. გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ გოეთეს ინსტიტუტის ენის კოორდინატორს ბატონ ვალტერ ბიუნდგენსს მივმართე თხოვნით, რომ ჩაეტარებინათ ქსელური სემინარი ახალციხეში, რათა ჩემს კოლეგებსაც მისცემოდათ საშუალება აემალლებინათ კვალიფიკაცია და ესწავლათ ის სიახლეები, რასაც მე სემინარზე გავეცანი. დიდი გულისყურით მოეკიდა მთელი ინსტიტუტი ამ ჩემს თხოვნას და ის რაც აუსრულებელ ოცნებად გვეჩვენებოდა, აგვისრულა. სექტემბრის ოქროსფერი დღეები გერმანული ენის მასწავლებელთა სემინარმა გაგვილამაზა. (სემინარის ხელმძღვანელი - რალფ ჰაინემანი-დამოუკიდებელი დოცენტი-დღემდე ჩვენი უნივერსიტეტის და რეგიონის გერმანისტების საქმიანობაში სიახლისა და მომავალი კვალიფიკაციის სტიმულად ასოცირდება ლ.ბ.). ეს იყო ყოველდღიური რუტინის შეცვლა რალცა ახლით. მან მთელი თავისი შესაძლებლობები გამოიყენა იმისათვის, რომ მონაწილეებს მაქსიმალურად გამოგვემუჟავენებინა ჩვენი ცოდნა ენობრივი და პროფესიული შესაძლებლობები და ზოგჯერ ჩვენთვისაც მოულოდნელი საკუთარი შემოქმედებითი უნარები. განსაკუთრებით სასარგებლო იყო ეს ჩვენი მეოთხეკურ-

სელებისათვის, რომელთაც ჩვენი თხოვნით სემინარის ხელმძღვანელმა სემინარში მონაწილეობის ნება დართო. არა მარტო ცოდნის დონე ავიმალღეთ, საკმაოდ აქტიური სასაუბრო პრაქტიკაც მივიღეთ, კიდევ უფრო კოლეგიალური და მეგობრულიც კი გავხდით-სემინარის სამუშაო პრინციპი ხომ ჯგუფური მუშაობა იყო. ეს იყო თვალსაჩინო მაგალითი ენის ძალდაუტანებლად, ხალისით სწავლებისა. ჩვენ თვალნათლივ დავინახეთ, როგორ იზრდება შემსწავლელის აქტივობა, შემოქმედებითი აზროვნება, ინიციატივა, როცა სწორად წარიმართება სწავლების პროცესი, როცა შეგნებულა და მოტივირებული დამოკიდებულება საგნის მიმართ. მთელი ორი კვირის მანძილზე ჩვენი სასემინარო აუდიტორია იყო გერმანული მიკროსამყარო, სადაც ყველა ჩვენგანს მიუხაროდა, სადაც გერმანული მეტყველება, მუსიკა და შესასწავლი ენის, ქვეყნის, მეთოდების შესახებ უამრავი სიახლე გველოდებოდა. საოცარი სითბოთი, პროფესიონალიზმით, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით ბატონმა ჰაინემანმა ადამიანობის, ნამდვილი პედაგოგობის მაგალითიც გვიჩვენა. სემინარი დასრულდა ბატონ ლოეზინგის სტუმრობით და შეჯამებისას გოეთეს ინსტიტუტიდან საჩუქრად ფრიად საჭირო წიგნები მივიღეთ. დაისახა მომავალი თანამშრომლობის გზები. პედაგოგებს ეძლევათ საშუალება კონკურსის გზით გერმანიაში მიიღონ ენის სემინარებში მონაწილეობა. მიმდინარე წელს ამ კონკურსში ჩვენი ორი პედაგოგი მიიღებს მონაწილეობას- ნელი ლომიძე და მზია ველიჯანაშვილი. შემდეგში შესაძლებელი იქნება სტუდენტთა წარგზავნაც სასწავლო პროგრამებით. ამავე დროს გოეთეს ინსტიტუტის დახმარებით შესაძლებელი გახდა 1.300 მარკის ღირებულების სასწავლო მასალის გამონერა. ყოველივე ამისათვის დიდი მადლობა თბილისის გოეთეს ინსტიტუტს, მის ხელმძღვანელს - პ. ჰოეშელეს, ენის კოორდინატორს - ვ. ბიუნდგენსს. დიდი მადლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ყველა თანამშრომელს, ვინც თავიანთი თანადგომით ყველა პირობა შეგვიქმნეს ნაყოფიერი მუშაობისათვის.“

დარეჯან ბერიძე - დაუვინყარი იყო დიდაქტიკურ-მეთოდური სემინარი გერმანულ ენაში, რომელიც 14 დან 25 სექტემბრამდე მიმდინარეობდა. მასში თსუ ახალციხის ფილიალის, ადიგენის, ას-

პინძისა და ახალციხის სკოლების მასწავლებლები მონაწილეობდნენ. მთელი ამ დროის განმავლობაში უნივერსიტეტის დერეფნებში გერმანული საუბარი და გერმანული სიმღერები ისმოდა. უქმე დღეებში სტუმარს ჩვენი ღირსშესანიშნაობები დავათვალიერებინეთ, ობსერვატორია, საფარა, ზარზმა, ბოლო კვირას კი- ხერთვისი, ვარძია, ჩამოვლისას ასპინძის საშუალო სკოლის მასწავლებლის - ლია ბერიძის კაბინეტსაც ვენვიეთ. ყველა კოლეგის სახელით დიდი მადლობა უნივერსიტეტის დირექციას, ფაკულტეტს ამ შესანიშნავი საკვალიფიკაციო სემინარისათვის.

მზია ველიჯანაშვილი -“ გამოსამშვიდობებელ საღამოზე უხვად იყო საჩუქრები, ჩანაწერები, წიგნები, დაპირებები და თანამშრომლობის გეგმები. გამომშვიდობების ცრემლები, მადლიერი თვალები, გულთბილი სიტყვები, უამრავი თბილი მოგონება, სურათები, სერტიფიკატები, და 14 დღეში ჩატეული ლამაზი წუთები, ის ლამაზი გარემო ადამიანები სიზმარშიც რომ დაეძებენ და ცხადში, რა თქმა უნდა, დასაკარგად ენანებათ.

2002-2003 სასწავლო წელი უხვი და ბედნიერი აღმოჩნდა გერმანული ენის სპეციალობის სტუდენტებისათვის. ჯერ იყო და გაზაფხულზე საქართველოში გერმანიის სრულუფლებიანი ელჩი ბატონი **უვე შრამი** გვეწვია. მოვიხიბლეთ მისი პიროვნებით, მისი შინაგანი სითბოთი. იმედის კოშკები არ აუგია ჩვენთვის, ყველა საქმიანი ადამიანის შესაფერისად სიტყვაძუნწი იყო, მაგრამ ჩვენს თითოეულ სიტყვასა თუ თხოვნას ყურადღებით ეკიდებოდა.

ელჩის ვიზიტი დიდი სტიმული იყო თითოეული ჩვენგანისათვის. ამ ვიზიტს მოჰყვა გოეთეს ინსტიტუტის, DAAD-ის წარმომადგენელთა სტუმრობა, ბოლოს კი - სასიხარულო ცნობა იმის შესახებ, რომ საელჩო მზადაა გერმანული ენის კაბინეტის დასაფინანსებლად! სასწრაფოდ შედგა სათანადო დოკუმენტაცია და... გერმანიის საელჩოსა და თსუ მესხეთის ფილიალის საერთო თანხებით, კიდევ ერთი მშვენიერი კაბინეტი შეემატა ჩვენს უნივერსიტეტს.

აი, რას წერდა „მესხეთის უნივერსიტეტი“ - 2003 წლის აპრილის ნომერში:

„ამ დღეს დიდხანს ველოდით. ჩვენი სპეციალობის არსებობის მანძილზე ასეთი ძვირფასი სტუმარი არ გვყოლია. არადა, არაერთხელ ვცადეთ კონტაქტის დამყარება გერმანულ ორგანიზაციებთან, მაგრამ ამ დღემდე გოეთეს ინსტიტუტისა და DAAD-ის თბილისის ბიუროების დახმარებას თუ არ ჩავთვლით, ჩვენი პრობლემებით ვერავინ დავაინტერესეთ. ვთვლიდით, რომ საქართველოს სამხრეთში გერმანული ენის სწავლების დონის ამაღლებას ნამდვილად მეტი ყურადღება სჭირდებოდა. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თსუ მესხეთის ფილიალში გერმანული ენის სპეციალობის არსებობას. მისი მყარ საფუძველზე დგომა რეგიონში გერმანული ენის სწავლების წარმატებით წარმართვის საწინდრად მიგვაჩნდა. გერმანული ენა ჩვენს რეგიონში ყოველთვის სერიოზული პრიორიტეტით სარგებლობდა. ჩვენი მიზანია გერმანული ენის არსებული პოზიციების შენარჩუნება და სწავლების კიდევ უფრო გააქტიურება.

ამ დროისათვის საგრძნობლად გააქტიურდა ბერძნული, თურქული, ინგლისური და ფრანგული ენების მიმართ საელჩოებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების, კერძო ფირმების საქმიანობა რეგიონში უცხო ენების სწავლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში დახმარების მიზნით. ეს, რა თქმა უნდა მისასალმებელი იყო. მარტო ის რად ღირს, რომ წლების მანძილზე ბერძნულ ენას ფილიალში ბერძენი პედაგოგები ასწავლიდნენ. ასევე განუზომელია ამერიკელი მოხალისეების როლი ინგლისური ენის სწავლებაში. ისინი, უნივერსიტეტის გარდა, რაიონის სოფლის სკოლებშიც ასწავლიდნენ ინგლისურ ენას. სწორედ ხსენებული მეგობრული და საქმიანი კონტაქტების მადლია, რომ ჩვენი თურქული, ბერძნული, ფრანგული და ინგლისური სპეციალობის სტუდენტებს გააჩნიათ კეთილმოწყობილი და სათანადოდ აღჭურვილი კაბინეტები, რომლებიც იმ დროისათვის უკვე იქცნენ რეგიონში უცხო ენების შესწავლის, კვალიფიკაციისა და შესწავლილი ენის ქვეყნის კულტურის მინიცენტრებად. ამ მხრივ გერმანული ენის სპეციალობის სტუდენტები ნამდვილად დაჩაგრულად ვგრძნობდით თავს, მაგრამ სწორედ იმ დღეს, რომელსაც ასე თბილად ვიგონებ, ყინული დაიძრა: 21 მარტს, თსუ ახალციხის ფილიალს ძვირფასი სტუმარი ეწვია -

მისი მაღალაღმტეხულება, გერმანიის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში - **უვე შრამი**. მას თან ახლდა მეუღლე - ქალბატონი **ბირგიტ შრამი** და ელჩის თანაშემწე კულტურის დარგში - **ქალბატონი ეკა ნათენაძე**.

შეხვედრა ჯერ ბატონ მერაბ ბერიძის კაბინეტში შედგა და მან ფრიად კეთილგანწყობილ ატმოსფეროში ჩაიარა. ბატონი მერაბ ბერიძე გულთბილად მიესალმა ელჩს და უსურვა მას წარმატებები შემდგომ საქმიანობაში. შემდეგ მოკლედ ისაუბრა ფილიალის ფაკულტეტების, მისი პირველი ნაბიჯებისა და წარმატებების შესახებ. საუბარი შეეხო გერმანული ენის სპეციალობის სტუდენტებს. აღინიშნა, რომ დღეს ფილიალში გერმანულ ენას ეუფლება 259 სტუდენტი. მათგან 51 სტუდენტი ირიცხება გერმანული ენის სპეციალობაზე. 208 კი სხვადასხვა ფაკულტეტზე. მიუხედავად სიძნელებისა, სპეციალობის სტუდენტებს აქვთ გარკვეული მიღწევები. არა ერთი კურსდამთვრებული აგრძელებს სწავლას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მონინავე სტუდენტები აგრძელებენ სწავლას თსუ მაგისტრატურაში. გასულ წელს გამართულ სტუდენტთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე გერმანული ენის სპეციალობის სტუდენტმა მ. ველიჯანაშვილმა პირველი ადგილი და პრეზიდენტის სტიპენდია დაიმსახურა (ხელ-ლი ლ. ბერიძე). ა. ზარიძემ წარმატებით ჩააბარა ავსტრიის სადიპლომო გამოცდა. სტუდენტები და პედაგოგები წარმატებით თარგმნიან მხატვრულ, გერმანულენოვან ნაწარმოებებს. ბატონმა მერაბ ბერიძემ იმედი გამოთქვა, რომ გერმანიის საელჩოს და სხვა გერმანული ინსტიტუტების, პირადად ბატონი ელჩის ყურადღების შემწეობით, კიდევ უფრო ამაღლდება გერმანული ენის სწავლების დონე ჩვენს ფილიალში. ეს კი კი აუცილებელი პირობა იქნება რეგიონში გერმანული ენის სწავლების შემდგომი წარმატებისათვის.

საპასუხო მოკლე მისალმებაში ბატონმა ელჩმა აღნიშნა: „მე პირველად ვარ თქვენს რეგიონში და, რა თქმა უნდა, თქვენს უნივერსიტეტს არ ვიცნობ, მაგრამ მინდა ჩემდა სასიხარულოდ აღვნიშნო, რომ ის გერმანული ორგანიზაციები და პიროვნებები, რომელთაც დღემდე თქვენთან ჰქონიათ კავშირი, ძალიან დადებით შეფასებას აძლევენ თქვენს საქმიანობას. ეს უპირველესად ეხება

გერმანული ენის სწავლების კოორდინატორს განათლების სამინისტროში - ბატონ ლოეზინგს და ორივე ქალბატონს - გოეთეს ინსტიტუტისა და DAAD -ის ხელმძღვანელებს“. მან აქვე აღნიშნა, რომ არ არსებობს დიდი და პატარა უნივერსიტეტები და რომ დედაქალაქიდან ასე მოშორებით უნივერსიტეტის არსებობა, რომელიც წარმატებით ართმევს თავს სიძნელეებს და სტუდენტთა ასეთი კონტიგენტი ჰყავს. უკვე დიდი საქმეა.

შემდეგ სტუმრები გაეცნენ ქართული, ინგლისური, ფრანგული და თურქული ენების კაბინეტებს. სტუმრები აღაფრთოვანა იმ ფაქტმა, რომ თურქოლოგი - ბ-ნი როინ ყავრელიშვილი და ფრანგული ენის პედაგოგი - ლია ბერიძე, მათ გერმანულ ენაზე ესაუბრნენ თურქული და ფრანგული კაბინეტების შექმნის შესახებ. სტუმართა დიდი მოწონება დაიმსახურა კეთილმოწყობილმა, სუფთა კაბინეტებმა, ბოლოს მათ გერმანული ენის კაბინეტის კარიც შეაღღეს. გაურემონტებელი და სხვებთან შედარებით ღარიბი კაბინეტის ხილვით გამოწვეული მოულოდნელობა მათ მოლოდინში სულგანაბულ და სიხარულით თვალეხანთებულ სტუდენტებთან შეხვედრამ გაანელა. კედლებზე ბოლო ღონისძიების - გერმანიის ქალაქებში „დაუსწრებელი მოგზაურობის“, დისპუტის - „ხართ ბედნიერი?“ და გერმანული კლუბის მიერ ჩატარებული ღონისძიებების სხვა მასალები იყო გამოფენილი. გერმანიის რუკა და სხვადასხვა პლაკატი მოხერხებულად ფარავდა კაბინეტის გაურემონტებელ კედლებს, მაგრამ მთავარი სტუდენტთა და პედაგოგთა განწყობა იყო და ეს განწყობა ფრიად საზეიმო და ამალღებული გახლდათ. ბატონმა ელჩმა თავისი უშუალო მიდგომით მალე დააძლევინა სტუდენტებს მორიდებულობის გრძნობა და გაესაუბრა მათ. შეკითხვებსა და საუბრებში სტუდენტების სათხოვარიც გამოიკვეთა: კაბინეტის მოწყობა, გერმანული ლექსორების მოწვევა, სახელმძღვანელოები, საზაფხულო სტუდენტური კურსები, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები და სხვა. ელჩი კეთილგანწყობილი შეხვდა მათ წინადადებებს და აღუთქვა სათანადო გერმანული ორგანიზაციების ჩართვა დასმული საკითხების გადასაჭრელად.

„მე თქვენთან ცარიელი არ მოვსულვარ“, - დასძინა ბოლოს ბატონმა ელჩმა საჩუქრად გადასცა სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები. „ეს მასალები გერმანიის საელჩოს, გოეთეს ინსტიტუტის და DAAD-ის ერთობლივი საჩუქარია“, - აღნიშნა თავის გამოსვლაში ეკა ნათენაძემ. აღსანიშნავია, რომ იგი წარმოშობით მესხეთის მკვიდრია, ჩვენი თანამემამულე, ჩვენი კუთხის დიდი პატრიოტების მემკვიდრე. აქაური პრობლემები ნაცნობი იყო მისთვის. ბატონმა უვე შრამმა დატოვა პირველი ჩანაწერი და ავტოგრაფი შთაბეჭდილებათ წიგნში და ასე სიხარულით და დანაწებით გავაცვილეთ ძვირფასი სტუმრები.

დანარჩენი რაზეც მინდა მოგიხსროთ, ჩემმა სტუდენტებმა და მე **ლამაზ სიზმარს** შევადარეთ. სტუმრების წასვლის შემდეგ დაშლა არც გვიფიქრია. მათ შესახებ ვსაუბრობდით, საჩუქრებს ვათვალისწინებდით და ეჭვიც არ გავგჩენია, თუ რა დიდი სიურპრიზი გველოდა: ბატონი მერაბი შემობრუნდა კაბინეტში და გვამცნო, რომ შაბათს, 22 მარტს, ბატონი ელჩი სტუდენტებს კიდევ ერთ საქმიან შეხვედრაზე ინვევდა. მოულოდნელობისაგან აღრ ვიცოდი, რა გვექნა, ერთი სული გვექონდა დანიშნულ დრომდე. შეხვედრა რესტორან „იმერეთში“ შედგა. მისი მონაწილენი - ფილიალის დირექტორი ბატონი მერაბ მერიძე, ფაკულტეტის დეკანი ლალი ბერიძე, სტუდენტები - ალექსანდრე ზარიძე, თეონა გოგოლაძე, ლიკა კველიძევილი, მანანა ველიჯანაშვილი, თეონა კურტანიძე და ირაკლი ინასარიძე - გულთბილად მიიღო მისმა აღმატებულებამ ბატონმა უვე შრამმა მეუღლითურთ. სიმართლე გითხრათ, ცოტა უჩვეულო მდგომარეობაში ვიყავით. თავად მასპინძლები ამჯერად სტუმრის სტუმრები აღმოჩნდით.

ბატონმა ელჩმა შესანიშნავად წარმართა საღამო. სტუდენტებს პირველივე წუთიდან მოეხსნათ ყოველგვარი კომპლექსი და დაძაბულობა, საუბარი მეტად ბუნებრივ გარემოში ჩატარდა. ელჩი ჯერ პირადად გაეცნო ყველა მონაწილეს და შემდეგ ესაუბრა მათ საყვარელი საქმიანობის, მიზნების, ინტერესების შესახებ. ეს იყო უაღრესად თბილი შეხვედრა და მე პირადად კიდევ ერთხელ დაგრწმუნდი, რომ საუკეთესო მოსაუბრეა ის, ვისაც მოსმენის ნიჭი აქვს და ყურადღებით ეკიდება თანამოსაუბრის აზრს, ვინც არ

უნდა იყოს ის. სალამოს მონაწილე სტუდენტები თანაბარუფლებიან მოსაუბრედ თვლიდნენ თავს და ზომიერი მოკრძალებით გულიც კი გადაუშალეს სტუმარს. იყო ლექსი, სიმღერა, ომის, მშვიდობის, ახალგაზრდობის შესახებ საინტერესო საუბარი, გულიდან მომდინარე სურვილები, აზრები....

ბატონმა უვე შრამმა უამბო სტუდენტებს თავის ცხოვრებაზე, უპასუხა მათ შეკითხვებს გერმანელი ახალგაზრდების, გერმანული ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობის შესახებ. იგი დაინტერესდა ეკოლოგიის, ძეგლთა დაცვისა და სხვა საქველმოქმედო საქმიანობაში სტუდენტების მონაწილეობის საკითხით.

ბატონმა მერაბ ბერიძემ აღნიშნა, რომ სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ რეგიონის ისტორიული ძეგლების შესწავლისა და რესტავრაციის საქმეში. მან ისაუბრა ქართველი ხალხის ოჯახურ ტრადიციებზე, ისტორიასა და კულტურაზე, უნივერსიტეტის ფილიალში გერმანული ენის სწავლებაში არსებულ პრობლემებზე, გადასცა მას ოფიციალური წერილი შეხვედრის დროს გერმანული ენის მასწავლებლებისა და სტუდენტების მიერ გამოთქმული წინადადებებით და გამოთქვა იმედი, რომ ეს პირველი შეხვედრა იქნება მომავალი ურთიერთობის საწინდარი.

ბატონმა უვე შრამმა მაღალი შეფასება მისცა პედაგოგების მიერ განეულ მუშობას. „მე ბევრს ვერაფერს დაგპირდებით, მაგრამ სიტყვას გაძღვეთ, რომ შესაბამის ინსტიტუტებს მივანვძი ხმას და ვეცდები, დავაინტერესო თქვენი პრობლემებით. მთავარი მაინც ის არის, რომ აქ უყვართ გერმანული ენა, სწავლობენ და ასწავლიან მას“, - განაცხადა დასასრულ ელჩმა. მან ფილიალის დირექტორს და ფაკულტეტის დეკანს საჩუქრად გადასცა ჰანს-დიტრიხ გენშერის წიგნი „მოგონებანი“ და გადაიღო სამახსოვრო ფოტო სტუდენტებთან. დრომ შეუმჩნევლად გაიბრძინა, თბილად და სინანულით დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ასე დამთავრდა ერთი მშვენიერი სალამო - გერმანული ენის ზეიმი ჩვენს პატარა ქალაქში და დაგვიტოვა დიდი იმედი მომავლისა, სტიმული შემდგომი დაუღლავი შრომისათვის.

ბატონ შრამის სამადლობლო წერილი:

მის აღმატებულებას ბატონ პროფესორს მერაბ ბერიძეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის რექტორს. ახალციხე (საქართველო).


თქვენო აღმატებულებავ, დიდად პატივცემულო ბატონო ბერიძე, ამ წერილით მინდა ჩემი და ჩემი მეუღლის სახელით კიდევ ერთხელ გულითადი მადლობა გადაგიხადოთ საუბრისათვის, რომელიც თქვენთან და უცხო ენათა ფაკულტეტის დეკანთან ქალბატონ ლალი ბერიძესთან გვექონდა. ამ მოკლე მიმოხილვამ გაგვაცნო საუნივერსიტეტო ცხოვრება. მადლობა ასევე იმ დადებითი შთაბეჭდილებებისათვის, რომელიც მივიღეთ გერმანული ენის კაბინეტში შეხვედრაზე, სადაც გერმანული ენის პედაგოგები და სტუდენტებიც ესწრებოდნენ. გამოთქმული მოთხოვნები და დახმარების სურვილი უყურადღებოდ არ დარჩება.

ამავე დროს, მინდა დიდი მადლობა გამოვხატო განეული მასპინძლობისათვის.

თავაზიანი საღმით

უვე შრამი,

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი
თბილისი, 31 მარტი, 2003.



შთაბეჭდილებების წიგნის პირველი ჩანაწერი ბატონ უვე შრამს ეკუთვნის.

ცხოვრება გრძელდებოდა, უნივერსიტეტი ჩაერთო აქტიურად რესპუბლიკის გერმანიისტა ლონისძიებებსა და სემინარებში. კვლავ მივყვეთ გაზეთს:

„მესხეთის უნივერსიტეტი“ - 2004 N 1-2 იანვარი-თებერვალი

უვე შრამი: „მჯერა, რომ ქართველი ხალხი განახლებულ და აყვავებულ საქართველოში იცხოვრებს“

ლალი ბერიძე- ფაკულტეტის დეკანი:

„გერმანიის ელჩი - მისი უდიდებულესობა **უვე შრამი** კვლავ (წელს უკვე მეორედ) ეწვია ჩვენს უნივერსიტეტს. ელჩს, მეუღლესთან და გერმანიის საელჩოს თანამშრომელთან ქალბატონ ეკა ნათენაძესთან ერთად, ჟურნალისტებიც ახლდნენ. გზად იგი ბორჯომში შეჩერდა, ახალციხის შემდეგ კი ჯავახეთის ფილიალსა და ახალქალაქის რაიონული გამგეობის ხელმძღვანელობას შეხვდა. ამ წარმომადგენ ლობითი დელეგაციის მიზანი გერმანიის საელჩოს და ფილიალის დირექციის ერთობლივი ძალებით მოწყობილი **გერმანულ-ქართული კაბინეტის გახსნა იყო**. ჩამოსულ სტუმრებთან ერთად ფაკულტეტს ეწვივნენ **მეუფე თეოდორე**, ქალაქისა და რეგიონის მმართველობის წარმომადგენლებიც.

ჟურნალისტებით გარშემორტყმულმა პატივცემულმა ელჩმა და თსუ მესხეთის ფილიალების დირექტორმა **მერაბ ბერიძემ** კაბინეტი საზეიმო ლენტის გაჭრით გახსნეს. სტუმრები და მასპინძლები ათვალიერებენ ახალ კაბინეტს. სასიამოვნო განწყობა იგრძნობა სტუმართა გამომეტყველებაში, მასპინძლებს მადლიერი სახეები აქვთ, სტუდენტები სიხარულს ვერ მალავენ. რამდენიმე წლის წინ ოცნება თუ შეეძლოთ მხოლოდ - გამოეცადათ თავისი ცოდნა და ენის მატარებლებთან საუბრის საშუალება ჰქონოდათ. ეხლა კი (უკვე მეორედ) შეხვდნენ ასეთი მაღალი რანგის პოლიტიკოსს, ამასთან, დატვირთულს ასეთი ძვირფასი საჩუქრებით: კაბინეტისთვის უამრავი წიგნი და სხვა სასწავლო მასალა. ეს საელჩოს, გოეთეს ინსტიტუტისა და DAAD-ის საერთო ძღვენი კაბინეტის წიგნის თაროებს შეავსებს.

ბატონი მერაბის სამადლობლო მისასალმებელი სიტყვის შემდეგ აუდიტორიას ბატონმა ელჩმა მიმართა. მან აღნიშნა საელჩოს

დაინტერესება რეგიონების პრობლემებით და ხაზი გაუსვა იმას, რომ ყოველთვის დაუდგებიან გვერდში იმ კოლექტივს და პიროვნებებს, ვინც ახალგაზრდობის საქმეს ემსახურება, ვისაც ნამდვილად უყვარს თავისი საქმე. მან მიულოცა სტუდენტებს ახალი კაბინეტის გახსნა და გამოთქვა წარმატებების იმედი.

სტუდენტებს მიესალმნენ სხვა სტუმრებიც. მათ ისაუბრეს გერმანია - საქართველოს ურთიერთობაზე, ჩვენი ქალაქისა და გერმანიის საელჩოს ურთიერთობის პირველ ნაბიჯზე.

სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე თეოდორემ დალოცა იქ მყოფნი და უსურვა ყველას სამშობლოს სასიკეთოდ გამოიყენონ შექმნილი ცოდნა და რომ ყოველთვის ახსოვდეთ თავისი ერი და სარწმუნოება.

ელჩმა საშუალება მისცა სტუდენტებს, გამოეთქვათ თავისი აზრი. მან დაათვალიერა სტუდენტების მიერ შესრულებული. სტუდენტებმა: თ. გოგოლაძემ, თ. ბალახაძემ, ი. ინასარიძემ, ნ. ჩოხელმა უამბეს სტუმრებს უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებაზე და მოკრძალებით სთხოვეს ელჩს დახმარება კაბინეტის ტექნიკურ აღჭურვაში, რათა შესაძლებელი გახდეს აუდიო და ვიდეო-სასწავლო მასალების გამოყენება სასწავლო პროცესში. ელჩმა მზადყოფნა გამოთქვა და დაემშვიდობა მათ.

მინდა უაღრესად დიდი პატივისცემა გამოვთქვა ბატონი ელჩის მიმართ, რომელმაც ასე ახლოს მიიტანა გულთან ჩვენი სანუხარი, გაითავისა ჩვენი პრობლემები და ასე გულუხვად დაგვაჯილდოვა. მისი და ქალბატონი **ბირგიტ შრამის, ეკა ნათუნაძის** ყოველი სტუმრობა კიდევ ერთი ნაბიჯია წინ გერმანული ენის სწავლებაში სიახლის დანერგვისა და პროფესიული სწავლებისაკენ. ადამიანების პიროვნული თვისებები ხშირად განსაზღვრავენ მათ საქმეებს. ბატონი ელჩი პიროვნულადაც შესანიშნავ შთაბეჭდილებას ახდენს. მისი უშუალო და ადამიანური დამოკიდებულება სითბოთი აღვავავსებს. იგი ყურადღებით ისმენს თითოეულ წარმოთქულ სიტყვას, თხოვნას და განსაკუთრებული ხალისით ებმება სტუდენტებთან საუბარში.

მოგვიანებით სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში მისი ხასიათის კიდევ ერთი შტრიხი გამოჩნდა - იგი დიდად აფასებს დ

ინტერესდება ჩვენი კულტურითა და ისტორიით, მოხიბლულია ჩვენი ფოლკლორული ცეკვის ანსამბლით...

ასეთი მშვენიერი განწყობა დაგვიტოვა ბატონმა უვე შრამმა და არა მარტო განწყობა, დიდი იმედიც მომავალში საინტერესო შეხვედრების, იმედი ერთადყოფნით, თანადგომით, ურთიერთგაგებით გამოწვეული სიხარულის.“

აქვე დავუმატებ, რომ ბატონი უვე შრამის ელჩად ყოფნის დროს არ ჩატარებულა არცერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ან ღონისძიება, სადაც ქართული საზოგადოებისა და წამყვანი გერმანისტების გვერდით მეც არ მივეწვიეთ. ეს ქალბატონი ბირგიტ შრამის ჩვენი უნივერსიტეტისადმი და პირადად ჩემდამი განსაკუთრებული ყურადღების ნიშანი იყო.



Opening of a new resource center for the German Department at Akhaltsikhe's State University

ახალი კაბინეტი ახალი ენერჯით ჩადგა გერმანული ენის სწავლების საქმიანობაში. გააქტიურდა ურთიერთობა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურთან და ავსტრიის საკონსულოსთან

და ავსტრიის ბიბლიოთეკასთან. დაუვიწყარი მოგონებები დატოვებს პრაქტიკანტებმა - რეგინა კამაუფმა, ვარინია ვიტეკმა. ჩემი სტუდენტი და შემდეგში ჩემი კოლეგა ასე იხსენებს გასულ წლებს:

ლია ნაქაძე-გერმანული ენის მასწავლებელი - დღემდე სიამოვნებით ვიხსენებ პირველ დღეებს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში: მღელვარება მისაღებ გამოცდებზე, უზომო ბედნიერების განცდა ჩარიცხულ სტუდენტთა სიაში საკუთარი სახელისა და გვარის აღმოჩენის დროს, საინტერესო, მრავალფეროვანი და ცოდნით დატვირთული სასწავლო წლები.

თითოეული დღე-დაკავშირებული სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტთან, ჩემთვის უძვირფასესია. ეს არის ადგილი, სადაც შევძელი დავუფლებოდი სასურველ პროფესიას, გერმანისტიკას, შევიძინე უამრავი მეგობარი და რაც მთავარია, ჩემი პროფესიული ზრდაც ამ უნივერსიტეტიდან დაიწყო. საინტერესო ლექცია-სემინარები, ურთიერთობა სტუდენტებთან, პროფესორ - მასწავლებლებთან, სამეცნიერო კონფერენციები, გაცვლითი პროგრამით გერმანიაში ვიზიტი, - ჩემი ცხოვრების საუკეთესო ნაწილია. მაინც მინდა გავიხსენო 2010 წელი, როცა გერმანული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა DAAD - ის (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის) მიერ ჩვენთან მოვლინებული პრაქტიკანტი ვარინია ვიტეკი. ეს პერიოდი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა გერმანული ენის სტუდენტებისთვის. გარდა ლექციებისა, რომლებზეც მათ ჰქონდათ საშუალება უშუალოდ, დამოუკიდებლად გაცნობოდნენ გერმანულ კულტურას, ისტორიას, გერმანულ წეს-ჩვეულებებს, ასევე შეეძლოთ, ენახათ გერმანული ფილმები, რომელსაც ვარინია ვიტეკი ყოველ ორშაბათს აჩვენებდა. ხოლო ზაფხულში ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, DAAD - ისა და გოეთეს ინსტიტუტის მხარდაჭერით ჩატარდა საზაფხულო სკოლა - „გერმანული-შემოქმედებითაღ“, რომელსაც ასევე ვარინია ვიტეკი ხელმძღვანელობდა. საზაფხულო სკოლის მრავალფეროვანი და დატვირთული პროგრამა მოიცავდა მეცადინეობებს, სხვადასხვა ღონისძიება და ექსკურსიებს. ვარინია ვიტეკთან ურთიერთობამ და თანამშრომლობამ გერმანული ენის მასწავლებლებსა და სტუდენტებს მისცა მოტივაცია, მონაწილეობა მიეღოთ გერმანიის აკადემიური გაცვლის

სამსახურის - DAAD - ის პროგრამებში. ამ პროგრამის სტიპენდიით 2011 წელს მე და 2012 წელს სტუდენტი თინა მურადაშვილი ვიმყოფებოდით ერთი თვით ქალაქ იენაში, ხოლო ქრისტიანა დარბინიანი - ერევანში, ამიერკავკასიის სტუდენტთა საზაფხულო სკოლაში შემდეგ კი ბათუმში გერმანული ენის საზაფხულო სკოლაში.

მინდა მაღლობა გადავუხადო და წინსვლა და წარმატებები ვუსურვო სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს და მის მთელ კოლექტივს იმ დიდ საქმეში, რომელსაც ისინი აკეთებენ ამ რეგიონისთვის და მთელი საქართველოსთვის.

2010 წელი“მესხეთის უნივერსიტეტი“: „ორი დღე ავსტრიულ სამყაროში“

დარეჯან ბერიძე- გერმანული ენის მასწავლებელი: „.....28-19 აპრილს გვესტუმრა ავსტრიელი დოქტორი, პროფესორი ალფრედ მისონგი და ავსტრიის ბიბლიოთეკის გამგე ქალბატონი მზია გალდავაძე. პროფესორი მისონგი 7 ქვეყანაში მუშაობდა ელჩად, მათ შორის რუსეთში, ინგლისში, მექსიკაში, 8 წლის განმავლობაში იყო ვენის აკადემიის რექტორი.მან გერმანულ ენაზე წაიკითხა ლექცია - „ავსტრიული დიპლომატიის ისტორია“, ხოლო ინგლისურ ენაზე - „ევროპის საპარლამენტო მმართველობა 1945 წლიდან“. ლექციები ჩატარდა გერმანულისა და ინგლისურის კაბინეტებში. დაისვა მრავალი შეკითხვა. სტუდენტები დაინტერესდნენ თანამედროვე ავსტრიის ცხოვრებით.

დოქტორ მისონგს ახლდა ქალბატონი მზია გალდავაძე, რომელიც მეორედ ესტუმრა ჩვენს ფილიალს. ის გერმანული ენის სპეციალობის სტუდენტებს თანამედროვე ავსტრიული ლიტერატურის შესახებ ესაუბრა, წარუდგინა მათ ქართული თარგმანები, ქართულ ენაზე გამოცემული ორი კრებული. ისაუბრა ქართულ ენაზე თარგმანის სირთულეებზე და მთარგმნელებზე. გასულ წელს ქალბატონმა მზიამ კაბინეტს აჩუქა საკმაო რაოდენობით ავსტრიული ლიტერატურა. გერმანული ენის კაბინეტთან არსებულმა სტუდენტთა მთარგმნელობითმა წრის წევრებმა სათარგმნად ავირჩიეთ ავსტრიულ მწერალთა ნაწარმოებების კრებული - „სამოთხე დედამიწაზე - არსებობს?“ და აი, სწორედ ამ სტუმრობის დროს წარადგინეს მეოთხეკურსელებმა ნათია იაკობიძემ და თინათინ კაპანაძემ თავისი თარგმანები - ბარბარა ნოაკის -

„ჩემი მე იჯდა ჩემ წინ“ და კრისტინა ცივულსკას „დედამთილის დღიური“. სტუმრები კმაყოფილი დარჩნენ ჩვენი მუშაობით, შეაქვეს ჩვენი სტუდენტები და გვთხოვა, მჭიდრო კონტაქტი ვიქონიოთ ავსტრიის ბიბლიოთეკასთან...“

2020 წლის ნოემბერი „მესხეთის უნივერსიტეტი“

ლალი ბერიძე, ასოცირებული პროფესორი - „წლების მანძილზე გრძელდება გოეთეს ინსტიტუტთან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეგობრობა და თანამშრომლობა. ის თსუ მესხეთის ფილიალში გერმანული ფილოლოგიის მიმართულების გახსნისთანავე დაიწყო. იყო შეხვედრები, სემინარები პედაგოგების კვალიფიკაციის ასამაღლებლად და წარჩინებულ სტუდენტთა ნახალისებისათვის. გერმანულ-ქართული კაბინეტის მოწყობაც გოეთეს ინსტიტუტთან აქტიური თანამშრომლობის შედეგია. სწორედ გოეთეს ინსტიტუტის ბიბლიოთეკის თანამშრომლის ფილიალში სტუმრობის დროს დაიბადა კაბინეტის გახსნის იდეა, რომელიც შემდგომ გერმანულენოვანი ინსტიტუციების ხელშეწყობით განხორციელდა. მათ უნდა ვუმაღლოდეთ იმას, რომ კაბინეტმა საინტერესო მუშაობა გასწია წლების მანძილზე. თაობები აღიზარდა და ჩვენ – მე და ჩემმა კოლეგებმა, გერმანული ენის სიყვარულით „მოვწამლეთ“ ისინი (ასე მიყვარს ხოლმე ვუნოდო იმ პროცესს, რამაც ჩვენ, ყოფილი სტუდენტებს, ასე შეაყვარა გერმანული ენა). ბევრი მათგანი ამჟამად საპასუხისმგებლო პოზიციებზეა დასაქმებული ჩვენშიც და ევროპაშიც. ეს იყო ჩვენი საპასუხო ქმედება და გარკვეული ანგარიშვალდებულების გრძნობით გაწეული შრომა.

2010 წლის 16 ოქტომბერი, კორონით გაუფერულებული სასწავლო პროცესისათვის მოულოდნელად, სასიხარულო გამოდგა. ახლაც არ დაიშურა ზრუნვა გოეთეს ინსტიტუტმა ჩვენთვის და სახელმძღვანელოები გამოგვიგზავნა თითოეული პირველკურსელი სტუდენტისათვის, ვინც უცხოურ ენად გერმანული აირჩია. სახელმძღვანელო Menschen A1, A2 სრული კომპლექტი 20 სტუდენტისათვის და, ასევე, ამავე სახელმძღვანელოს B1.1 და B1.2 სახელმძღვანელოების სამ-სამი ეგზემპლარი. ამას დაუმატეთ ამავე წიგნების სრული კომპლექტი თავისი მედიარესურსებითა და მასწავლებლის წიგნებით პედაგოგისათვის! დამეთანხმეთ, ასეთი

ძვირფასი (არა მარტო ფასის გამო) საჩუქარი, მართლაც, მოულოდნელ სიხარულთან ასოცირდება, მაგრამ სიტყვა „სიურპრიზი“ უღონოა იმის გამოსახატავად, რაც პირველკურსელების თვალე-ში ამოვიკითხე. უნდა გენახათ მათი გახარებული თვალე-ბი- ამ პირბადიან დროში თვალე-ბი ხომ ისედაც უფრო მეტყველი და მრავლისმთქმელი გაგვიხდა, ამ დღის სიხარულმა კი უფრო გააბრ-წყინა და გაასხივოსნა ისინი. დიდი მადლობა ანა მშვილდაძეს, გოეთეს ინსტიტუტის მთელ გუნდს, ყველას, ვინც გაითავისა ჩემი სიხარული, საზრუნავი და შემოდგომის ეს ისედაც ოქროსფერი დღე „უხვმოსავლიანი“ გაგვიხდა. ვეცდებით, გავამართლოთ მათი ნდობა და მივალწიოთ შედეგს, რომელსაც ელიან ჩვენგან. ვფი-ქრობ, პირველკურსელები გვერდში დამიდგებიან.

და აი, მოვედით დღევანდელ დღემდე... თანდათან, რეგიონის სკოლებში ინგლისური ენის პრიორიტეტად ქცევის შემდეგ, შემ-ცირდა გერმანული ენის შემსწავლელი სტუდენტების რიცხვი. კარ-გა ხანია, აღარ არსებობს გერმანული ენის მიმართულება უნივერ-სიტეტში. გერმანული ენა ისწავლება როგორც უცხო ენა 4 სემეს-ტრის განმავლობაში. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოში არსებულ გერმანულ ინსტიტუციებთან ურთიერთთანამშრომლობა წარმატებით გრძელდება.

მოგონებები მოგონებებად, მომავლის გეგმებზეც ვიტყვი ცოტა რამეს: აქამდე უნივერსიტეტს ორი ელჩის სტუმრობა ახსოვს ბა-ტონ უვე შრამისა და ორთვინ ჰენინგის. გვაქვს იმედი ამჟამინდე-ლი ელჩის - ჰუბერტ კნირმის ყურადღების არეშიც მოვხვდებით და კვლავ განვაავითარებთ ყველა ურთიერთობას გერმანულ ინს-ტიტუციებთან, რესპუბლიკის გერმანისტებთან, რათა კვლავ ის-წავლებოდეს გერმანული ენა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტში. ამის დიდი იმედი გვაქვს. უნივერსიტეტის რექტორა-ტის მხარში დგომა გვაძლევს ამის საფუძველს.



ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მოკლე ისტორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალი დაარსდა 1990 წელს. დღიდან დაარსებისა, ფილიალში შეიქმნა ეკონომიკის ფაკულტეტი, რომელიც წარმოდგენილი იყო ერთი სპეციალობით – წარმოების ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა. 1996 წელს დაემატა კიდევ ერთი სპეციალობა – აგრობიზნესის მენეჯმენტი. 1997 წლიდან ეკონომიკის ფაკულტეტი არსებულ სპეციალობებთან ერთად წარმოდგენილი იყო შემდეგი სპეციალობებით: – ფინანსები და საბანკო საქმე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საბაჟო საქმის ორგანიზაცია და მართვა, 1999 წლიდან – ეკოლოგია და გარემოს დაცვის მართვა.

2000 წელს პროფესორ გიორგი ბუცხრიკიძის ინიციატივით და პროფესორ მერაბ ბერიძის უშუალო დახმარებით შეიქმნა მიწის მართვის ფაკულტეტი, ხოლო 2005 წლიდან გაერთიანდა მიწის მართვისა და ეკონომიკის ფაკულტეტები და შეიქმნა ახალი ფაკულტეტი, რომელსაც ეწოდა ბიზნესის და მართვის ფაკულტეტი. 2011 წლის მარტიდან ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტს, „ეროვნული

საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მოთხოვნების შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით ეწოდა ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი.

1995 წლიდან (I გამოშვება) ფაკულტეტმა 2218 სტუდენტს მიაწია ეკონომიკის ბაკალავრის, ბიზნესის მართვის ბაკალავრისა და მაგისტრთან გათანაბრებული პირის აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია, რომელთა 60-70% დასაქმებულია ძირითადად რეგიონის (სამცხე-ჯავახეთი), ასევე ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციადანესებულებებში.

2010 წლიდან დღემდე ფაკულტეტის მაგისტრატურის სრული კურსი დაამთავრა და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი აუდიტის, აგრობიზნესის მენეჯმენტისა და უძრავი ქონების ადმინისტრირების სპეციალობით მიენიჭა 89 კურსდამთავრებულს.

ფაკულტეტი წარმოდგენილია უნივერსიტეტის II და III კორპუსში (ქ. ახალციხე, რუსთაველის 122, ქ. ახალქალაქი აღმაშენებლის 119).

ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის საბჭო და ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/სპეციალისტი, ფაკულტეტის მდივანი).

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

ფაკულტეტი ახორციელებს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

ა) ბუღალტრული აღრიცხვა (IV საფეხური)

ბაკალავრიატი:

ა) ბიზნესის ადმინისტრირება

ბ) ეკონომიკა

გ) ბიზნესის ადმინისტრირება (მინორ)

მაგისტრატურა:

ბიზნესის ადმინისტრირება

დოქტორანტურა

ეკონომიკა

ფაკულტეტზე არსებობს შემდეგი მიმართულებები:

ა) საბუღალტრო აღრიცხვა; ბ) მენეჯმენტი; გ) ფინანსები დ) ეკონომიკა.

თითოეულ მიმართულებას და საგანმანათლებლო პროგრამას კოორდინირებას უწევს მიმართულების ხელმძღვანელი, რომელსაც შესაბამისი აკადემიური პერსონალიდან ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. იგი ვალდებულია, პასუხი აგოს მიმართულების სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის სწორად წარმართვაზე. ამჟამად ფაკულტეტი წარმოდგენილია 7 პროფესორით, 11 ასოცირებული პროფესორით, 3 მონვეული დოქტორით.

ბაკალავრიატის საფეხურზე ამჟამად სწავლობს 421 სტუდენტი, მათ შორის 142 სტუდენტი სწავლობს ახალქალაქში, სადაც ხორციელდება ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა. მაგისტრატურის საფეხურზე სწავლობს 24 სტუდენტი, ხოლო სადოქტორო პროგრამაზე სწავლობს 14 დოქტორანტი, მათ შორის 4 არის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მონვეული მასწავლებელი.

2015 წლიდან ამოქმედდა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა. ფაკულტეტი თავის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობად თვლის კადრების აღზრდის, მოზიდვისა და მისი შემდგომი მეცნიერული ზრდის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აკადემიური პერსონალის პროფესიულ ზრდას და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების მენეჯმენტს.

ფაკულტეტზე სამეცნიერო საქმიანობაც სათანადოდ არის წარმოდგენილი. გამოდის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, თვისებრივად ახალ სტანდარტებზე გადადის და ეს სტანდარტები მაქსიმალურად იქნება მიახლოებული სამეცნიერო შრომებისადმი წაყენებულ საერთაშორისო სტანდარტებთან.

ეკონომიკის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების წარმატებულმა აკრედიტაციამ მოგვცა საშუალება, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე მიგველო 70-კაციანი კონტინგენტი, პირველად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შემდგომ პერიოდში, ბაკალავრიატის საფეხურზე იყო კონკურსი, ასევე კონკურსია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ფაკულტეტის სპეციალობებზე მაღალ მოთხოვნას და ხელს უწყობს ფაკულტეტის კონკურენტუნარიანობას.

ეკონომიკის ფაკულტეტის სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდა დეკანები პროფესორი ზურაბ ვაშაკიძე, ასოც. პროფესორი სერგო მელიქიძე, ასოც. პროფესორი გიორგი კვინიკაძე ასოც. პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი, ხოლო მიწის მართვის ფაკულტეტს პროფესორი გიორგი ბუცხრიკიძე.

2005 წლიდან ეკონომიკის ფაკულტეტისა და მიწისმართვის ფაკულტეტის შეერთების შედეგად წარმოქმნილ ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის (შემდგომში ბიზნესის ადმინისტრირების) ფაკულტეტის დეკანები იყვნენ პროფესორი თინა გელაშვილი (2005- 2006წ.), ასოც. პროფესორი რევაზ ილაშვილი (2006-2007წ.), პროფესორი ცისკარა ზარანდია (2007-2019წ.), ხოლო 2019 წლის 17 ივლისიდან დღემდე ფაკულტეტის დეკანია პროფესორი გიორგი ბუცხრიკიძე.



ზოგი რამ დანახვითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის ფაკულტეტის შესახებ

მესხეთი ისტორიულად იყო განათლებისა და კულტურის მძლავრი კერა საქართველოსათვის. ამ კუთხეზე საუკუნეების განმავლობაში უდიდესი წვლილი შეიტანა განათლების, კულტურის, ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში. ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი წერდა: „მესხეთი ქართველებისათვის ის არის სწავლა-განათლების საქმეში, რაც საბერძნეთი კაცობრიობისათვის“. ჯერ კიდევ ადრე შუასაუკუნეებში დაფუნდა განათლების კერები მონასტრების სახით. შუა საუკუნეების მესხეთში ცამეტი საეპისკოპოსო კათედრალი მოქმედებდა. მესხეთმა ასევე დიდი წვლილი შეიტანა ქართული სამართლის შექმნაში. XIII-XVI საუკუნეებში მესხეთში შეიქმნა ბექა-ალბულას სამართალი ანუ „ნიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე“. საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ ანკურისა და კუმურდოს საეპისკოპოებში და ეკლესიებში: საფარაში, ზარზმაში, თმოგვში, ვარძიაში, ვანისქვაბში და ა.შ. იქვე არსებობდა ბიბლიოთეკა-საცავები. მესხეთმა ასევე დიდი წვლილი შეიტანა სალიტერატურო ენის და მწერლობის განვითარებაშიც.

მეოცე საუკუნის დასასრულს, განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, სამცხე-ჯავახეთში საჭირო იყო მძლავრი უმაღლესი კერის შექმნა მისი ალორძინებისათვის, რომელიც მხარისა და ქვეყნის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. ამ კუთხეში უნივერსიტეტის დაარსების იდეა გასული საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა. ფილიალის პირველი დირექტორი მერაბ ბერიძე სამართლიანად მიუთითებდა: „ახალციხეში თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტის ფილიალის გახსნის იდეა დროის მოთხოვნა იყო. ახალ პოლიტიკურ სიტუაციებს მოჰყვა რეგიონებისა და რეგიონალური ცენტრების დაწინაურება“. 1990 წლის 26 მაისს ქალაქ ახალციხეში ოფიციალურად გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი. თავდაპირველად ახალციხის ფილიალში იყო სამი სპეციალობა: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა (სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით). სტუდენტთა კონტიგენტი განისაზღვრა ასი ადგილით.

მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და დაწინაურდა ფილიალი, დაემატა მრავალი სპეციალობა. იმ პერიოდში სამცხე-ჯავახეთში მასწავლებელთა კადრების პრობლემა იყო. საჭირო გახდა ამ დარგის სპეციალისტთა მომზადება, ამიტომ 1991 წელს დაემატა დაწყებითი განათლებისა და პედაგოგიკის ფაკულტეტი. მისი მისია იყო როგორც დაწყებითი, ისე საბაზო და საშუალო



საფეხურების მასწავლებელთა მომზადება. ეს ის სპეციალობაა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი პედაგოგთა დეფიციტის შევსებას თავის დროზე და დღემდე ფუნქციონირებს.

იმისათვის, რომ დასახელებულ ფაკულტეტს თავისი მისია შეესრულებინა, უპირველესად საჭირო იყო შესაბამისი კადრები. ასეთი კადრი ადგილზე არ არსებობდა, ამიტომ დედაქალაქიდან მათი მოწვევა გახდა საჭირო. ამ დიდი მისიის შესასრულებლად სამცხე-ჯავახეთს ეწვია პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ გაგუა – XX საუკუნის პედაგოგიკის კორიფე. იგი თითქმის ერთი ათეული წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ფილიალს. ასაკოვნების მიუხედავად (ახალციხეში როდესაც პირველად ჩამოვიდა, სამოცდაექვსი წლის იყო), არ შეუშინდა მანძილს, მძიმე პირობებს და თავისი წვლილი შეიტანა პედაგოგიკის ფაკულტეტის ჩამოყალიბება-დაფუძნებაში. მისი უდიდესი დამსახურება ისიც იყო, რომ პირველ წლებში ფილიალში პედაგოგიკის ფაკულტეტის ფუნქციონირებისათვის თბილისიდან ჩამოიყვანა თავისი აღზრდილი ანზორ ბერულავა, რომელიც წლების განმავლობაში (1994-2000 წწ.) ხელმძღვანელობდა ფაკულტეტს. ბატონმა ვლადიმერმა იზრუნა იმაზეც, რომ სამომავლოდ მოემზადებინა ადგილობრივი კადრი. კერძოდ, მისი ხელმძღვანელობით, პედაგოგიკის განხრით, საკანდიდატო დისერტაცია მოამზადა და დაიცვა უნივერსიტეტის ოთხმა თანამშრომელმა: ირმა ქურდაძემ, მარეხ ნათენაძემ, როლანდ ქურდაძემ და ნატო ყრუაშვილმა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, სამართლიანად იმსახურებს ბატონი ვლადიმერი, რომ მისი სახელი მიენიჭოს უნივერსიტეტში პედაგოგიკის კაბინეტს.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაწყებითი განათლებისა და პედაგოგიკის ფაკულტეტს ჰქონდა დღის, დაუსწრებელი და ფასიანი განყოფილებები, სადაც წლების განმავლობაში ასობით სტუდენტმა მიიღო განათლება. სტუდენტთა კონტინგენტის შემადგენლობა ძირითადად წარმოდგენილი იყო ადგილობრივი მოსახლეობით. ნაწილი კი საქართველოს სხვადასხვა კუთხედან იყო მოსული.

დაწყებითი განათლებისა და პედაგოგიკის ფაკულტეტის პირველი დეკანი იყო სერგო მელიქიძე. შეიძლება ითქვას, რომ სწო-

რედ ბატონმა სერგომ ჩადო პირველი ქვაკუთხედი ამ ფაკულტეტის შექმნაში. თსუ ახალციხის ფილიალის დირექტორის მერაბ ბერიძის 1991 წლის 1 ივლისის №151 ბრძანებაში ვკითხულობთ: „თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში ჩამოყალიბდეს დროებით პედაგოგიკის მეცნიერებათა კათედრა. პედაგოგიკის კათედრის გამგის მოვალეობა დროებით საზოგადოებრივ საწყისებზე კათედრის ფორმირებამდე დაევალოს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს სერგო ილიას ძე მელიქიძეს.“ ბატონი სერგო 1991-1994 წლებში ხელმძღვანელობდა კათედრას.

პედაგოგიკის კათედრისა და ფაკულტეტის პირველ ლაბორანტად დაინიშნა მარეხ ნათენაძე. მას იმავდროულად დაევალა მდივნის მოვალეობის შესრულებაც. წლების განმავლობაში პედაგოგიკის კათედრისა და ფაკულტეტის მდივნები იყვნენ მარინე გელაშვილი და მაია ბაბლუანი. უნივერსიტეტის არქივში ინახება ინფორმაცია პედაგოგიკის კათედრის პირველი თანამშრომლების შესახებ. კერძოდ, ფილიალის დირექტორის მერაბ ბერიძის 1991 წლის 25 ოქტომბრის ბრძანების (№239) საფუძველზე იმავე წლის 1 ოქტომბრიდან 0,5 განაკვეთზე უფროს მასწავლებლად დაინიშნენ მეცნიერებათა კანდიდატები: ნარიმანიშვილი პავლე და ოდილაძე გენადი. იმავე წლის 11 ოქტომბრის ბრძანებით 1991-1992 სასწავლო წელს საათობრივი ანაზღაურებით მონვენულ იყვნენ მასწავლებლებად: ჯულიეტა გეგეშიძე, ლია ბლუაშვილი, გულიკო ბექაური, ანზორ თამარაშვილი, ცისანა ახვლედიანი, ვლადიმერ ზედგინიძე, ციცინო მავზარაშვილი, გივი მიქელაძე, ნუკრი გვანცელაძე და ა.შ. მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა კათედრის ე.წ. შტატიანი თანამშრომელების რაოდენობა: როლანდ ქურდაძე, მარეხ ნათენაძე, გულიკო ბექაური, ირმა ქურდაძე, ნატო ყრუაშვილი და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ესენი არიან პირველი თაობის პედაგოგებიც და ის ადამიანებიც, რომლებიც ფაკულტეტის არსებობის განმავლობაში ერთგულად უძღვებიან თავიანთ აქმეს.

1991 წლის მისაღები გამოცდების შედეგად, მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით, საერთო კონკურსით (ბრძანება №203, 1/VIII)

დანყებითის სწავლების პედაგოგიკისა და მეთოდის ფაკულტეტზე ჩაირიცხა ოცდაოთხი სტუდენტი. ისინი იყვნენ ამ ფაკულტეტის პირველი სტუდენტები.

ფაკულტეტმა დაარსებიდან დღემდე მრავალგზის განიცადა სტრუქტურული ცვლილება. კერძოდ, 1991-1995 წლებში იყო პედაგოგიკის მეცნიერებათა კათედრა. 1995-1997 წლებში დანყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის ფაკულტეტი, 1997-2005 წლებში პედაგოგიკის ფაკულტეტი, 2005-2009 — ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, 2009 წლიდან განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

2000-2006 წლებში პედაგოგიკის ფაკულტეტის დეკანი იყო (სერგო მელიქიძისა და ანზორ ბერულავას შემდეგ) რაგულ (შოთა) ინასარიძე, ხოლო კათედრის გამგე – როლანდ ქურდაძე. მას შემდეგ, რაც მოხდა რეორგანიზაცია და პედაგოგიკის ფაკულტეტი ახლად ჩამოყალიბებულ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში შევიდა, ფაკულტეტის დეკანები იყვნენ: გულქან ქურასბედიანი, ტარიელ ფუტყარაძე, ელისო ბუაღავა, ცირა მესხიშვილი, მერი სახამბერიძე, მაკა ბერიძე და გულიკო ბექაური.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაფუძნებიდან 2005 წლამდე, ისე, როგორც სხვა ფაკულტეტებზე, სწავლება იყო ხუთწლიანი. მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს და შესაბამისად განხორციელდა რადიკალური გარდაქმნები, სწავლება გახდა ოთხწლიანი (ბაკალავრი). 2018 წლიდან კი ამოქმედდა დანყებითი განათლების საბაკალავრო-სამაგისტრო სამასკრედიტიანი პროგრამა. პროგრამის ხელმძღვანელი არის პროფესორი ირმა ქურდაძე. იგი დანყებითი განათლების მიმართულებას წლების განმავლობაში წარმატებულად ხელმძღვანელობს.

დასახელებული ფაკულტეტის ისტორიაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ სააუდიტორიო (თეორიულ) მეცადინეობასთან ერთად დიდი ადგილი აქვს დათმობილი სასკოლო პრაქტიკას. ფაკულტეტის პირველი საბაზო სკოლა იყო ქალაქის №1 სკოლა, შემდეგ დაემატა №5 და №6 სკოლები. პრაქტიკას თავდაპირველად ხელმძღვანელობდა ბატონი ვლადიმერ გაგუა, შემდგომ პედაგოგიკის

კათედრისა და ფაკულტეტის წევრები: როლანდ ქურდაძე, გულიკო ბექაური, ირმა ქურდაძე, მარეხ ნათენაძე და ნატო ყრუაშვილი. უნდა ითქვას ისიც, რომ ქალაქის სკოლების პედაგოგიური კოლექტივები უდიდეს დახმარებას უწევენ პრაქტიკაზე მისულ სტუდენტებს.

წლების განმავლობაში, ფაკულტეტების რეორგანიზაციამდე, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის ფაკულტეტზე ისწავლებოდა ისეთი საგნებიც, როგორცაა: მუსიკა, შრომა, ფიზკულტურა, ბუნება და ა.შ. მეთოდისკებთან ერთად. ქალბატონმა ყუყუნა კუპრაძემ (შრომის მასწავლებელმა) სტუდენტთა ხელნაკეთი ნივთებით უნივერსიტეტში შექმნა უნიკალური კაბინეტი.

საყურადღებოა ისიც, რომ დასახელებული ფაკულტეტი ამზადებს არა მხოლოდ სკოლის მასწავლებლებს, არამედ 2017 წლიდან ამოქმედდა მასწავლებელთა მომზადების სამოცკრედიტიანი პროგრამა. (პროგრამას ხელმძღვანელობს პროფესორი ირმა ქურდაძე). მოხსენიებული პროგრამით, როგორც სამცხე-ჯავახეთის რეგიონის, ისე რესპუბლიკის სხვა კუთხეების სხვადასხვა საგნის, მასწავლებლებმა პროგრამის ფარგლებში მიიღეს მათთვის საჭირო ცოდნა და უფროსი მასწავლებლის სერტიფიკატები.

დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის ფაკულტეტის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ე.წ. „საუბრები სკოლაზე.“ მისი დამფუძნებელი და, საერთოდ, იდეის ავტორი იყო ქალბატონი ნათელა ნაცვლიშვილი. თავდაპირველად ღონისძიებაში ჩართულნი იყვნენ მხოლოდ დასახელებული ფაკულტეტის სტუდენტები. შემდგომ პერიოდში არეალი გაფართოვდა და მონაწილეობდნენ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვა სპეციალობების სტუდენტებიც. საუბრებს უძღვებოდა ქალბატონი ნათელა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი: გულიკო ბექაური, ირმა ქურდაძე, მარეხ ნათენაძე, ნატო ყრუაშვილი. შეხვედრებზე სტუდენტებისათვის საინტერესო საკითხებზე ხდებოდა ლექციის წაკითხვაც და იმართებოდა დიალოგი. „საუბრები სკოლაზე“ მიზნად ისახავდა, რომ სტუდენტებს მიეღოთ მათთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაცია, უკეთ გაეცნოთ სკოლა და

მისი ცხოვრება. ასევე ის, რომ სტუდენტები მოემზადებინა თეორიულად და ფსიქოლოგიურად პრაქტიკული საქმიანობისათვის.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლებისა და პედაგოგიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან რეგიონისა და რესპუბლიკის სკოლებში. შეიძლება ითქვას, რომ სკოლამ მათი სახით მიიღო ღირსეული კადრი, რომელმაც განაგრძო უფროსი თაობის საქმე. ამჟამინდელი მდგომარეობით ბევრ მათგანს აქვს მოპოვებული წამყვანი და უფროსი მასწავლებლის სტატუსი. თავიანთი წვლილი შეაქვთ მომავალი თაობების აღზრდასა და განათლებაში.



ასე იქმნებოდა ბიბლიოთეკა

1990 წლის 15 ოქტომბერს დარეკა ტელეფონმა, მიმინვიეს უნივერსიტეტში სამუშაოდ, ერთი და კალმით აღუწერელი სიხარული დატრიალდა გულში, უნდა მემუშავა პროფესორებთან და საუკეთესო თანამშრომლებთან ერთად, მეორე ბიბლიოთეკარად დაინიშნა ეთერ ზაზაძე, ჩვენი ცხოვრების 3 ათეულ წელზე მეტს ვატარებთ ამ კედლებში. თავიდან კი იყო უძნელესი სამუშაო, ამჟამად სადაც რექტორის კაბინეტია, დალაგებული და დაყრილი იყო 20 ათასამდე წიგნი, ეს წიგნები ხელით უნდა გადაგვეტანა ამჟამინდელ ბიბლიოთეკაში, ვალაგებდით იატაკზე ანბანს, წიგნებს ვანყობდით ჯერ ანბანზე, შემდეგ ვამუშავებდით ტექნიკურად, კატალოგებით, ვაძლევდით ათწლიადი კლასიფიკაციის ინდექსს და ვალაგებდით თაროებზე. გვეხმარებოდნენ: გიული ზედგინიძე, მარეხ ნათენაძე და ბევრი სხვა თანამშრომელი. პარალელურად წიგნების შემოწირვა დაიწყო მთელი საქართველოს მასშტაბით, გვწირავდნენ კერძო პირები – გვაქვს ქუთელიას ფონდი, ჯიქიას ფონდი, დევდარიანის უამრავი წიგნი. რთული ჩამოსათვლელია ყველა და გახსენებაც ძნელია. ასევე გვწირავდნენ რაიკომის დახურული ბიბლიოთეკის წიგნებს. ეს კიდევ სხვა პრობლემა იყო, გვაძლევდნენ სკოლები ზედმეტ ეგზემპლარებს. შემოგვწირეს

ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის იშვიათი ეგზემპლარი, ქართული ენციკლოპედიები და ბევრი უიშვიათესი წიგნი. როგორ ხდებოდა ამ წიგნების მოტანა, ეს კიდევ სხვა თემაა. თბილისში ენათმეცნიერების ინსტიტუტში მიჰქონდათ, იქიდან კი ჩამოჰქონდათ მერაბ ბერიძეს და სერგო მელიქიძეს. აქ, ჩვენთან კი სკოლებისა და რაიკომის შემოწირულობებისათვის მივდიოდით ჩვენვე მე - მადონა გოგოლაძე, ეთერი ზაზაძე, ბატონი მერაბ ბერიძე, ვალერი სილოგავა და სხვები. ვმუშაოდით სიბნელეში, სანთლის შუქზე ვალაგებდით უნივერსიტეტისათვის საჭირო წიგნებს. პარალელურად გათბობის ჩართვა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არ შეიძლებოდა, ასეთი დიდი წვალეებით დაიწყო ბიბლიოთეკის შექმნა უნივერსიტეტში.

ლილი შაყულაშვილი

დაიბადა 1992 წელს. დაამთავრა სოფელ ტაძრისის საშუალო სკოლა 2010 წელს და ჩაირიცხა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ფილოლოგიის მიმართულებით. 2014 წელს მუშაობა დაიწყო მასწავლებლის სახლის პროგრამაში - „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“. 2015-2017 წლებში დაამთავრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამა. 2018 წლის სექტემბრიდან მუშაობს სსიპ გიორგი მთაწმინდელის სახელობის ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისის საჯარო სკოლაში მასწავლებლად.



ერთ თემაზე გაერთიანებული სამი სოფელი

ბორჯომიდან ახალციხის მხარეს, დაახლოებით 26 კილომეტრში, სოფელ დვირიდან ულამაზესი ხეობის გავლით მდებარეობს ერთ თემში გაერთიანებული სამი სოფელი-ტაძრისი, საკირე და დგვარი.

ეს სოფლები გარშემორტყმულია წიწვოვანი ტყეებით, რაც ძალიან სასიამოვნო და ლამაზ გარემოს ქმნის. სოფლები საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული, რომლის სათემო ცენტრსაც სოფელი ტაძრისი წარმოადგენს, ამ სოფელშივეა განლაგებული მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორცაა: სკოლა, ბიბლიოთეკა, საკრებულო, საბავშვო ბაღი და კულტურის შენობა.

ეს სოფლები საკმაოდ დიდი ხნის უნდა იყოს, თუმცა ვახუშტი ბატონიშვილი თავის სამეცნიერო თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ამ სოფლებს არ ახსენებს. მისი თქმით, მტკვრის ხეობა „არს დვირამდე ქართლისა“, მაგრამ მტკვრის შენაკადი ხევების აღწერას იგი ჭობისხევით ამთავრებს. ხეობის სოფელთა სიაც ჭობისხევით თავდება და ხეობის ეს სოფლები იქ ჩამოთვლილი არაა. სამცხის აღწერა ქვაბისხევით იწყება და ეს სოფლები არც აქ იხსენიება. დევი ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ მეცნიერი

ბატონიშვილი არ იყო დარწმუნებული ამ სასაზღვრო ხევის კუთვნილებაში.

რაც შეეხება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“, რომელიც XVI ს-ის ბოლოს არის შედგენილი, ბორჯომის ხეობის ეს სოფლები ნახსენებია და ახალციხის ლივის ანყურის ნაჭიფეშია შეტანილი. მიუხედავად ამისა, კვირიკენმინდის (საკვირიკე) ქართლში მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ ადრეულ ხანაში ეს ხევი **თორს** ეკუთვნოდა (ჯიქია 1958: 130). უნდა აღინიშნოს, რომ **„გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში“** სოფ. საკირე არ იხსენიება, იქაა სოფ. **დგვარი** და მისი უბნები, რომელთა შორის ერთი ტაძრისია. (დ. ბერძენიშვილი 1985: 26). ამის მიუხედავად ადგილობრივი მცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ სოფელი საკირე და ტაძრისი უფრო ძველი დასახლებაა, ვიდრე დგვარი. მათი თქმით, დგვარი სულ რაღაც ორ საუკუნეს ითვლის. ეს სოფელი დღეს მენჯერსაშიმ ზონადაა გამოცხადებული და ამის გამო მოსახლეობის ნაწილი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა ნაწილი დარჩა თავიანთ კუთვნილ ადგილ-მამულებში და აგრძელებენ აქ ცხოვრებასა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებს.

სოფ. საკირესთან არის შესანიშნავი ადრეული ციხე, რომელსაც მოსახლეობა **„საკირის ციხეების“** სახელით იხსენიებს. ესაა ტიპური ციხე-რეზიდენცია, რომელიც ამ ერთეულის ცენტრში ზის და, როგორც ჩანს, ეს ციხე აკონტროლებდა აქ გამავალ გზა-ბილიკებს ხუთი მიმართულებით.

ეს სოფელი რამდენიმე წლის წინ იმითაც გახდა ცნობილი, რომ ამ სოფლის მახლობლად, კოდიანის ყორღანზე აღმოაჩინეს მსოფლიოში **უძველესი თაფლი**. მეცნიერების ვარაუდით სამარხში დაკრძალული ქალი უძველესი მეფუტკრე იყო, ქალის ნეშტთან ერთად აღმოაჩინეს სამი თიხის ჭურჭელი, რომლის კედლებზეც აღმოჩნდა უძველესი თაფლის ნიმუშები, რამდენიმე წლის კვლევის შემდეგ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეს თაფლი 5500 წლის წინანდელია და ტუტანჩამონის სამარხში აღმოჩენილ თაფლზე ბევრად ძველია.

რაც შეეხება სოფელს, საკმაოდ მეტყველი სახელით **„ტაძრისი“**, ამ სახელწოდების საფუძველი აქვია, სოფლის განაპირას დარბაზული საყდარი და მის ირგვლივ დიდი სამონასტრო კომპლექსის

ნანგრევები. საფიქრებელია, რომ სწორედ ის იხსენიება „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ (გიორგი მცირე 2007: 70).

გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ გიორგის მშობლებმა თავისი პირველი ქალი - თეკლა წაიყვანეს „სამცხეს მონასტერსა სადედოსა, რომელსა ტაძრისი ეწოდების“ (გიორგი მცირე 2007: 70).

გიორგიც, 7 წლისა, მშობლებს მოუყვანიათ „მასვე ზემოხსენებულსა მონასტერსა ტაძრისს დისა თვისისა თანა“. აქ ავტორი ახსენებს სასწაულს, რომელიც ყრმა გიორგის გადახდომია თავს: მონასტერს ხანძარი მოსდებია; პატარა მონაზონს ამ დროს სძინებია, მოსულა ანგელოზი, რომელმაც „განაღჳა და უპყრა ხელსა და შორის ცეცხლისა მის უვნებლად განავლო. და იყო მონასტერსა მას მახლობლად ეგუტერი ერთი, ვითარ უტევან ერთ, მუნ მიიყვანა ანგელოზმან მან და თვთ მიეფარა (გიორგი მცირე, 2007: 73).

სახელწოდება „ტაძრისი“ შინაარსობრივად იმაზე მიუთითებს, რომ ამ ადგილას ყოფილა ტაძრები და სამონასტრო ორგანიზაცია. თვით მოსახლეობაშიც მსგავსი ინფორმაცია მოიპოვება, მათი თქმით, სოფელს „ტაძრისი“ ტაძრების სიმრავლის გამო დაერქვა. აღნიშნავენ, რომ აქ დაახლოებით ოცამდე ეკლესიის ნაშთია აღმოჩენილი.

შესაძლოა, დგვარის უბნებიდან რომელიმე უკავშირდებოდეს აქ არსებულ სამონასტრო კომპლექსებს, მაგრამ მათში ყველაზე დიდი ტაძრისის მონასტერია და სწორედ მის ირგვლივაა ამ სოფლის სასაფლაო. ამიტომ ის უფრო უნდა იგულისხმებოდეს გიორგი მცირეს აღწერილობაში, ვიდრე სხვები. ეს ძეგლები ყველა მოქმედი ჩანს შემდგომ ხანებში (დ. ბერძენიშვილი 1985: 26).

როგორც აღვნიშნეთ, ტაძრისის განაპირას მდებარეობს დარბაზული სტილის მონასტერი, სამნავიანი ბაზილიკა, ეს მონასტერი გიორგი მთაწმინდელის სახელობისაა და წირვა-ლოცვა უკვე წლებია, აღევლინება და მონასტერს საკმაო რაოდენობის მრევლიც ჰყავს. ჩვენი ტაძრის წინამძღვრის, ბერ-მონაზონი პანტელეიმონის ძალიან დიდი დამსახურებაა, რომ ჩვენ მონასტერს რესტავრაცია უტარდება და ძველი იერსახე უბრუნდება.

გიორგი მთაწმინდელის სახელობის ტაძრის მონასტერი



გიორგი მთაწმინდელის სახელობისაა ტაძრისში მდებარე საჯარო სკოლაც. იგი ამ სახელს 2011 წლიდან ატარებს. მეც ეს სკოლა დავამთავრე და 2018 წლიდან დღემდე ჩემი სოფლის სკოლაში ვმუშაობ. პირველ წელს ღირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი, გამოგიტყდებით და, თავიდან ძალიან ვლეღავდი, მე ვინყებდი მუშაობას იმ სკოლაში, სადაც ჩემი მასწავლებლები მუშაობდნენ, სადაც ბავშვობისა და მოსწავლეობის 12 წელი გავატარე. მათ გვერდით მუშაობა ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იქნებოდა.

მახსოვს პირველ დღეს რომ მივედი, ძალიან ვღელავდი, ცოტა მეშინოდა კიდევ, თითქოს ისევ ის მოსწავლე ვიყავი, წლებისწინანდელი. თუმცა მღელვარება და ეს განცდა თითქოს სადღაც გაქრა, როდესაც მათი ღიმილიანი სახეები დავინახე, ყველა სათითაოდ მიკრავდა გულში და მილოცავდა. ჩემი მასწავლებლების თანამშრომლად ვიქეცი უცებ, გავკადნიერდები და იმასაც ვიტყვი, რომ დღეს ისინი ჩემი ძალიან კარგი მეგობრები არიან, ყოველთვის გვერდით მიდგანან და მამხნევენ. ამჟამად უკვე მასწავლებლად ვმუშაობ და მათგან ყოველთვის ვიღებ ძალიან სასარგებლო და საჭირო რჩევებს.

ამაყი ვარ, რომ ამ ულამაზესი სოფლის მკვიდრი ვარ და ამ ძალიან თბილი და სტუმართმოყვარე ადამიანების გვერდით მინევს ცხოვრება და მუშაობა. ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ იმ სოფელში, სადაც ერთ დროს გიორგი მთაწმინდელი ცხოვრობდა და განათლებას იღებდა.

სარჩევი

<i>ტაიუზილით</i> მაკა პერიდი	3
<i>ნობელა</i> რევან მიშველაძე ქართული კინოს მამა	12
<i>მერაბ პერიდი</i> ჩვენი სარგო	27
<i>პოეზია</i> სერგო მელიქიძე	34
<i>სერგო მელიქიძე</i> სამეცნიერო შრომების სია	58
<i>რევან ჭილაძე</i> ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარბაზი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში	64
<i>პოეზია</i> ნინო პერიდი	82
<i>ლევან მაკარაძე, ნინო მილაშვილი</i> ვეტერინარული განათლება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში	101
<i>ნანა მიქელაძე</i> საუბრები რექტორთან	113
<i>ნათელა ნაცვლიშვილი-პერიდი</i> ბახსენება ძველი ჩანაწერებიდან	117
<i>ლალი პერიდი</i> მომონებები გარდასულ დღეთა	123

<i>გივი ბუცხრიკიძე</i> პიზნენის ადმინისტრირების ფაქულტეტის მოკლე ისტორია	144
<i>ნატო ყრუაშვილი</i> ზოგი რამ დანყებითი განათლების კვლავობიკისა და მეთოდის ფაქულტეტის შესახებ	148
<i>მადონა გოგოლაძე-ბლუაშვილი</i> ასე იქმნებოდა პიპლიროთეკა	155
<i>ლილი შაყულაშვილი</i> ერთ თემში ბაერთინაბული სამი სოფელი	157

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com